

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities



## XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან  
90 წლისთავისადმი

## XIII FACULTY SCIENTIFIC CONFERENCE

In honour of the 90th anniversary of Professor Aleksandre Gvakharia's birth

# თ ე ზ ი ს ე ბ ი

# BOOK OF ABSTRACTS

ივნისი 26-28 June  
თბილისი 2019 Tbilisi



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**  
**Faculty of Humanities**

## **XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია**

მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან  
90 წლისთავისადმი

## **XIII Faculty Scientific Conference**

In honour of the 90th anniversary of **Professor Aleksandre Gvakharia's** birth

თეზისები  
**Book of Abstracts**

ივნისი 26-28 June  
თბილისი 2019 Tbilisi

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თედო დუნდუა

პროფესორი თეიმურაზ პაპასკირი

პროფესორი გოჩა ჯაფარიძე

პროფესორი დარეჯან გარდავაძე

ასოცირებული პროფესორი თეა შურღაია

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

**Organizing Committee:**

Professor Nana Gaprindashvili

Professor Tedo Dundua

Professor Teimuraz Papaskiri

Professor Gocha Japaridze

Professor Darejan Gardavadze

Associate Professor Tea Shurgaia

Associate Professor Ekaterine Navrozashvili

**რეგლამენტი:**

მოსხენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოსხენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

**სამუშაო ენა** – ქართული

**Time Limit:**

Presentation at the plenary session – 20 minutes

Presentation at the section meeting – 15 minutes

Participation in discussions – 5 minutes

Working language – Georgian

## შინაარსი/Contents

### რევაზ აბაშია

ფონოლოგიური პროცესები, როგორც საერთოქართველური ფუძეენის  
დიფერენციაციის ძირითადი ფაქტორი.....12

### Revaz Abashia

Phonological Processes as the Core Factors of Differentiation of the Common Kartvelian  
Parent Language .....13

### მარინა ალექსიძე

ქართველი ქალი XVIII საუკუნის ფსევდოაღმოსავლურ ზღაპრებში: ჰაფეზისა და  
ამინას ამბავი .....13

### Marina Alexidze

Georgian Woman in the Eighteenth-century Pseudo-Oriental Tales: The Story of Hafez  
and Amina .....14

### მარინა ანდრაზაშვილი, თამარ ჭუმბურიძე

გერმანულის ფონოლოგიური თავისებურებები და ქართულად ტრანსლიტერაციის  
სირთულეები.....15

### Marina Andrazashvili, Tamar Chumburidze

The Phonological Peculiarities of the German Language and the Complexities  
of Transliteration into Georgian .....16

### თამარ ანთაძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი ჩარლზ პარნელზე .....17

### Tamar Antadze

Varlam Cherkezishvili on Charles Parnell .....18

### ფატმან ანთაძე-მალაშხია

არაბული მრავლობითის ფორმათა ლექსიკალიზაციისათვის სპარსულში .....18

### Patman Antadze-Malashkhia

On the Lexicalization of Arabic Plural Forms in Persian .....19

### ელვირა ასლანოვი

აზერბაიჯანული ენის ყაზახური კილოს შესწავლის ზოგიერთი საკითხი .....20

### Elvira Aslanovi

Some Issues of Studying the Azerbaijani Language Kazakh Dialect.....20

### ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია, გიორგი ყუფარაძე

ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ ტერმინთა სპეციფიკა.....21

### Tsiuri Akhvediani, Ketevan Gabunia, Giorgi Kuparadze

Specifics of French and English Ecological Terms .....22

### ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი

როგორ ვასწავლოთ ქართული ზმნა არაქართველებს .....22

### Nino Bagration-Davitashvili

How to Teach the Georgian Verb to Non-Georgians .....23

### ცირა ბარამიძე

ლაბილურობისა და გვარის კატეგორიების ურთიერთმიმართებისათვის  
ქართველურ ენებში .....24

### Tsira Baramidze

Towards the Interrelation of Categories of Lability and Voice in Kartvelian Languages .....25

<b>ნატალია ბასილაია</b>	
ქართული ტოპონიმები ბულატ ოკუჯავას შემოქმედებაში.....	26
<b>Natalia Basilaia</b>	
Georgian Toponyms in Bulat Okujava’s Poetry .....	26
<b>მიხეილ ბახტაძე</b>	
რამდენიმე შენიშვნა ერთიანი საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურის შესახებ.....	27
<b>Mikeil Bakhtadze</b>	
Several Remarks on the Georgian Title of the Kings of United Georgia .....	28
<b>ირაკლი ბრაჭული</b>	
რელიგიისა და მითის ფილოსოფია საქართველოში .....	28
<b>Irakli Brachuli</b>	
Philosophy of Religion and Mythos in Georgia.....	29
<b>მზია ბურჯანაძე</b>	
ირაჯ მირზას პოემა „ზოჰრე და მანუჩეჰრი“ – ვნებისა და კდემის გაბაასება .....	30
<b>Mzia Burjanadze</b>	
Iraj Mirza’s Poem “Zohre and Manuchehr”– Conversation of Passion and Modesty .....	30
<b>მზისა ბუსკივაძე</b>	
დროსივრცული მოდელები აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის ინსტიტუტი“ .....	31
<b>Mzisa Buskivadze</b>	
Time and Space Models in Ahmed Hamdi Tanpinar’s Novel “Institute of Time” .....	32
<b>დარეჯან გარდავაძე, ელენე გოგიაშვილი, თეა შურღაია</b>	
ერთი ქართული ნარატივი „ათას ერთი ღამის“ XVIII-XIX საუკუნის ევროპულ ადაპტაციებში.....	33
<b>Darejan Gardavdze, Elene Gogiashvili, Tea Shurgaia</b>	
One Georgian Narrative in the European Adaptations of “The Thousand and One Nights” in XVIII-XIX Centuries .....	34
<b>ნანა გაფრინდაშვილი</b>	
კლასიკური მწერლობის ინტეგრაციული ფუნქცია (ბელორუსიაში შოთა რუსთაველის იუბილეების მაგალითზე) .....	35
<b>Nana Gaprindashvili</b>	
Integrating Function of Classical Literary Writings (on the example of Shota Rustaveli Jubilee celebrations in Belarus).....	35
<b>თამარ გელაშვილი</b>	
ჰამლეტის მარადიული კითხვის „ყოფნა“ ტრანსფორმაცია ჯეიმზ ჯოისის რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“ .....	36
<b>Tamar Gelashvili</b>	
The Transformation of Hamlet’s “To Be or not to Be” in James Joyce’s “Finnegans Wake” .....	37
<b>მანანა გელაშვილი</b>	
ჯოისის „ულისეს“ პოსტმოდერნისტული ვარიაციები ზურაბ ქარუმიდის რომანში „ღვინომუქი ზღვა“ .....	37
<b>Manana Gelashvili</b>	
Postmodernist Variations of James Joyce’s Ulysses in Zurab Karumidze’s Novel “The Wine-dark Sea” .....	38

<b>ელენე გიუნაშვილი</b>	
ირანული ონომასტიკის კვლევისათვის ქრისტიანობამდელი საქართველოს ბერძნულ წარწერებში .....	39
<b>Helen Giunashvili</b>	
Studies on Iranian Onomastics in Greek Inscriptions of Pre-Christian Georgia .....	40
<b>ეკატერინე გოგალაძე</b>	
მისალმება-დამშვიდობება მრავალეთნიკურ კოლექტივში .....	40
<b>Ekaterine Gogaladze</b>	
Greeting and Farewell Traditions in Multi-ethnic Groups .....	41
<b>ია გრიგალაშვილი</b>	
კარსნელთა ლეგენდა იესოს კვართზე .....	41
<b>Ia Grigalashvili</b>	
The Legend of Karsnians about the Honorable Robe of Jesus .....	42
<b>ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი</b>	
მეორე/უცხო ენაზე ლაპარაკის უნარის განმავითარებელი სტრატეგიები .....	43
<b>Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili</b>	
Strategies of Developing Speaking Skills in a Foreign/Second Language.....	44
<b>როზეტა გუჯეჯიანი</b>	
პოლ მაგნარელა და ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული ყოფა და კულტურა თურქეთში .....	44
<b>Rozeta Gujejiani</b>	
Paul Magnarella and Traditional Everyday Life and Culture of Ethnic Georgians in Turkey .....	45
<b>თამარ დემეტრაშვილი, თამარ ლეკვეიშვილი</b>	
მარიამ დადიანის ირანული სამოსი.....	45
<b>Tamar Demetrashvili, Tamar Lekveishvili</b>	
Mariam Dadiani's Iranian Clothing .....	46
<b>თეონა დვალისხვილი</b>	
ალექსანდრე რომასკევიჩი - ფოლკლორისტი და ირანისტი .....	46
<b>Teona Dvalishvili</b>	
Alexander Romaskevich – Folklorist and Iranologist .....	47
<b>ირინე დემეტრაძე</b>	
სამეტყველო ეტიკეტის საყრდენი ცნებები და შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულები (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე).....	48
<b>Irine Demetradze</b>	
The Key Concepts of Speech Etiquette and Corresponding Phraseological Units (on the material of English, Georgian and Russian Languages).....	49
<b>მამუკა დოლიძე</b>	
ჩოგბურთი, როგორც ნება და წარმოსახვა .....	50
<b>Mamuka Dolidze</b>	
Tennis as a Will and Imagination (Phenomenology of the Game) .....	51
<b>ნინო დოლიძე</b>	
ჰასან თავფიკის 21-ე საუკუნის მაკამები.....	51
<b>Nino Dolidze</b>	
The 21st Century Maqamat by Hasan Tawfiq .....	52
<b>ნათია დუნდუა</b>	

რუსული თურქთა ენათათვის და ქართულად გარდმოღებული“ – ქართულ-სპარსული ორენოვანი ხელნაწერი.....	52
<b>Natia Dundua</b> Georgian-Persian Bilingual Manuscript (H-2290) .....	53
<b>თამარ ვეფხვაძე</b> ქართული მწერლობის განვითარების რამდენიმე ასპექტისათვის „გარდამავალ ხანაში“ .....	53
<b>Tamar Vepkhvadze</b> Some Aspects of Development of Georgian Literature in “Transitional Period” .....	54
<b>ანასტასია ზაქარიაძე</b> რატომ არის მორალის ფილოსოფია აუცილებელი ზნეობრივი განათლებისათვის?!.....	55
<b>Anastasia Zakariadze</b> Why Should Moral Education Involve Moral Philosophy?!.....	55
<b>რუსუდან ზეკალაშვილი</b> გერმანული ინფინიტიური კონსტრუქციების გადმოტანა ქართულ ენაში.....	56
<b>Rusudan Zekalashvili</b> To the Question of Transferring German Infinitive Constructions into Georgian .....	57
<b>ნინო თომაშვილი</b> ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიური აზროვნების პროცესში .....	58
<b>Nino Tomashvili</b> Dominant Functions of Language in the Process of Philosophical Thinking .....	59
<b>ხათუნა თუმანიშვილი</b> ენასთან დაკავშირებული ანდაზების ტიპოლოგიისათვის განსხვავებულ კულტურათა კონტექსტში (ქართულ და არაბულ კორპუსთა ბაზაზე) .....	60
<b>Khatuna Tumanishvili</b> On the Typological Research of Proverbs Connected with Tongue in the Context of Different Cultures (based on Georgian and Arabic materials) .....	61
<b>მაია თუხარელი</b> კომიკური პოემა - ჟანრის ევოლუცია რუსულ ლიტერატურაში XVIII-XIX სს-ის დასაწყისი.....	61
<b>Maya Tukhareli</b> Evolution of the Genre of a Comic Poem in the Russian Literature of XVIII-the Beginning of XIX cc. ....	62
<b>მერაბ კალანდაძე</b> საქართველოში ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საკვანძო მომენტები ....	63
<b>Merab Kalandadze</b> The Key Issues Related to the Creation of a New Textbook of History in Georgia.....	65
<b>დალი კანდელაკი</b> ნ. პელტის ნაშრომი საქართველოს შესახებ.....	65
<b>Dali Kandelaki</b> N. Pelt’s Work about Georgia.....	66
<b>შოვნა კვანტალიანი</b> მეგრული სამგლოვიარო წეს-ჩვევები და მასთან დაკავშირებული ხალხური სიტყვიერება .....	66



<b>Shovna Kvantaliani</b>	
Megrelian Funeral Customs and Habits and the Oral Materials Connected with them .....	67
<b>მანანა კვაჭაძე</b>	
საკარო და სალიტერატურო ეტიკეტის შესახებ შირვანშაჰთა სასახლეში.....	67
<b>Manana Kvachadze</b>	
On the Royal and Literary Etiquette in the Shirvanshah Palace .....	68
<b>ზვიად კვიციანი</b>	
ბრინჯაოს ხარის თავის უნიკალური საკიდი უშგულიდან .....	69
<b>Zviad Kvitsiani</b>	
Bronze Bull Head Unique Hanger from Ushguli.....	70
<b>ბონდო კუპატაძე</b>	
პირველი ქართული პარლამენტი – საქართველოს ეროვნული საბჭო (1917-1918 წწ.).....	71
<b>Bondo Kupatadze</b>	
The First Georgian Parliament - National Council of Georgia (1917-1918).....	72
<b>ანი ლაზვიაშვილი</b>	
პოსტრევოლუციური რეპრესიების ასახვა მაჰმუდ დოულათაბადისა და შირინ ებადის რომანებში .....	72
<b>Ani Lazviashvili</b>	
Reflection of Post-revolutionary Repressions in the Novels of Mahmoud Dowlatabadi and Shirin Ebadi.....	73
<b>ემზარ მაკარაძე</b>	
თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხისათვის .....	74
<b>Emzar Makaradze</b>	
On Some Issues of the Foreign Policy of Modern Turkey .....	75
<b>ხვთისო მამისიმედიშვილი</b>	
საიდუმლო ნიშნები სხეულზე და ნაწილიანობის პრობლემა ხალხურ ტექსტებში .....	75
<b>Khvtiso Mamisimedishvili</b>	
Secret Signs on the Body and the Problem of Predestination in the Folklore .....	76
<b>ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე</b>	
რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით.....	77
<b>Ketevan Margiani, Ramaz Kurdadze</b>	
A Rhetorical Question from the Viewpoint of Evidentiality .....	77
<b>თამარ მოსიაშვილი</b>	
„გალერეა 68“ და ახალი ხედვის ჩამოყალიბება 1960-იანი წლების არაბულ ლიტერატურაში .....	78
<b>Tamar Mosiashvili</b>	
“Gallery 68” and the Emergence of the New Sensibility in the 1960s Arabic Literature.....	79
<b>თამარ მურუსიძე</b>	
„გამარჯვების ტრაგედია“ და პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პერიოდის ტენდენციები 1990-იანი წლების საქართველოში .....	79
<b>Tamar Murusidze</b>	
“The Trauma of Victory” and the Post-Soviet Transition Period in Georgia of the 1990s .....	80
<b>მარიკა მშვილდაძე</b>	
რომის იმპერატორის კულტი იბერიაში (ამურისგამოსახულებიანი კამეები) .....	81

<b>Marika Mshvildadze</b>	
Cult of the Roman Emperor in Iberia (cameos bearing the image of cupid).....	81
<b>ივანე მჭედელაძე</b>	
გლობალიზაცია და მულტიკულტურული ლიტერატურა: რაულ ჩილაჩავას შემოქმედება პოსტკოლონიური ეპოქის ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში.....	82
<b>Ivane Mchedeladze</b>	
Globalization and Multicultural Literature: Raul Chilachava’s Work in the Context of the Post-Colonial Era in Georgian-Ukrainian Literary Relations.....	83
<b>ნიკოლოზ ნახუცრიშვილი</b>	
ძმები კიკნაველიძეები ირანში .....	83
<b>Nikoloz Nakhutsrishvili</b>	
The Brothers Kiknavelidze in Iran .....	84
<b>თეა პიტიურიშვილი</b>	
მისტიციზმი მოდერნიზაციის სამსახურში: სუფიურ-მასონური ალიანსის ისტორიიდან ირანში .....	85
<b>Tea Pitiurishvili</b>	
Mysticism in the Service of Modernization: From the History of Sufi-Freemasonry Alliance in Iran .....	86
<b>ნინო პოპიაშვილი</b>	
აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთა“ – ზოგიერთი მხატვრული თავისებურება .....	86
<b>Nino Popiashvili</b>	
Several Artistic Features in The Songs by Three Johns (Galobani Samta Iovaneta) by Abuseridze Tbeli.....	87
<b>ვალერიან რამიშვილი</b>	
ბედნიერება და ღირსება .....	88
<b>Valerian Ramisvili</b>	
Happiness and Dignity.....	89
<b>ირაკლი სალია</b>	
ქართული სალიტერატურო ენის მიმართება ქართული ენის დიალექტებსა და ქართველურ ენებთან .....	90
<b>Irakli Salia</b>	
The Relation of the Georgian Literary Language to Georgian Dialects and Kartvelian Languages.....	90
<b>მაია სახოკია</b>	
რიტორიკის იდეოლოგია ირანულ.....	91
<b>Maia Sakhokia</b>	
Rhetoric Ideology in Iranian Literary Tradition: Achaemenids and “Shahnameh” through Sassanians .....	92
<b>თათია სიბაშვილი</b>	
ცნობიერების ნაკადის ტექნიკა და შინაგანი მონოლოგი ოთარ ჭილაძის რომანებში.....	92
<b>Tatia Sibashvili</b>	
Stream of Consciousness Technique and Interior Monologue in Otar Chiladze’s Novels .....	93

<b>თენგიზ სიმაშვილი</b>	
„საქართველო უპირველეს ყოვლისა“ (ქართველი ემიგრანტები საქართველოსთვის ბრძოლაში 1941-1945 წლებში).....	93
<b>Tengiz Simashvili</b>	
“Georgia Above All!” (Georgian Emigrants Fighting for Georgia in 1941-1945) .....	94
<b>მამია სურმავა</b>	
ზნეობა, თავისუფლება და მორალური არასრულყოფილება კანტის ეთიკაში .....	94
<b>Mamia Surmava</b>	
Morality, Freedom and Moral Imperfection in Kant’s Ethics .....	95
<b>ქეთევან სიხარულიძე</b>	
რობერტ ბერნსი - პოეტი და ფოლკლორისტი .....	95
<b>Ketevan Sikharulidze</b>	
Robert Burns – Poet and Folklorist.....	96
<b>თამთა ფარულავა</b>	
რას იმარხავს „ოქროს ქვიშა“ .....	96
<b>Tamta Parulava</b>	
What is Buried in the “Gold Dust” .....	97
<b>მარინე ფუთურიძე</b>	
ურმიისპირეთის რეგიონის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე: თრიალეთის კულტურის ერთი ტიპის კერამიკული მასალა.....	98
<b>Marina Puturidze</b>	
Influence of the Urmian Region on South Caucasus: One Type of Ceramics of the Trialeti Culture .....	99
<b>ბურჯუ მელიჰა ქესერ</b>	
ქართულ ენაში მიმართვად გამოყენებული სახელები .....	100
<b>Burcu Meliha Keser</b>	
Names Used as Addressing in Georgian.....	101
<b>თეა ქამუშაძე</b>	
საბჭოთა მიგრაციული პოლიტიკის კვალი თანამედროვე ნარატივებში (ხევსურეთის მაგალითი) .....	102
<b>Tea Kamushadze</b>	
Reflection of the Soviet Migration Politics in Contemporary Narratives (case of Khevsureti) .....	103
<b>ანა ქირია</b>	
ერთისა და სიმრავლის პროკლესეული გააზრებისათვის (Theol. Plat. II 1-ის მიხედვით) .....	104
<b>Ana Kiria</b>	
Concerning Proclean Understanding of the One and the Many (According to Theol. Plat. II 1)....	105
<b>ქეთევან ქუთათელაძე</b>	
რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით.....	105
<b>Ketevan Kutateladze</b>	
Toponymy of Religious Sense According to the “Big Register of Gurjistan Vilayet” .....	106
<b>რამაზ ქურდაძე, მაია ლომია</b>	
უარყოფის გამოხატვის სტილურ-სემანტიკური ვარიაციები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ .....	107

<b>Ramaz Kurdadze, Maia Lomia</b>	
The Stylistic-Semantic Variants of Expressing Negation in Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin” .....	108
<b>ნინო შარაშენიძე</b>	
მოდლობისა და უარყოფის კატეგორიათა გადაკვეთა ქართულში – ნანილაკი ვერ .....	109
<b>Nino Sharashenizde</b>	
The Interaction of Modality and Negation in the Georgian Language .....	109
<b>თეა შურღაია</b>	
პერსონაჟი, ავტორი და ეგზისტენციალური არჩევანი - გოლი თარაყის ნაწარმოებების ერთი ინტერპრეტაცია.....	110
<b>Tea Shurgaia</b>	
Protagonist, Author and Existential Choice – an Interpretation of Goli Taraghi’s Works.....	111
<b>ნინო ჩიქოვანი</b>	
დავნიყების სტრატეგიები ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესში თანამედროვე საქართველოში .....	111
<b>Nino Chikovani</b>	
Strategies of Forgetting in the Process of Formation of the New Memory in Modern Georgia.....	112
<b>ნინო წერეთელი</b>	
რიჩარდ შელდონი-მთარგმნელი.....	112
<b>Nino Tsereteli</b>	
Richard Sheldon - Translator .....	113
<b>თინათინ ნიკლაური</b>	
„შაჰნამეს“ ლიტერატურული ადაპტაციები XX-XXI საუკუნეებში.....	113
<b>Tinatin Tsiklauri</b>	
Literary Adaptations of “Shahnameh” in XX-XXI Centuries.....	114
<b>მამუკა წურწუმია</b>	
ომი და ეკლესია შუა საუკუნეების საქართველოში .....	114
<b>Mamuka Tsurtsumia</b>	
War and Church in Medieval Georgia .....	115
<b>ალექსანდრე ჭულუხაძე</b>	
პროფ. ალექსანდრე გვახარია - აღმოსავლურ ნასესხობათა მკვლევარი .....	116
<b>Alexandre Chulukhadze</b>	
Prof. Alexandre Gvakharia - Researcher of Oriental Loanwords.....	116
<b>ანა ხვედელიანი</b>	
განათლების პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის ფორმირება პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) .....	117
<b>Ana Khvedeliani</b>	
Education Policy and the Formation of Georgian National Identity in the First Democratic Republic (1918-1921) .....	118
<b>ქეთევან ხუციშვილი</b>	
ეთნიკურ ერთობათა ტერმინოლოგიის საკითხისთვის .....	118
<b>Ketevan Khutsishvili</b>	
On the Problem of Ethnic Terminology.....	119

**ელენე ჯაველიძე**

ორჰან ფამუქის პოლიტიკურ-პოსტმოდერნისტული რომანის ზოგიერთი  
ნიშან-თვისება.....120

**Elene Javelidze**

Some Features of the Political Postmodern Novel by Orhan Pamuk .....121

**დემურ ჯალაღონია**

პოლიტიკური აზროვნების წინარემოდერნულ გზაზე დაბრუნება (ჟან ჟაკ რუსო).....122

**Demur Jalaghonია**

Return to the Pre-Modern Path of Political Thinking (Jean-Jacques Rousseau) .....122

**მარიკა ჯიქია**

მუხამბაზი ქართულ პოეზიაში .....123

**Marika Jikia**

Mukhambazi in Georgian Poetry .....124

**ლელა ჯოყილაძე**

არაბი მიგრანტები საქართველოში: პრობლემები, რეალიები, პერსპექტივები .....125

**Lela Jokiladze**

Arab Migrants in Georgia: Problems, Realia, Perspectives .....126

## რევაზ აბაშია

### ფონოლოგიური პროცესები, როგორც საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის ძირითადი ფაქტორი

ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთმიმართებების სრულფასოვანი ანალიზი, ბუნებრივია, მოითხოვს კომპლექსური ისტორიულ-შედარებითი შესწავლის გზით ამ ენებში ადრე არსებული სტრუქტურული მოდელის რეკონსტრუქციას. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველოლოგიაში ფართოდ არის გავრცელებული ფუძეენის დიფერენციაციის სქემა, რომელიც გერჰარდ დეეტერსმა წარმოადგინა. ეს სქემა ოდენ მორფოლოგიური მონაცემების, კერძოდ, ზმნური ფუძეების სინქრონიულ დონეზე შესწავლის შედეგია და არა – ფართო ისტორიულ-შედარებითი კვლევისა. ამასთანავე, არ არის გათვალისწინებული შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი, რომლის გარეშე შეუძლებელია ფუძეენის დაშლის შემდეგ ცალკეულ ქართველურ ენაში განხორციელებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური ცვლილებების გარკვევა.

თანამედროვე ეტაპზე სვანური ენის უფრო მეტი განსხვავებულობა ქართულისა და ზანურისაგან, ვიდრე ამ უკანასკნელთა – ერთმანეთისაგან, რამაც აფიქრებინა გ. დეეტერსს ქართველური ფუძეენიდან სვანურის ადრე გამოყოფა, ცხადია, არ ნიშნავს ამ ენის ასეთსავე განსხვავებულობას ისტორიულად და, შესაბამისად, ფუძეენის დიფერენციაციის სხვაგვარ სქემას გვავარაუდებინებს. ვფიქრობთ, ქართულ-ზანურთან შედარებით სვანური ენის განსხვავებულობა ფუძეენიდან მის ადრე გამოყოფაზე კი არ მეტყველებს, არამედ ეს ცვლილებები საკუთრივ სვანურში დამოუკიდებლად განხორციელებული ფონოლოგიური ტრანსფორმაციების შედეგია. შინაგანი რეკონსტრუქციის გზით ირკვევა, რომ ქართულ-ზანურთან შედარებით სვანურში ფართო გასაქანი მიეცა ფონეტიკურ პროცესებს (უმლაუტიზაცია, სპირანტიზაცია, აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია...), რაც, მეორე მხრივ, გახდა საფუძველი მორფოლოგიური და ლექსიკური ცვლილებებისა და, შესაბამისად, სვანურის, როგორც „თავისებური ენობრივი ტიპის“ ჩამოყალიბებისა. ამასთანავე, როგორც ჩანს, დიაქრონიულ დონეზე სვანურს ზანურთან საერთო ფონოლოგიური იზოგლოსები აერთიანებდა, რაც გვაფიქრებინებს სვანურ-ზანური ენობრივი ერთობის დაშვებას. მაშასადამე, საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის სქემა, ჩვენი აზრით, გულისხმობს ამ ფუძეენის ორ ენობრივ ერთეულად – ქართულ (აღმოსავლურ დიალექტურ არეალში) და სვანურ-ზანურ (დასავლურ დიალექტურ არეალში) – დაყოფას, რასაც შემდგომ ქრონოლოგიურ საფეხურზე სვანურ-ზანურში კიდევ ერთხელ განხორციელებული ფონოლოგიური პროცესების შედეგად მოჰყვა სვანური და ზანური ენობრივი ერთეულების ჩამოყალიბება.

**Revaz Abashia**

## **Phonological Processes as the Core Factors of Differentiation of the Common Kartvelian Parent Language**

In-depth analysis of the historical interrelation of the history of Kartvelian languages by means of comprehended historic-comparative study naturally requires the reconstruction of the structural model which existed in these languages. Since the 1930s, in Kartvelology, the differentiation scheme of the parent language presented by Gerhard Deeters has been widely spread. The scheme is the result of studying only the morphological data, in particular, the verbal stem synchronously and not of deep historical-comparative research. In addition, the study does not consider the inner reconstruction method, without which it is impossible to determine the phonological, morphological and lexical changes in the separate Kartvelian languages after the decomposition of the parent language.

At the modern stage, the fact that Svan more different from Georgian and Zan, than these two from each other, pushed G. Deeters to separate Svan from the Kartvelian parent language earlier. However, it does not imply the same difference of Svan historically and, therefore, a different scheme of differentiation of the parent language is assumed. I believe that the difference of Svan from Georgian-Zan does not imply its early separation from the parent language, but it means that these changes are the result of phonological transformations that took place in Svan independently. By inner reconstruction it becomes clear that various phonetic processes had a wider scope in Svan (umlautization, spirantization, affrication, deaffrication...) than in Georgian-Zan, which, in turn, became the basis of morphological and lexical changes and, consequently, of the formation of Svan as “a peculiar type of language”.

At the same time, it seems that at the diachronic level Svan and Zan had common phonological isoglosses, which makes it possible to assume the Svan-Zan linguistic unity. Thus, in my view, the scheme of differentiation of the Common Kartvelian parent language, implies the division of the parent language into two linguistic units – Georgian (in eastern dialectic area) and Svan-Zan (in western dialectic area), which was then followed by the formation of Svan and Zan linguistic units as a result of phonological processes which once again took place in Svan-Zan at the chronological stage.

**მარინა ალექსიძე**

## **ქართველი ქალი XVIII საუკუნის ფსევდოაღმოსავლურ ზღაპრებში: ჰაფეზისა და ამინას ამბავი**

XVIII საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში შეიმჩნევა საყოველთაო გატაცება აღმოსავლური ეგზოტიკით. აღმოსავლეთი საუკეთესო გარემო აღმოჩნდა ზღაპრული ფანტასტიკისთვისაც. ევროპელი ავტორები აღმოსავლური ზღაპრების სიუჟეტებზე და მოტივებზე ქმნიდნენ ორიგინალურ თხზულებებს – ე. ნ. „ფსევდოაღმოსავლურ“ ზღაპრებს, რომლებშიც ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის პირობითი ჰომოგენური ხატი – სილამაზის, სიმდიდრისა და განცხრომის თავისებური სამყარო, ზოგჯერ სასტიკი და დაუნდობელი, ზოგჯერ ბრძნული და სამართლიანი.

ფსევდოაღმოსავლური ზღაპრების ერთ-ერთი თემა აღმოსავლელი კაცისა და ქართველი ქალის რთული და წინააღმდეგობრივი სამიჯნურო ისტორიაა. ევროპელი ავტორების შთაგონების წყაროდ იქცა შარდენის, პიეტრო დელა ვალეს და სხვა მოგზაურთა ნაწერებით შექმნილი რომანტიკული იმიჯი, ერთი მხრივ, საქართველოსი, როგორც დიდი ისლამური ქვეყნების გარემოცვაში მოხვედრილი და მათთან მებრძოლი პატარა ქრისტიანული ქვეყნისა, და, მეორე მხრივ, ქართველი ქალისა, რომელშიც ზღაპრული სილამაზე და სათნოება ჭკუასთან, სიმამაცესთან და შინაგან თავისუფლებასთან არის შერწყმული. ეს ზღაპრები ძირითადად დიქტომიურ მოდელზეა აგებული და ერთმანეთში იხლართება დამპყრობლისა და ტყვეს, ქრისტიანისა და მუსლიმის და, უფრო ფართოდ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთდაპირისპირებული სამყაროები.

ამ ჟანრის ზღაპრების საინტერესო ნიმუშია ანონიმი ავტორის „ჰაფეზისა და ამინას აღმოსავლური ზღაპარი“, რომელიც 1800 წელს დაიბეჭდა ლონდონში, ყოველთვიურ გამოცემაში *The Lady's Magazine, or Entertaining Companion for the Fair Sex* („ქალბატონების ჟურნალი ანუ თავშესაქცევი თანამგზავრი მშვენიერი სქესისათვის“). ეს არის ისტორია ჩინგიზ ხანის მხედართმთავარ ჰაფეზისა, რომელიც საქართველოში სისხლიანი ლაშქრობის დროს ხვდება მშვენიერ ქართველ გოგონას – ამინას – და ის ერთი ნახვით უყვარდება. ამინას სილამაზე, სათნოება და კეთილშობილება აღმოჩნდება ის ძალა, რომელიც ჰაფეზს თავისი მბრძანებლის დაუმორჩილებლობას გააბედვინებს და, საბოლოოდ, თავად სასტიკ ჩინგიზ ხანსაც საქართველოს აოხრებას გადააფიქრებინებს. ამ ზღაპარში იკვეთება შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ლიტერატურასა და ხელოვნებაში გავრცელებული თემა „ქალთა ძალაუფლებისა“, როცა ჰეროიკულ და ძლიერ მამაკაცზე სუსტი ქალი დომინირებს და აიძულებს, მისი სურვილისამებრ იმოქმედოს.

## Marina Alexidze

### Georgian Woman in the Eighteenth-century Pseudo-Oriental Tales: The Story of Hafez and Amina

The eighteenth-century European literature showed great universal interest in the Oriental exoticism. The Orient turned to be a good setting for fantastic fiction. European authors wrote numerous works based on the themes and motifs of Oriental tales. In these pseudo-oriental stories, a conventional homogeneous image of the East was formed – a peculiar world of splendor, luxury, and sensuality, sometimes cruel and merciless, sometimes wise and just.

One of the subjects of pseudo-Oriental tales is a controversial love story of a Georgian woman and an Oriental man. Writings of Jean Chardin, Pietro della Vale and other travellers promoted a romantic image of Georgia, a small Christian country surrounded by and fighting with Islamic powers, and of a Georgian woman, who combines beauty and virtue with bravery and inner freedom. These images became a source of inspiration for European authors. Their stories are usually based on a dichotomic model that brings together the opposing worlds of a conqueror and a captive, Muslim and Christian and, more generally, of the East and the West.

“Hafez and Amina, an eastern tale” written by an anonymous author, is an interesting example of pseudo-Oriental Tales. It was published in 1800 in *The Lady's Magazine, or Entertaining Companion for*



the Fair Sex. It is a story of Prince Hafez, the commander of Jenghiz Khan's army sent against Georgia. During this bloody invasion, he meets Amina, a beautiful Georgian maiden and falls in love with her. Captivated by her beauty and graciousness, he dares to disobey his lord. Moreover, after meeting her, fascinated Jenghiz Khan also decides not to devastate Georgia. The tale recalls the Medieval and early Modern literary topos of the "Power of Women," which implies a puissant man dominated by a tender woman

## მარინა ანდრაზაშვილი, თამარ ჭუმბურიძე

### გერმანულის ფონოლოგიური თავისებურებები და ქართულად ტრანსლიტერაციის სირთულეები

წინამდებარე გამოკვლევებისთვის ბიძგის მიმცემად იქცა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წელს შემუშავებული სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის პროექტის პუნქტი 2.2.6., მიძღვნილი უცხო ენებიდან ქართულად ტრანსლიტერაციის წესების შემოწმება-განახლებისადმი.

გასაგებ მიზეზთა გამო ტრანსლიტერაცია, უპირველესად, არათარგმნად ტერმინთა და საკუთარ სახელთა ტრანსფერთან ასოცირდება. თანამედროვე მსოფლიოს ლიაობის ფონზე ენაში პერმანენტულად შემოდის უამრავი ახალი სახელი და მკვიდრდება საზოგადოებრივი ცნობიერებისა თუ ყოფიერების ნებისმიერ სფეროში. შესაბამისად, იქმნება აუცილებლობა, შეძლებისდაგვარად სწორად ჩავწეროთ და წარმოვთქვათ ეს სახელები, ანუ დავიცვათ პრინციპი, შერჩეული ეკვივალენტი უშუალოდ ეყრდნობოდეს ან თვით ენდონიმს, ან მის შესატყვის ინტერეგიონალურ ალონიმს, მაგრამ, იმავდროულად, არ ეწინააღმდეგებოდეს ქართულის გრაფოტაქტიკურ და ფონოტაქტიკურ წესებს.

წამოჭრილი საკითხი მრავალპლანოვანია და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას შესაპირისპირებელ ენათა სპეციფიკაზე დაყრდნობით. გერმანულიდან ქართულად ტრანსლიტერაციისას გასათვალისწინებელია გერმანულის ისეთი ფენომენები, როგორცაა: სპირანტი [v]-ს, ნახევარხმოვან [j]-ასა და უმლაუტის [ʰ] არსებობა. ამ ფენომებიდან ზოგიერთი, ისევე როგორც დიაკრიტიული ნიშნების გამოყენება გარკვეულ გრაფემებთან, არც ძველი ქართული დამწერლობისთვის იყო უცხო.

წინამდებარე გამოკვლევების პირველ ნაწილში ზოგადად მიმოვიხილავთ ნახევარხმოვან [j]-იოტასა და სპირანტი ჭ-ეფის ფენომენს ქართულში. თავის ნაშრომებში აკაკი შანიძე დ-იოტას რამდენიმე ფუნქციას გამოყოფს ძველქართულსა და მის დიალექტებში: როგორც არსებითი სახელის ბოლოკიდური სავრცობისას, გარკვეულ ზმნებთან მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსისას, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისას და ა.შ.

XIX საუკუნის სამოციან წლებში დ-იოტა (რამდენიმე სხვა გრაფემასთან ერთად) ამოიღეს ქართული ანბანიდან ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამედროვეების მიერ საქართველოში გატარებული ქართული დამწერლობის რეფორმის ფარგლებში. საგულისხმოა, რომ დ-იოტას, რამდენადმე ფუნქციამეცვლილს, ვხვდებით ასევე XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ქართული პრესის ფურცლებზეც; ნიმუშად ვასახელებთ იოსებ გრიშაშვილის მიერ საკუთარი სახელის „საათონოვა“-ს ჩაწერისას დ-იოტას გამოყენებას მომდევნო ა-ხმოვნის ჟღერადობის მოდიფიცირების მიზნით.

ამ ისტორიული მიმოხილვის ფონზე გამოკვლევის მეორე ნაწილში უკვე საპოლემიკო რეჟიმში ვაყენებთ საკითხს, უცხოურ საკუთარ სახელთა და ტერმინთა სწორად ჩანერა-წარმოქმნის მიზნით თანამედროვე ქართულში *ჲ*-იოტასა და *ჟ*-ეფის აღდგენის, ასევე *ö/ü*-უმლაუტების შესატყვისი დიაკრიტული ნიშნის [˙] შემოტანის სასურველობის შესახებ. ნათქვამის ირგვლივ ნაშრომში ვმსჯელობთ გერმანულ სახელებზე დაყრდნობით, რომელთაც ქვემოთ ოთხი თემატური ბლოკის სახით წარმოვადგენთ:

Jade	Havel	Würzburg	Döben
Jagst	Cuxhaven	Düsseldorf	Stör
Jena	Vechte	Lübeck	Schönefeld
Jeckenbach	Vilshofen	Lüneburg	Mörbach
Jossa	Volkach		Öse
Jüteborg	Vohenstrauß		

## Marina Andrazashvili, Tamar Chumburidze

### The Phonological Peculiarities of the German Language and the Complexities of Transliteration into Georgian

The given research has been inspired by the Article (2.2.6.) of the *Unified Program of the State Language* worked out by the *State Department of Language* this year. The Article is dedicated to the *checking and updating of the rules of transliteration from foreign languages into Georgian*.

Naturally, transliteration is, above all, associated with the transfer of untranslatable terms and proper names. Against the background of contemporary globalization processes, numerous new names penetrate into the language. These names are widely used in every field of life and form part of social mentality. Therefore, there is a need to spell and pronounce these names correctly, i.e. follow the principle according to which the selected equivalent should be based directly on the endonym or its correlate interregional allonym, at the same time corresponding to the Georgian graphotactic and phonotactic rules.

The issue under research is multi-layered and requires an individual approach based on the peculiarities of the languages under comparison. In the process of transliteration from German into Georgian we should take into account the following phenomena: spirant [v], semi-vowel [j] and umlaut [˙]. Some of these phenomena, the same as the use of diacritical marks with certain graphemes, were also widespread in Old Georgian.

The first part of the research focuses on the general survey of semi-vowel *ჲ*-[j] and spirant *ჟ* in Georgian. Akaki Shanidze distinguished several functions of *ჲ* in Old Georgian and its dialects: the ending of a noun, the second subjective person prefix in certain verbs, the third objective person prefix, etc.

In the 60s of the 19<sup>th</sup> century, alongside with some other graphemes, *ჲ* was withdrawn from the Georgian alphabet within the reform of Georgian spelling undertaken by Ilia Chavchavadze and his contemporaries. It should be noted that *ჲ*, in a somewhat different function, is found in the Georgian

press materials of the end of the 19<sup>th</sup> and beginning of the 20<sup>th</sup> century. One example of this is the use of *o* by Ioseb Grishashvili in the spelling of a proper name 'სადათნოვა' with the aim of modifying the sound of the vowel *ა*.

Based on this historical survey, the second part of the research argues that, with the aim of correct spelling and pronunciation of foreign proper names and terms, *o* and *ö* should be restored in contemporary Georgian, and a diacritical mark [¨] should be introduced in order to reflect *ö/ü* umlauts. This argument is proved in the paper, based on the analysis of a number of German proper nouns, represented below in four thematic columns:

Jade	Havel	Würzburg	Döben
Jagst	Cuxhaven	Düsseldorf	Stör
Jena	Vechte	Lübeck	Schönefeld
Jeckenbach	Vilshofen	Lüneburg	Mörbach
Jossa	Volkach		Öse
Jüteborg	Vohenstrauß		

## თამარ ანთაძე

### ვარლამ ჩერქეზიშვილი ჩარლზ პარნელზე

ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის, საქართველოში ანარქიზმის ერთ-ერთი აღიარებული თავკაცის და ლიდერის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე გვაქვს არა მარტო იმ ეპოქის თვალსაჩინო პოლიტიკოსთან, არამედ საკმაოდ ერუდირებულ და ნიჭიერ პუბლიცისტსა და ჟურნალისტთან. ამ კუთხით მის საქმიანობას ქართული საზოგადოება შედარებით ნაკლებად იცნობს, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით, შეგვევსო ეს ხარვეზი და საგანგებო ყურადღება გაგვემახვილებინა აღნიშნულ საკითხზე. ეს საშუალებას მოგვცემს, მისი მოღვაწეობის ახალი საინტერესო ნახნაგი წარმოვაჩინოთ.

ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში საკმაო ჩახედულობას ამჟღავნებს. დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში, სახელდობრ კი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში, ეს არცაა გასაკვირი. ის წლების განმავლობაში ცხოვრობდა ინგლისში და მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, რაც ამ დარგში მის მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია.

ამჯერად საუბარი გვექნება ერთ საკითხზე. ესაა ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელის ჩარლზ პარნელისადმი. იგი ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ერთ-ერთი კოლორიტული და გამორჩეული ფიგურა იყო, ამიტომ ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ჩარლზ პარნელის მოღვაწეობასთან.

მისი მოღვაწეობა შემთხვევით არ აღმოჩნდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ყურადღების ცენტრში და მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო პარნელის წინააღმდეგობით ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მიუხედავად ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩარლზ პარნელისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება საკმაოდ გამჭვირვალეა. მართალია, ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ჩარლზ პარნელის სახელმა მხოლოდ ერთხელ გაიჟღერა, მაგრამ ძალიან პოზიტიურ კონტექსტში. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი ჩარლზ პარნელს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, სიმპატიით ეკიდებოდა. ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ჩარლზ პარნელის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით სწორია, მისაღები ჩანს და ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით გამონეწეული სიმპატიის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება.

ქართული საზოგადოება ჩარლზ პარნელს, როგორც ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, დიდ პატივს მიაგებდა. სავსებით შესაძლებელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი ჩარლზ პარნელის მომხრეთა შორის მოიაზრებოდეს.

## Tamar Antadze

### Varlam Cherkezishvili on Charles Parnell

An outstanding Georgian political figure, a recognized leader of Georgian anarchism, Varlam Cherkezishvili was a talented publicist and journalist. In his letters he reveals thorough knowledge of the key issues of modern history. The Georgian society is not sufficiently aware of his activities in the given field. Therefore, it is a pressing task to fill this gap.

The given paper refers to Varlam Cherkezishvili's attitude to Charles Parnell – the leader of the Irish national liberation movement. Parnell is not frequently mentioned in Cherkezishvili's works. Yet, whenever Varlam Cherkezishvili mentions Parnell, he speaks of him with great respect. This is natural, as Varlam Cherkezishvili greatly sympathized with the Irish national-liberation movement.

## ფატმან ანთაძე-მალაშხია

### არაბული მრავლობითის ფორმათა ლექსიკალიზაციისათვის სპარსულში

სპარსულში არაბული მრავლობითის ფორმები ლექსიკალიზაციის ტენდენციას ამჟღავნებენ. მრავლობითის ფორმათა ლექსიკალიზაციისას განირჩევა ორი ხარისხი – სუსტი (არასრული) და ძლიერი (სრული). სუსტად ლექსიკალიზებული ფორმები არასრულადაა გამხოლობითებული. ამგვარ ფორმებში წაშლილია თვალაღობა, მათი შინაარსი კი კრებითია და არა დიფერენცირებული (მდრ. მხოლ. jūhār „თვალი პატიოსანი, ძვირფასეული“ და ლექსიკალიზ. არაბ. მრავლ. jāvāherāt „ძვირფასეულობა“).

ძლიერად ლექსიკალიზებულ ჯგუფში მრავლობითის ფორმები სრულიად გამხოლობითებულია. სრული ლექსიკალიზაციის ფორმები, მიმართებები სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი: რიგ შემთხვევებში მრავლობითის ფორმა ემთხვევა მხოლობითი ფორმის ერთადერთ ან

ერთ-ერთ მნიშვნელობას და მათ შორის მხოლოდ სტილისტური სხვაობაა (შდრ. ლექსიკალიზ. მრავლ. ფორმის კოლოკვიალიზმი *oulâd* შინაარსობრივად უტოლდება სტილისტურად ნეიტრალურ მხოლ. *vâlâd*-ს „ბავშვი“). სხვა შემთხვევებში ლექსიკალიზებული მრავლობითის ფორმა სემანტიკურად განსხვავდება მხოლობითის ფორმისგან, რაც მიუთითებს ლექსიკალიზაციის უფრო მაღალ ხარისხზე. ამგვარი შემთხვევებისას მხოლობით და ლექსიკალიზებულ ფორმათა ლექსიკურ-გრამატიკული მიმართება სხვადასხვაგვარია, მაგალითად, მხოლობითის მნიშვნელობა ვინროვდება ლექსიკალიზებულ მრავლობითში (შდრ. მხოლ. *täsârrof* „შეცვლა, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ ცვლილების შეტანა“ და ლექსიკალიზ. მრავლ. *täsârrofât* „შეცვლა, გადაკეთება, ტექსტის თვითნებურად ჩასწორება“) ან მხოლობითის ფორმა კონკრეტული არსებითი სახელია, მაშინ როცა ლექსიკალიზებული მრავლობითის ფორმა აბსტრაქტულ არსებით სახელად გვევლინება (შდრ. მხოლ. *zâhr* „ყვავილი“ და მრავლ. *zohur* „ელვარება, ბრწყინვალეობა, ბზინვარება“). ძლიერი ლექსიკალიზაციის ზღვრულ შემთხვევად განიხილება ის შემთხვევები, როცა მრავლობითის ფორმათა გამხოლობითების შედეგი ანთროპონიმიზაცია ან მეტყველების ნაწილის შეცვლაა, კერძოდ, არსებითის გაზედსართავება ან გაზმნიზდება (შდრ. მხოლ. *sâfi* „რჩეული, საყვარელი ადამიანი“ და ლექსიკალიზ. მრავლ. *âsfiâ* როგორც მამაკაცის საკუთარი სახელი; მხოლ. *loun* „ფერი“ და ლექსიკალიზ. მრავლ. *âlvân* „ფერადი, ჭრელი“; მხოლ. *âxer* „ბოლო, დაბოლოება“ და ლექსიკალიზ. მრავლ. *âvâxer* „ბოლოს, ბოლოს და ბოლოს“).

## Patman Antadze-Malashkhia

### On the Lexicalization of Arabic Plural Forms in Persian

Arabic plural forms tend to lexicalize in Persian. There are two degrees of lexicalization of plural forms – weak (incomplete) and strong (complete).

The plural groups of weak lexicalization contain the forms that are not completely singularized, but have no content of countability and represent collective nouns expressing non-differential multitude. Cf. singular *jouhâr* “gemstone, jewelry”, Arab. plural *jävâherât* “precious stones, jewelry”.

The strongly lexicalized group embraces completely singularized forms of the plural. The benchmarks of complete lexicalization are diverse. There are cases when the meaning of the plural form coincides with the sole meaning of the singular form, or with one of its meanings, and the difference is purely stylistic (the formally plural colloquialism *oulâd* “children” is semantically equal to the stylistically neutral singular form *vâlâd* “child”). In other cases, the lexicalized plural form is semantically different from the meaning of the singular form, which implies a higher degree of lexicalization. In such cases the semantic-grammatical relation between the singular and lexicalized plural forms is different, e.g. the meaning of singular forms gets narrow in the lexicalized plural (singular *täsârrof* “change, amendment, deliberate change” vs lexicalized plural *täsârrofât* “change, alteration, deliberate replacement of the text”), or the singular form is a concrete noun, whereas the lexicalized plural is abstract (singular *zâhr* “flower”, lexicalized plural *zohur* “shining, brightness, brilliance”), etc. The limited forms of strong lexicalization imply that in the process of lexicalization plural forms either turn into anthroponyms or change their morphological category into an adjective or adverb (cf. singular *sâfi* “the chosen one, a favourite person”

and lexicalized plural *äsfid*, a man's proper name; singular *loun* "colour"; lexicalized plural adjective *älvän* "coloured, pied"; singular *äxer* "end, ending", lexicalized plural adverb *äväxer* "finally, at last").

## ელვირა ასლანოვი

### აზერბაიჯანული ენის ყაზახური კილოს შესწავლის ზოგიერთი საკითხი

მოხსენებაში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტის კონსონანტური სისტემის აღწერის ცდაა წარმოდგენილი. ანალიზი 2011 წლიდან დღემდე შემოსენებულ ტერიტორიაზე აზერბაიჯანული ენის ყაზახურ თქმაზე მეტყველი პირებისაგან ჩანერილ ლინგვისტურ მასალას ეფუძნება. მოხსენებაში ასევე გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან ჩანერილი აუდიომასალაც.

როგორც აღწერით-სინქრონულ, ისე სხვა თურქულ ენებთან შედარებით-დიაქრონიულ ასპექტში შესწავლილმა აზერბაიჯანული ენის ყაზახური კილოს კონსონანტურმა სისტემამ საშუალება მოგვცა, გამოგვევლინა როგორც ძველი თურქული ენობრივი ვითარების ამსახველი ფონოლოგიური მოვლენები, ასევე გვიანდელ ოლუზურ არეალში არსებული ნიშნები და, ზოგ შემთხვევაში, ყივჩაღური ლინგვისტური ელემენტებიც.

მოხსენებაში ასევე საუბარია ისეთ თანხმონებზე, რომლებიც აზერბაიჯანულმა სალიტერატურო ენამ დიდი ხანია დაკარგა და რომლებიც არც სხვა დიალექტებშია შემორჩენილი. ასეთია, მაგალითად, ცხვირისმიერი *ŋ*. კბილისმიერი *ʒ* თანხმონი მხოლოდ ჩვენი საკვლევი კილოსთვის არის დამახასიათებელი. მოხსენებაში ასევე განხილულია აფრიკატები *dz* (*d*) და *ts* (*c*), რომლებიც არ გვხვდება სალიტერატურო ენის კონსონანტურ სისტემაში, მაგრამ დასტურდება საანალიზო კილოში.

ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახური კილოს თანამედროვე კონსონანტურმა სისტემამ მნიშვნელოვანწილად შემოინახა ძველი თურქული ენის ბგერითი ნიშნები და, შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ კავკასიური ენების ინტერფერენციის გავლენასთან გვაქვს საქმე, რასაც ზოგიერთი მეცნიერი სარწმუნოდ მიიჩნევს.

## Elvira Aslanovi

### Some Issues of Studying the Azerbaijani Language Kazakh Dialect

The report represents an attempt of describing the consonant system of western dialect of Azerbaijani language widespread in the territory of Georgia. The analysis is based on the linguistic material recorded from the individuals speaking the Kazakh dialect of Azerbaijani language in the above mentioned territory since 2011. The presentation also contains audio materials recorded from the ethnic Azerbaijanis residing in different districts of Georgia.

The consonant system of Azerbaijani language Kazakh dialect studied in descriptive-synchronous, as well as in comparative-diachronic respect, with the other Turkic languages, allowed identification of the



phonological phenomena reflecting Old Turkic language situation, as well as the signs existing in the later Oghuz area and in some cases – Kipchak linguistic elements.

The report also provides a discussion of the consonants that were lost long ago in the literary Azerbaijani language and are not maintained in any other dialects. For example, nasal  $\eta$ . Dental  $\zeta$  consonant is characteristic of the dialect under consideration only. The report also offers a discussion of affricates  $dz$  and  $ts$  that are absent in the consonant system of the literary language but are confirmed in the analyzed dialect.

Our study has shown that the contemporary consonant system of the Kazakh dialect of Azerbaijani language has maintained the sonic signs of the Old Turkic language to a significant extent and hence, we assume that this is the influence of interference of Caucasian languages. Some scientists regard this as a valid hypothesis.

## ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია, გიორგი ყუფარაძე

### ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ ტერმინთა სპეციფიკა

ჩვენს ნაშრომში, პოლიპარადიგმატულობის თეორიის საფუძველზე, განვიხილავთ ფრანგულ და ინგლისურ ეკოტერმინებს, განვსაზღვრავთ მათ ალომორფულ და იზომორფულ მახასიათებლებს, ასევე მათი ფუნქციონირების თავისებურებებს. ეკოტერმინთა პარადიგმების ანალიზის შედეგად შეინიშნება იმ საერთო მახასიათებელთა დიდი რაოდენობა, რაც საფუძველად უდევს ფრანგულ და ინგლისურ ეკოტერმინებს; მაგალითად, ფრანგ. *la liste rouge* – ინგლ. *red list*; ფრანგ. *corridor écologique* – ინგლ. *conserved corridor, ecological corridor* და სხვ. ფრანგული და ინგლისური ენების ეკოტერმინთა სისტემას გააჩნია დიდი სამეცნიერო გამომხატველობა, სიზუსტე და დეფინიციათა დახვეწილობა. ეკოტერმინები სრულად არის ასახული ენციკლოპედიურ განმარტებით ლექსიკონებში და ეკოლოგიის თითოეული დარგის სპეციალიზებულ გლოსარიუმებში, რომლებიც შეიცავენ როგორც ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ორგანოთა დოკუმენტებში ოფიციალურად აღიარებულ ტერმინებს, ასევე პროფესიული ჟარგონისა და პუბლიცისტიკის ერთეულებსაც. ფრანგულ და ინგლისურ ენებში ეკოლოგიის ახალი ტერმინები ხშირად წარმოიშობა ორი ფუძის შეერთებით (ფრანგ. *informatique, information + automatique*; ინგლ. *informatics*). ტერმინ ნეოლოგიზმს შეიძლება ჰქონდეს ე. წ. ადამიანური ფუნქცია და ან გაკილოს, ან რეკლამა გაუკეთოს, მაგალითად, სასარგებლო პროდუქტებს. საკვები პროდუქტების ჯგუფისათვის, რომლებიც, იმავდროულად, ექიმების მიერ რეკომენდებული პრეპარატებიცაა, განმაზოგადებელი სახელწოდების შექმნისას გამოყენებულია სიტყვა *alicament (aliment + médicament)*. იმავდროულად, გამოჩნდა სხვა ნეოლოგიზმებიც (*médicaliment, nutraceutique, nutriceutique*), მაგრამ საფრანგეთისა და კანადის ფრანგულ ენაში ისინი ვერ დამკვიდრდა. ეს მოწმობს ასეთი ნეოლოგიზმების ოკაზიონალურ ხასიათს. კერძოდ, კვებეკის პროვინციაში ჯანმრთელობისათვის სასარგებლო საკვებ პროდუქტებს უწოდებენ *aliment fonctionnel*, რაც სრული კალკირებაა ინგლისური ტერმინისა *functional food*. შიდაენობრივი, პრაგმატიკული, კულტუროლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ეკოტერმინის ახალი მნიშვნელობის ფორმირებას, უზრუნველყოფენ აქტუალიზაციის, რესემანტიზაციის მექანიზმს და შესაძლებელს ხდიან, რომ ეკოტერმინი გარდაიქმნას საყოველთაო ხმარების სიტყვად.

**Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia, Giorgi Kuparadze**

### **Specifics of French and English Ecological Terms**

In the presented paper, on the basis of polyparadigmatic theory, we try to discuss French and English eco terms, determine their allomorphic and isomorphic characteristics, and the peculiarities of their functioning. As a result of the analysis of the paradigms of eco terms, we can identify a large number of common features that turned to be the core fundamentals of the French and English eco lexical units; for instance, fr. la liste rouge – Eng. red list; fr. corridor écologique - Eng. conserved corridor, ecological corridor etc. The system of eco terms of the French and English languages has a great scientific expression, accuracy, and refinement of definitions. The eco lexical units are fully reflected in the encyclopaedic dictionaries and specialized glossaries of every field of ecology that contain officially recognized terms in the documents of the administrative and legislative organs, as well as professional slang and publicisms.

New terms of ecology in French and English often originate on the basis of the combination of two roots (fr. informatique, information + automatique; Eng. informatics). For the group of the food products which, at the same time, represent the drugs recommended by doctors, while creating a generic name, the following word is used – aliment (aliment + médicament). Meanwhile, other neologisms have also appeared (médicaliment, nutraceutique, nutriceutique), but in the French language spoken in France and Canada they were not established. This verifies the occasional nature of such neologisms. An Eco-Neologism may sometimes obtain a Human function to criticise or advertise, for example, useful products. In particular, for instance, in the province of Quebec, healthy food products are called aliment fonctionnel, which is a complete cliché of the English term functional food.

Internal, pragmatic, and cultural factors that determine the formation of a new meaning of eco term provide an actualization, resetting of resemantisation mechanism, and make it possible to convert eco term into a term for general usage.

### **ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი**

### **როგორ ვასწავლოთ ქართული ზმნა არაქართულებს**

როგორც ცნობილია, ქართული ენა აგლუტინაციური ტიპის ენაა, რაც გულისხმობს გრამატიკული კატეგორიების გამოხატვას მორფემებით. ქართული ზმნა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ერთ ფორმაში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მრავალი გრამატიკული კატეგორია სათანადო მორფემებით.

ზმნათა კლასიფიკაციას წარმოვადგენთ ზმნის ფორმის მიხედვით, რომელიც არის ენაში არსებული გარკვეული კონსტრუქციების საფუძველი, ვაცნობთ ქართული ზმნისთვის დამახასიათებელი პიროვანი უღვლილების სისტემას, ვასწავლით როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური პირებისა და რიცხვის ნიშნებს.

შემდეგ ეტაპზე ვინყებთ სერიებისა და მასში შემავალი ძირითადი მწკრივების შესწავლას. ვეყრდნობით მ. ნიკოლაიშვილის მოსაზრებას, რომელიც გამოყოფს ზმნათა ორ ტიპს:



I ტიპი – არაცვლადი კონსტრუქციის მქონე ზმნები, რაც გულისხმობს ზმნასთან შეწყობილი აქტანტების ბრუნვაუცვლელ ფორმებს.

II ტიპი – ცვლადი კონსტრუქციის მქონე ზმნები, ანუ ზმნასთან შეწყობილი აქტანტები იცვლის ბრუნვებს სერიების მიხედვით.

ავტორს აქტანტების ნაცვლად შემოაქვს ცნება ძირითადი და არაძირითადი პირი და განსაზღვრავს: ძირითადია პირი, რომლის მიხედვითაც ზმნა იუღლება ანუ იცვლება პირების მიხედვით, ხოლო ყველა დანარჩენ პირს, რომელიც წარმოდგენილი იქნება ზმნის ფორმაში, არაძირითად პირად მიიჩნევს.

არაცვლად კონსტრუქციაში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: სუბიექტური წყობის ზმნები და ობიექტური წყობის ზმნები.

არაცვლადი კონსტრუქციის ზმნებია – ები/-ება დაბოლოების მქონე ზმნები ანმყოსა და მყოფადში (შეიძლება ანმყოში არ ჰქონდეს – ები/-ება დაბოლოება, მაგრამ მყოფადში აუცილებლად ექნება).

ცვლადი კონსტრუქციის შემთხვევაში აქტანტები სერიების მიხედვით იცვლის ბრუნვებს. ისინი ძირითადად თემისნიშნის ან თანხმომავანფუძიანი ზმნებია.

აღნიშნული კონსტრუქციები რეალურად მარტივი წინადადებებია.

## Nino Bagration-Davitashvili

### How to Teach the Georgian Verb to Non-Georgians

It is a well-known fact that the Georgian language is agglutinative, which means that the grammatical categories are expressed by morphemes. The Georgian verb is interesting as well, because many grammatical categories may be represented in one form with appropriate morphemes.

We classify verbs according to their form, which is the base of the constructions existing in the language; introduce the system of personal conjugation which is characteristic of the Georgian verb; teach the markers of Subjective and Objective persons and number. On the next stage we start teaching series and Screeves. We refer to M. Nikolaishvili's view, who divides the Georgian verb into 2 types:

I type – verbs with an unchangeable construction, which implies the indeclinable forms of the actants matched with the verbs.

II type – verbs with a changeable construction, which implies that the actants change their cases according to the series.

Instead of actants the author creates the notion of Basic and Non-basic Person and defines the person according to which the verb is conjugated as a Basic person of the verb and the other persons which are represented in the verb as Non-basic persons.

The unchangeable construction is divided into two sub-groups: the verbs of the subjective order and the verbs of the objective order.

The verbs of the unchangeable construction are the verbs of the -ები/-ება endings in the Present and Future tenses (they may not have -ები/-ება endings in the Present, but they will definitely have these endings in the Future tense).

In the case of a changeable construction, actants change case forms according to the series. The verbs of such construction are mainly the verbs with thematic markers or consonant-stem verbs.

The mentioned constructions are actually simple sentences.

## ცირა ბარამიძე

### ლაბილურობისა და გვარის კატეგორიების ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

მოხსენებაში გაანალიზებულია ლაბილურობის (დღეს უკვე გაუჩინარებული) კატეგორია ქართველურ ენებში. ლაბილურობა იბერიულ-კავკასიური ენების მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელის წამყვანი ოდენობაა. ლაბილურობა გვაქვს იქ, სადაც არის გრამატიკული კლასი და, შესაბამისად, ერგატივი. ლაბილურობის დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენათა ემპირიული მასალის მიხედვით და ენათა სინქრონიული ჭრილების გათვალისწინებით იძლევა შესაძლებლობას, იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ჯგუფებს შორის ქვესისტემათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით აღვადგინოთ ლაბილურობის კატეგორია, როგორც იბერიულ-კავკასიური ენების საკვანძო მორფოსინტაქსური ოდენობა გრამატიკულ კლასსა და ერგატიულობასთან ერთად. ლაბილური კონსტრუქციის ზმნა-შემასმენელი ქმნის აქტანტებისა და ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის ვარირების შესაძლებლობას: ალიყვანა მან იგი (აქტივი) – ალიყვანა იგი = ალიყვანილ იქნა (პასივი). მოიკლა მან იგი (აქტივი) – მოიკლა იგი (პასივი) ხუნძური: ვაცას სთაქან ბექანა (აქტივი) „ძმამ ჭიქა გატეხა“ – სთაქან ბექანა (პასივი) „ჭიქა გატყდა“.

ლაბილურობაშია ჩართული აქტივისა და პასივის სემანტიკა გვარის ჩამოყალიბებამდე; ლაბილურობა გვარის გარეშე გამოხატავს აქტივსა და პასივს. ლაბილური კონსტრუქციების პრიორიტეტია რეციპიენტის (პირდაპირი ობიექტი) მარკირება ზმნაში ნაცვლად სუბიექტისა და, ასევე, ერგატიული კონსტრუქცია იმ ენებშიც კი, სადაც ბრუნვა ერგატივი არა გვაქვს, რადგან ბრუნვა არ ჩამოყალიბებულა (მაგ., აფხაზურში).

ერგატიულობა და ლაბილურობა გადაჯაჭვულია ყველაზე ძველ მორფოსინტაქსურ ოდენობასთან – გრამატიკულ კლასთან. იმ ენებში, სადაც გრამატიკული კლასი კარგად არის შემონახული და უღვლილება კლასოვანია, ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია სრულად ფუნქციონირებს, შეიცავს ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის სემანტიკას და ფორმობრივადაც ზედმინვენით გამოხატავს აქტივსა და პასივს.

აქტივის გამოხატვა პირდაპირ დაკავშირებულია ზმნაში რეციპიენტის გრამატიკული კლასით მარკირებასთან. ობიექტური კლასოვანი უღვლილება არის ამოსავალი მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელი ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენებისათვის ლაბილურობისა და ტრანზიტიულობის გამოხატვის მორფოსემანტიკური შესაძლებლობებით. ამ ენებში (აფხაზურ-ადილური, ნახური, დალესტნური) გვარი არ ჩამოყალიბებულა, რადგანაც არ არის ამის საჭიროება – ლაბილურობის კატეგორია თავის თავში მოიცავს სემანტიკურადაც და ფორმობრივადაც აქტივსაც და პასივსაც, როგორც შემდგომში მოქმედებითი და ვნებითი გვარის შესაძლებლობას. იმ ენებში კი, სადაც კლასი მოიშალა, თანდათანობით შეიზღუდა ლაბილურობის კატეგორია, ამის შემდგომ სემანტიკა აქტივისა და პასივის გრამატიკული ოპოზიციის გამოსახატავად ლაბილურობის ნიალიდანვე წარმოშობს გარდამავლობა-გარდაუვალობასთან ერთად გვარის კატეგორიას; ოღონდ მოქმედებითი გვარის მარკირება სინტაქსურია (კონსტრუქციით განისაზღვრება), ვნებითი კი ფორმდება მოგვიანებით (მაგ., ქართულში).

ამ ენებში (აფხაზურ-ადილური, ნახური, დალესტნური) გვარი არ ჩამოყალიბებულა; რადგანაც არ არის ამის საჭიროება – ლაბილურობის კატეგორია თავის თავში მოიცავს სემანტიკურადაც და ფორმობრივადაც აქტივსაც და პასივსაც, როგორც შემდგომში მოქმედებითი და ვნებითი გვარის შესაძლებლობას. იმ ენებში კი, სადაც კლასი მოიშალა, თანდათანობით შე-

იზლუდა ლაბილურობის კატეგორია, ამის შემდგომ სემანტიკა აქტივისა და პასივის გრამატიკული ოპოზიციის გამოსახატავად ლაბილურობის წიაღიდანვე წარმოშობს გარდამავლობა-გარდაუვალობასთან ერთად გვარის კატეგორიას; ოღონდ მოქმედებითი გვარის მარკირება სინტაქსურია (კონსტრუქციით განისაზღვრება), ვნებითი კი ფორმდება მოგვიანებით (მაგ. ქართულში).

## Tsira Baramidze

### Towards the Interrelation of Categories of Lability and Voice in Kartvelian Languages

The paper analyzes the category of lability (already lost) in the Kartvelian languages. Lability is the leading category of morpho-syntactic frame-model of Iberian-Caucasian languages. Lability occurs where there is a grammatical class and, accordingly, ergative. A diachronic analysis of lability according to the empirical material of Kartvelian languages and on the ground of synchronic aspects of the languages gives a possibility to reconstruct the lability category among the Iberian-Caucasian linguistic groups as the key morpho-syntactic phenomenon of Iberian-Caucasian languages along with the grammatical class and ergativity using the internal reconstruction method of sub-systems. The verb-predicate of a labile construction creates a possibility of variation of actants and transitivity-intransitivity. ალიყვანა მან იგი – “Sb took sb/sth” (active), “Sb/Sth was taken” (passive); მოიკლა მან იგი – “Sb killed oneself it” (active), “Sth was killed” (passive); Avar: ვაცას სთაქან ბექანა – “Brother broke a glass” (active), სთაქან ბექანა, “A glass was broken” (passive).

The semantics of active and passive is involved in the lability until the formation of voice. Lability expresses active and passive without a voice. The priority of labile constructions is marking of the recipient (direct object) in a verb instead of a subject and also even the ergative constructions in the languages which have no ergative case because the declension has not developed (e.g. in Apkhazian). Ergativity and lability are chained to the most ancient morphosyntactic occurrence – grammatical class. In those languages in which the grammatical class is well preserved and conjugation is a class category, the category of lability-stability functions fully, contains the semantics of transitivity-intransitivity and has fully expressed active and passive forms.

The expression of active is directly related to the marking of the recipient with the grammatical class in a verb. Object class conjugation is a primary morpho-syntactic frame model for the languages having the ergative construction with morpho-syntactic possibilities of expressing lability and transitivity. In these languages (Apkhazian-Adygean, Nakh, Dagestanian) the category of voice has not developed; since there is no need for it – the lability category includes active and passive, both semantically and formally, as the possibility of active and passive voices. In those languages, in which the class eliminated, the lability category was gradually restricted, and afterwards the semantics creates a category of voice from lability along with transitivity-intransitivity to express the grammatical opposition of active and passive. However, the marking of the active voice is syntactic (is determined by the construction), and passive is formed later (e.g. in Georgian).

## ნატალია ბასილაია

### ქართული ტოპონიმები ბულატ ოკუჯავას შემოქმედებაში

ყოველდღიურობის თუნდაც ჩვეული/ბანალური მოვლენების მხატვრული შემეცნებისას, ანუ სამყაროს პოეტურ პრიზმაში გარდატეხისას, კოდირების სრულიად ინდივიდუალური კანონზომიერება მოქმედებს. ასევე განსხვავებულია ნორმები და კრიტერიუმები, რომელთაც შემოქმედი მიმართავს აღქმულის გადმოცემისას. ფაქტობრივად, პოეტი მკითხველს კულტურათაშორის დიალოგში ინვესს, რომლის წარმართვის წესებსაც ნაწილობრივ თვითონვე კარნახობს მას, ნაწილობრივ კი მკითხველისგან ელის კულტურათაშორისი კომუნიკაციის კომპეტენციების ფლობას დეკოდირების ეფექტურობის მისაღწევად. წინამდებარე გამოკვლევაში განხილვის საგნად ვაქცევ აღნიშნულ ფენომენს ბულატ ოკუჯავას შემოქმედებაში, რომელმაც საქართველო თავის სულიერ სამშობლოდ აღიარა და იმავდროულად შეეცადა კიდევაც, საკუთარ ქმნილებებში ქართული რეალიებისთვის სიტყვიერი ჟღერადობის შენარჩუნების გზით გაეცოცხლებინა ქართული ხატი და აღედგინა მასთან მიმართებაში მყოფი საქართველოს პანოები. მისი ე.წ. ქართული ლექსების ციკლისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რომ ის იღვწის, ორგანულად ჩააქსოვოს ქართული სიტყვები რუსული ლექსის ქსოვილში, აქციოს მის განუყოფელ ნაწილად. ამას კი პრაქტიკულად აღწევს უარის თქმით ქართული ლექსიკური ერთეულების რუსულ ეკვივალენტებსა თუ ტრანსლირებულ ვერსიებზე და უპირატესობას ანიჭებს ამოსავალი ლექსემების ტრანსლიტერაციას რუსული გრაფემებით. ამ პროცესს ასაზრდოებს თვით პოეტის მიერ ქართული რეალობის აღქმა და ორიგინალის ენაზე სახელდების ტექნიკა.

ნაშრომში გთავაზობთ ამ ტიპის ლექსიკის კლასიფიკაციას და ცალ-ცალკე განვიხილავ: ა) ერთი მხრივ, საზოგადო, ანუ ზემოჩამოთვლილის ანალოგიურ ლექსიკას; ბ) მეორე მხრივ კი, საკუთარ სახელთა სუბკლასებს: ტოპონიმებს – *საქართველო, Кахетия, Мцხета, Махинджаури, Батумი, Тбилиси, Тифлис, Гагры...*; *არაგვი, Метехი, Ушба, Давид-гора, Алазанская долина*; ანთოპონიმებს: *Ламара, Цисана, Натэла, Гиули...*; ერგონიმებს: *хаши, мацони*; ასევე, დაკვირვებას მათ სიტყვათწარმოებით პოტენციალსა და შეძენილ ლექსიკურ მნიშვნელობებზე: *мацонщик, хашная* და ა.შ.

დასკვნით ნაწილში ხაზს ვუსვამ ბულატ ოკუჯავას მიერ ტრანსლიტერაციის ფენომენისთვის მეთოდის ფუნქციის მინიჭების ფაქტს, ანუ მის აყვანას მხატვრული ხერხის რანგში და ვაყალიბებ ამის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს: ა) ბულატ ოკუჯავას მხრიდან ქართულ რეალობაში ზედმინეწვით წვდომასა და ემოციურ მიმართებას მისადმი; ბ) პირად კონტაქტებს ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან და მის ნაწარმოებების ცოდნას; გ) ხატოვანი აზროვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის მაღალ კულტურას.

**Natalia Basilaia**

### Georgian Toponyms in Bulat Okujava's Poetry

Perceiving other traditions, other norms of poetic interpretation of the world through the prism of the usual poetic code, the poet and after him the reader enter into a special kind of intercultural communication.

In order for this communication to take place, a high degree of intercultural competence is needed, which manifests itself in Bulat Okujava's works dedicated to Georgia. To achieve effective decoding of poetry by the reader, the poet, in interpreting the world, is guided by individual laws of coding, peculiar norms and criteria for reflecting manifestations of reality.

The subject of my presentation is the phenomenon of a high degree of intercultural competence in the works of Bulat Okujava, who perceived Georgia as his spiritual homeland and tried to revive Georgian images in his own creations and thus create a Georgian picture of the world. The characteristic signs of the cycle of his "Georgian" poems are the organic interweaving of Georgian words into Russian verse cloth, turning them into its integral part. This explains therewithal of Bulat Okujava to use Russian equivalents or translated versions and preserve the original sounding of words reflecting Georgian realities. The presentation deals with individual cases of the transliteration of Georgian words in the poems of Russian poets, in particular, subclasses of proper nouns: toponyms – Georgia [Сакартველო], Кахети, Мцхета, Махинджаури, Батуми, Тбилиси, Тифлис, Гагры...; Араგვი, Метехი, Ушба, Давид-гора, Алазанская долина; Anthroponyms – Ламара, Цисана, Натела, Гиული...; etc. the word-building potential of Georgian words and acquisition of certain lexical meanings are analyzed. The reception of the Georgian cultural picture of the world in the works of Bulat Okujava, and from them into the artistic system of Russian literature, comes from a good linguistic and cultural knowledge of realities, customs, everyday life, acquaintance with the best representatives of Georgian literature, profound knowledge of the figurative system of native and translated linguocultures and translations of their works into Russian.

## მიხეილ ბახტაძე

### რამდენიმე შენიშვნა ერთიანი საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურის შესახებ

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის სრული ქართული ტიტული უნდა ყოფილიყო „მეფე აფხაზთა და ქართველთა, ტაოისა და რანთა, კახთა“.

პირველად გიორგი III-სთან დასტურდება სრული სახით ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურა – „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შარვანში და შაჰანში და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობითმპყრობელისა“.

დავით VI-ის სიგელში პირველად ჩნდება ქვეყნის მხარე „ჩრდილოეთი“, რომელიც მანამდე არ გვხვდებოდა – „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანში და შაჰანში და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა ფლობითმპყრობელისა“.

როგორც ცნობილია, ბაგრატიონები იწოდებოდნენ იესეიან-დავითიან-სოლომონიანებად. ასე პირველად იწოდება ე. წ. პროვინციის მეფე დავითი 1382 წლის სიგელში.

რაც შეეხება ერთიანი საქართველოს მეფეებს, „დავითიანი“ პირველად დასტურდება გიორგი VII-ის 1387 წლის სიგელში. „სოლომონიანი“ ჩნდება მხოლოდ კონსტანტინე I-ის საბუთში. ხოლო ფორმა „იესეიან-დავითიან-სოლომონიანი“ პირველად ფიქსირდება ალექსანდრე I-ის 1428 წლის 21 იანვრის სიგელში.

XIV საუკუნის ბოლოდან ბაგრატიონთა ტიტულატურაში ჩნდება კიდევ ერთი ფორმულირება – ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი და ორივე სამეფოს გამაერთიანებელი. პირველად ასეთი ტიტული დასტურდება გიორგი VII-ის 1393 წლის 5 ივლისის სიგელში.

## Mikeil Bakhtadze

### Several Remarks on the Georgian Title of the Kings of United Georgia

The full Georgian title of the First King of the United Kingdom of Georgia, Bagrat III should have been “The King of Abkhazians and Georgians, the Taochoi and Rans, Kakhs”.

For the first time, Giorgi III confirms the title of the kings of the united Georgia, “By the will of God the King of Abkhazians, Georgians, Rans, Kakhs and Armenian, of Sharvanshah and Shahanshah and all the East and West.”

In David VI charter for the first time appears the country’s side – “North”. By the will of God the King of Abkhazians, Georgians, Rans, Kakhs and Armenians, of Sharvanshah and Shahanshah and the whole of Georgia and the North.”

As is known, the Bagrationis were called Jesian-Davitian-Solomonians. So is called for the first time the so-called King David of the Province in 1382 charter. As for the kings of the United Georgia, “Davitiani” is first confirmed in Giorgi VII’s 1387 charter. “Solomoniani” appears only in Constantine I’s document, while the form “Jesian-Davitian-Solomonian” is first recorded in Alexander I’s charter of January 21, 1428. From the end of XIV century emerges another formulation in the title of the Bagrationis – the owner of lands on both sides of the Likhi Range and the unifier of both kingdoms. Such a title for the first time is confirmed in George VII’s charter of July 13, 1393

## ირაკლი ბრაჭული

### რელიგიისა და მითის ფილოსოფია საქართველოში

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, ფილოსოფიური პრობლემატიკის კვლევის ცენტრში მოქცეული იყო გნოსეოლოგიური პრობლემატიკა, რომელიც თანდათან გადაიზარდა ტრანსცენდენტალურ ფენომენოლოგიაში. რუდოლფ ოტოს შრომებიდან საფუძველი ეყრება რელიგიის ფენომენოლოგიას. საქართველოში იგივე პროცესები მოგვიანებით, მე-20 საუკუნის ბოლოს გამოიკვეთა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ფილოსოფიურ (და, საერთოდ, ჰუმანიტარულ) აზროვნებაში დომინირებდა ჰაიდეგერისეული „რომანტიკული ჰერმენევტიკა“. იგი გამოხატავდა განმანათლებლური პროექტის და „დიდი ნარატივების“ კრიტიკისა და დესტრუქციის ტენდენციას. რელიგიისა და მითის ფილოსოფიის ახლებური შტუდიები საქართველოში დაუკავშირდა საკრალურის ფენომენოლოგიას, „ნუმინოზურის“ კონცეფციას, კულტურის თეოლოგიას, მირჩა ილიადეს „ჰიეროფანიების“ თეორიასა და სხვა თანამედროვე მიდგომებს. ეს ითქმის იმ ავტორებზე, რომელთაც არ აკმაყოფილებდათ დიურკ ჰემის რელიგიის სოციოლოგია და რელიგიისა და



მითში უფრო ღრმა ინტენციებს ეძიებდნენ. სოციოლოგისტური მიდგომებისაგან განსხვავებულ ძიებებს გამოხატავდა ზურაბ კიკნაძის „ქართული მითოლოგია“ (2016 წ), კახა კაციტაძის „HOMO MILITARIES“ (2001 წ). აღსანიშნავია სხვა გამოკვლევებიც, რომლებიც თემის ანალიზისას ითვალისწინებდა ე.წ. პოსტმოდერნული კონდიციის თავისებურებებს. ამ ნაშრომებში გამოყენებულია რ. ბარტის, მ. ფუკოს, ჟ. დელეზის ფსიქოანალიტიკური მითის თეორიის და სხვა მონაცემები. მითისა და რელიგიის თეორიული მოდელირების ეს ცდები ემყარება ქართული მითოლოგიისა და რელიგიური გამოცდილების ამსახველ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას, რომელიც მსოფლიო რელიგიისა და მითის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა ეს მასალა „ცოცხალი მითის“ თეორიის თვალსაზრისით.

## Irakli Brachuli

### Philosophy of Religion and Mythos in Georgia

In Europe, as well as in Georgia, philosophy in the 20<sup>th</sup> century was marked by the main epistemological problem. The censorship of Marxist ideology suspended the development of philosophical thought in Georgia. The leading philosophers had to move to the sphere of the history of philosophy. From the 70s on, the accent shifted to the sphere of philosophical anthropology. The spheres of religion and ethics remained in a vacuum throughout. The communist censorship forbade any spreading of literature on these themes. There also was a thorough lack of theological education.

Now, during the time that is marked by being in the so-called “post-secular” condition, one part of Georgia’s intellectuals is addicted to Heidegger’s “heroic hermeneutics”, while another part adheres to the deconstructivist type of nihilism. The first decade of the 21st century is marked with philosophical-theological studies, that is, with investigations that aim to fill the vacuum.

Philosophical studies of religion and mythos in Georgia are mostly based on Mircea Eliade’s theory of hierophanies (manifestations of the sacred in the world). This is the main differential that characterizes it from ethnological studies, the main theoretical source of which is Emil Durkheim and his “Les Formes élémentaires de la vie religieuse”. Studies on the conceptualization of native religious and mythological experience are summarized by Zurab Kiknadze in his two-volume research “Georgian Mythology” (Kiknadze. 2016) and in Kakha Katsitadze’s monograph “Homo Militaries” (Katsitadze, 2001). For the general theory of religion and mythos, which tries to hold the very essence of religion and mythos, the articulation of the Georgian material has special importance. Many hypotheses about a spontaneous formation of mythos are to be proved by the presently acting “live myth”.

The philosophy of Enlightenment declared that mythological premises of understanding are superstitious beliefs. The starting point of cognition became a methodological doubt, which had to clean up the valley of thinking from any idols of tradition. First of all, this applies to authorities of Scripture and the Holy Doctrine of the Church.

## მზია ბურჯანაძე

### ირაჯ მირზას პოემა „ზოჰრე და მანუჩეჰრი“ – ვნებისა და კდემის გაბაასება

ირაჯ მირზა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის პოეტია, რომლის სახელი მისი ეპოქისა და მომდევნო თაობების ირანელებისთვის ლექსის ახლებურ გააზრებასთან, სიტყვის და აქცენტების სიახლესთან ასოცირდება.

ირაჯ მირზას ყურადღება მუდმივად მიმართულია სიყვარულის მრავალფეროვანი გამოსახულებების უამრავ ფერში დედაშვილური სიყვარულიც მოიაზრება, ზოგადად მოყვასის სიყვარულიც და სიყვარულიც ქალსა და მამაკაცს შორის.

ამ უკანასკნელის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ მისი დაუმთავრებელი პოემა - მასნავი „ზოჰრე და მანუჩეჰრი“, რომელიც პოეტმა შექსპირის „ვენერა და ადონისის“ საფუძველზე დაწერა. შექსპირის ამ პოემის არჩევით საკუთარი შემოქმედების შთაგონების ნყაროდ და საფუძვლად ირაჯ მირზა უკვე ამკარას ხდის საკუთარ მიმართებას სიყვარულის ფენომენისადმი. ისევე, როგორც შექსპირთან, ირაჯ მირზას პოემაც, ფაქტობრივად, პლატონური და ხორციელი სიყვარულის მუნაზარეა. გარდა ამისა – გაბაასება-გაპაექრება ბუნებრიობასა და სიყალბეს შორის. მითოლოგიური და ლიტერატურული ვენერას ირაჯისეული სპარსული სახელიც – ზოჰრე – შემთხვევითი არჩევანი არ უნდა იყოს. ზოჰრე, ავესტისეული ანაჰიტა, უმანკობისა და, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ნაყოფიერების ღვთაებაა. როგორც ჩანს, ამ სახელით ირაჯს უნდოდა ეთქვა: სიყვარული ბუნებრივია და ის ერთდროულად უმანკოცაა და ხორციელიც, რადგან ხორციელება შობს ნაყოფიერებას. ზოჰრე ეუბნება მანუჩეჰრს: როგორც შენ იშვი, ასევე შენც უნდა შვა სიცოცხლე.

ირაჯ მირზას პოემა 2004 წელს საფუძვლად დაედო პარიზში მცხოვრები ახალგაზრდა ირანელი რეჟისორის მითრა ფარაჰანის მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს. ფილმი ფიქრები და საუბრებია სიყვარულის არსთან დაკავშირებით. სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე რეალური პირების მოსაზრებებს ირაჯ მირზას პოემის ფრაგმენტები აერთიანებს და პოეტურ სახეს აძლევს. კითხვაზე, თუ რატომ დაუდო დოკუმენტურ ფილმს საფუძვლად ირაჯ მირზას პოემა, რეჟისორი პასუხობს: „ლექსი ირანში საფუძველთა საფუძველია. ირანელისთვის სიყვარულზე ლაპარაკი საფარვლისა და ლექსის გარეშე წარმოუდგენელია“.

## Mzia Burjanadze

### Iraj Mirza's Poem "Zohre and Manuchehr" – Conversation of Passion and Modesty

Iraj Mirza is the poet of the first half of XX century. For the Iranians of his epoch and for the next generations his name is associated with innovative rethinking of the poem and a novelty of a word and accents.

Iraj Mirza's attention is constantly focused on the diverse gamma of love. In these colours the different types of love – maternal love, the love towards one's neighbour and the love between a man and a woman are implied.



We should reckon the uncompleted poem – Masnavi “Zohre and Manuchehr” as an expression of the latter, which was written on the basis of Shakespeare’s “Venus and Adonis”. By choosing this poem as the source of inspiration for his works, Iraj Mirza clarifies his attitude towards the phenomenon of love. Actually, just as with Shakespeare, the poem of Iraj Mirza is a talk of platonic and physical love. Besides, it represents a conversation-challenge between naturalness and falsehood.

The Persian name Zohre – chosen by Iraj – should not be coincidental. Zohre, Avestic Anahita, is the Goddess of Innocence and Fertility. With this name, apparently, Iraj wanted to say: love is natural and it is pure and carnal simultaneously, because it gives birth to fertility.

The poem of Iraj Mirza became the basis of the feature-documentary film of the young Iranian director Mitra Farahani, who resides in Paris. The film shows us the thoughts and talks about the gist of love. The fragments of Iraj Mirza’s poem unite the viewpoints of the real people having different social status, and gives them poetic colouring.

When asked why the poem of Iraj Mirza became the basis of a documentary film, the director replied: “The poem is the root of the root in Iran. For an Iranian, it is impossible to talk about love without the verse and the cover.

## მზისა ბუსკივადე

### დროსივრცული მოდელები აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის ინსტიტუტი“

აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის ინსტიტუტი“ შევეცადეთ დროისა და სივრცის საკითხთან მწერლის მიმართების დადგენას. იმავე პერიოდის სხვა მწერლებისგან განსხვავებით, თანფინარის შემოქმედება გაჯერებულია დროის კონცეფციაზე ფიქრითა და იმის განსაზღვრით, არის თუ არა სუბიექტი სამყაროს პასიური რეციპიენტი, თავად სუბიექტი არეგულირებს დროს, თუ დრო მის მიღმა რჩება? მწერალი იზიარებს დროის სუბიექტივისტურ თეორიას. იგი ემხრობა დროის ხანგრძლივობის იდეას, რომელიც სუბიექტის დონეზე გამომუშავდება და განუწილველია. ჩვენთვის საინტერესოა მხატვრული ტექსტის დონეზე მხატვრული დროისა და სივრცის განსაზღვრის საკითხი, რომელიც ორი დიქტომიური ფორმით არის წარმოდგენილი.

მხატვრული დროის დროსივრცული მოდელები გვეხმარება იმის განსაზღვრაში, კონკრეტული ეპოქის მხატვრულ ნაწარმოებებში დროა დომინანტური თუ სივრცე. მე-20 საუკუნის თურქულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი, რესპუბლიკის პერიოდის პირველი ნახევრის ნაწარმოებებში, დომინანტურია დრო. აჰმედ ჰამდი თანფინარისათვის ტემპორალური ტრიადა – წარსული, აწმომ, მომავალი – ერთ მთლიან ჯაჭვად აღიქმება, რმოვლენები თანმიდევრულობით ხასიათდება, ესა თუ ის მოვლენა სუბიექტის მიერ ერთდროულადაა გააზრებული, ანუ ხორციელდება წარსული მოვლენის პერსპექტიული პროექცირება აწმომში. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ წარსულის, აწმოსა და მომავლის გააზრებისას მწერალი სიმბოლურ გზას მიმართავს, აღნიშნული ფიზიკური დრო დეტერმინირებულია კონკრეტულ პერსონაჟებში. რომანი მემუარული ხასიათისაა, ჰყავს აუქტორული მთხრობელი, რომელიც, ერთი შეხედვით, გარეხედვის პერსპექტივიდან აფასებს მოვლენებს, თუმცა მთავარი მოვლენების უშუალო მონაწილე თავად არის. მკითხველი ნებისმიერ მოვლენას, პერსონაჟს სწორედ წარატორის მემ-

ვეობით ეცნობა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია თავად პროტაგონისტის დამოკიდებულება დროსთან და იმის დადგენა, შეუძლია თუ არა მას შინაგანი, სუბიექტური დროის გამომუშავება, რომელიც მას ყოფითი დროის ჩარჩოებიდან გაათავისუფლებს და ალტერნატიული დროის შექმნის საშუალებას მისცემს. რომანში ყოფითი დროის ნივთიერ გამოხატულებას საათები წარმოადგენს. დროის მონაკვეთების ცვლილება მარტივად არ ხდება, იგი პერსონაჟის შინაგან ტრანსფორმაციასაც განსაზღვრავს. მწერალი სივრცის განსაზღვრისას იყენებს როგორც შეკუმშულ, ისე გაშლილ სივრცეს.

შეკუმშული, ვიწრო სივრცის განსაზღვრისას ვხვდებით კონკრეტულ ადგილებს, ისეთს, როგორიც ყავახანაა. ყავახანა ერთი შეხედვით ვიწრო, შეკუმშულ სივრცეს გამოხატავს, მაგრამ მასში მიმდინარე დრო ფართოა და უწყვეტი. ნაწარმოებში დროსივრცული მოდელების გაანალიზება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სიმბოლური სახით ისინი საზოგადოების აზროვნების პროგრესისა თუ რეგრესის მნიშვნელოვან სტრატეგებს წარმოადგენენ.

## Mzisa Buskivadze

### Time and Space Models in Ahmed Hamdi Tanpinar's Novel "Institute of Time"

The presented article is an attempt to establish the writer's attitude towards the issues of time and space in Ahmed Hamdi Tanpinar's novel "Institute of Time". Unlike the writers of the same period, Tanpinar's creative work is saturated with thinking about the concept of time and determining whether the subject is a passive recipient of the universe or not, whether the subject himself regulates time or time stays beyond him. The writer shares the subjectivist theory of time. He supports the idea of time duration, which is developed at the level of the subject and is indivisible. The issue of determining the fiction time and space, represented by two dichotomous forms at the level of the fiction text, is also discussed.

The temporal-spatial models of the fiction time help us to determine which is dominant – time or space in the works of a particular epoch. In Turkish literature of the 20th century, and especially in the works of the first part of the Republic Period, time is dominant. For Ahmed Hamdi Tanpinar, the temporal triad – past, present and future – is perceived as one entire chain, the events are characterized by consequentiality, a particular event is comprehended by the subject simultaneously, i.e. the past event is prospectively projected into the present. Besides, I think that while comprehending the past, present and future, the writer resorts to a symbolic way, the mentioned physical time is determined in specific characters. The novel has a form of memoirs, has an auctor narrator, who, at first glance, appreciates the events from the outside perspective, though, he himself is the direct participant of the main events. The reader gets acquainted with any event or character by means of the narrator, so, the attitude of the protagonist himself toward the time and understanding whether he is able or not to develop inner, subjective time, which can set him free from the everyday life frames and gives him a possibility to create alternative time, is very important. In the novel hours represent the material expression of the time of everyday life. Time periods do not change easily and this change also determines the internal transformation of a character. The writer, while determining space, uses compressed and expanded space. While determining compressed, narrow time we can see particular places, like a coffee house. The coffee house, at a glance, expresses narrow, compressed space, but the time running in it is wide and uninterrupted. The analysis of the time-space models in the work gives us a possibility to conclude that in a symbolic way they are important strategists of progress or regress of thinking of the society.

## დარეჯან გარდავაძე, ელენე გოგიაშვილი, თეა შურღაია

### ერთი ქართული ნარატივი „ათას ერთი ღამის“ XVIII-XIX საუკუნის ევროპულ ადაპტაციებში

საკონფერენციო მოხსენება ნაწილია პროექტისა: ახალი ქართული მასალა „ათას ერთი ღამის“ XVIII-XIX საუკუნის ევროპულ ადაპტაციებსა და ევროპაში პოპულარულ აღმოსავლურ საზღაპრო კრებულებში.

პროექტი მიზნად ისახავს „ათას ერთი ღამის“ XVIII-XIX საუკუნეების ევროპულ ადაპტაციებსა და ამავე პერიოდში ევროპაში პოპულარულ აღმოსავლურ საზღაპრო კრებულებში შესულ ლიტერატურულ ზღაპრებში ქართული რეალიების კვლევას. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი მუშაობს ქართული მასალის ამ კრებულებში მოხვედრის კონკრეტული გზების მოძიებაზე. ამით შესაძლებლობა გვექნება, დავაზუსტოთ ინფორმაცია იმ სოციალური და კულტურული გარემოს შესახებ, საიდანაც ქართული მასალა მიმოქცევაში მოხვდა ევროპულ კრებულებში პოპულარული აღმოსავლური სიუჟეტების მეშვეობით.

ქართული კვალის გამოვლენა და შესწავლა მსოფლიო კულტურულ საგანძურში ზოგადად იყო და დარჩება ქართველ მკვლევართა უპირველეს მისიად და ინტერესის ობიექტად, მით უფრო ისეთი კვალისა, რომელიც სამეცნიერო შესწავლის ობიექტი ჯერ არ გამხდარა.

საკონფერენციო მოხსენებაში საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ გალანის ადრეული მიმბაძველის, ორიენტალისტ ფრანსუა პეტი დელა კრუას (François Pétis de la Croix) 1710-1712 წლებში ხუთ ტომად გამოცემულ კრებულში „ათას ერთი დღე“ (*Les mille et un jours*) შესული ერთი ქართული შინაარსის ზღაპრის – *Histoire du prince de Carizme et de la princesse de Géorgie* – მოგზაურობის ისტორიას.

ეს ტექსტი მოხვდა იმ ზღაპრებს შორის, რომლებიც გამომცემელმა დაამატა „ათას ერთი ღამის“ გალანის თარგმანის მეორე გამოცემას (*Les mille et une nuits, contes Arabes, Traduit en Français par Galland, nouvelle édition par M. Edouard Gauttier, Tome 1, Ed. J.A.S. Collin de Plancy. Paris. 1822*), რომელთაც არაბული „ათას ერთი ღამის“ კრებულთან არაფერი აკავშირებდათ. ამ გამოცემის შემდგომ *Histoire du prince de Carizme et de la princesse de Géorgie* „ათას ერთი ღამის“ სხვა თავისუფალ თარგმანებსა და აღმოსავლური ზღაპრების იმ დროისთვის პოპულარულ კრებულებშიც შევიდა, მაგალითად, 1785-89 წლებში პოლიგრაფების შარლ-იოზეფ მაიესა და შარლ-ჟორჟ-თომას გარნიეს მიერ ორმოცდაერთ ტომად გამოცემულ ზღაპრების კრებულში: „*Le cabinet des fées, ou Collection choisie des contes des fées, et autres contes merveilleux*“, რომელიც დაიბეჭდა პარიზის, ამსტერდამის, ჟენევის გამომცემლობებში და ის XVIII საუკუნეში ფრანგული და აღმოსავლური ზღაპრების ყველაზე ვრცელი გამოცემაა, რომელშიც „ათას ერთი ღამისა“ და სხვა აღმოსავლური ზღაპრების ტექსტებია შესული (*Les Cabinet des Fées (Le Cabinet des fées, ou Collection choisie des contes de fées et autres contes merveilleux)*, (Tome 16 – 1785 – Contes Turcs) traduit Par Galland). ეს ზღაპარი – *History of the prince of Carizme and the princess of Georgia* და კიდევ ბევრი სხვა ზღაპრული ამბავი ქართული რეალიებით შესულია 1812 წელს ჰენრი უილიამ ვებერის მიერ გამოცემულ აღმოსავლური ზღაპრების ინგლისურ კრებულში „*Tales of the*

East“, რომელიც აღმოსავლური წარმოშობის ყველაზე პოპულარულ რომანტიკულ ისტორიებსა და მათ ევროპულ მიბაძვებს შეიცავდა. ცნობისათვის, კრებულში შესულ ზღაპრებს შორის გაბნეულია ასევე სხვა ათეულობით ზღაპარი ქართული გეოგრაფიული რეალიებით (*Tales of the East*, ed. by *Henry William Weber*, Edinburgh, 1812). ჩვენთვის საინტერესო ზღაპარი ხვარაზმელი პრინცისა და ქართველი პრინცესას შესახებ კი მოხვდა 1825 წელს მაქს ჰაბიხტის მიერ თარგმნილ არაბულ ზღაპრებშიც, სადაც შედის „ათას ერთი ღამისა“ და ამ კრებულისთვის მიწერილი სხვა დანამატი ზღაპრები.

საილუსტრაციო ნარატივის „მოგზაურობის“ გზის მაგალითზე მოხსენება წარმოაჩენს ჩვენი პროექტის მნიშვნელობას – ქართული კულტურული ელემენტის გამოყოფა და შესწავლა ამ კრებულებში საქართველოს აღმოსავლურ-დასავლური კულტურული დიალოგის ეპიცენტრში აქცევს, რაც ჩვენთვის დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

**Darejan Gardavadze, Elene Gogiasvili, Tea Shurgaia**

### **One Georgian Narrative in the European Adaptations of “The Thousand and One Nights” in XVIII-XIX Centuries**

The conference report is part of the project: “Georgian materials in the European adaptations of XVIII-XIX centuries of “The Thousand and One Nights”, collections of Oriental tales in Europe.”

The aim of the project is to study XVIII-XIX century European adaptations of “The Thousand and One Nights” and Georgian realities (geographical area, stories, motifs, characters) in the literary fairy tales scattered in Eastern collections popular in Europe at that time. Our aim is to make specific ways of getting the Georgian material in these collections clear, specify information about the social and cultural environment, from which the Georgian material came into circulation in the popular European collections, as well as in the stories of Oriental origin.

Identification and study of the Georgian trace in the World Cultural Heritage is generally the primary mission and interest of Georgian researchers, especially when the phenomenon has not yet been studied.

Georgian material can already be seen with Galland’s early imitators, like François Pétit de la Croix, who in 1710-1712, imitating Galland’s “The Thousand and One Nights” wrote and published the book “The Thousand Days” (*Les mille et un jours*) in five volumes, which included a tale – *Histoire du prince de Charizme et de la princesse de Géorgie*, which was soon included in the second edition of Galland’s “The Thousand and One Nights”, combining popular stories from Pétit de la Croix “The Thousand Days” (*Les mille et une nuits, contes Arabes, Traduit en Français par Galland, nouvelle édition par M. Edouard Gauttier, Tome 1, Ed. J.A.S. Collin de Plancy. Paris. 1822*). From the second edition, the story became popular with other free translators and found its way into famous collections of oriental tales of that time. This tale is the main topic of our report.

The tale “History of the Prince of Carizme and the Princess of Georgia” and many more with Georgian realias were included in “The Tales of the East” in the English collection of Oriental tales published by Henry William Weber in 1812, which also contained the most popular romantic stories of Oriental origin and their European imitations (*Tales of the East*, ed. by *Henry William Weber*, Edinburgh, 1812). The tale of our focus was also included in Arabic fairy tales translated by Max Habicht in 1825, which contained “The Thousand and One Nights” and other additions to the collection.

The identification and study of the Georgian cultural elements in these collections actually place Georgia in the centre of an epoch of East-West cultural dialogue, which is of particular importance to us today.

## ნანა გაფრინდაშვილი

### კლასიკური მწერლობის ინტეგრაციული ფუნქცია (ბელორუსიაში შოთა რუსთაველის იუბილევების მაგალითზე)

კლასიკოს მწერალთა იუბილევების კვლევა მეტად საინტერესოარკულტურათა ინტეგრაციისა და კულტურათა ტრანსფერის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველის იუბილევების შესწავლა. ბელორუსიაში, „ვეფხისტყაოსნის“ აღქმის თვალსაზრისით, გასული საუკუნის 30-იან და 60-იან წლებში ორი „ბუმი“ იყო, რომელსაც ბიძგი მისცა ორმა იუბილემ – რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისა და 800 წლის იუბილევმა. საიუბილეო პერიოდებს ეკუთვნის დიდი ნაწილი იმ ლიტერატურულ-შემოქმედებითი და სამეცნიერო სამუშაოებისა, რომლებიც ბელორუსიაში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის, პოეტური რეცეფციის თუ შესწავლა-პოპულარიზაციის თვალსაზრისით ჩატარებულა.

მწერლის იუბილეს ფორმატში იზრდება კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ინტეგრაციული ფუნქცია და უფრო ინტენსიურად წარმოჩინდება მისი პოტენციალი, რაც მკაფიოდ დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის თავისებურებებით ბელორუსულ ლიტერატურაში.

რუსთაველის იუბილევების ქართულ-ბელორუსული ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში კვლევამ საშუალება მოგვცა, შეგვეფასებინა კლასიკური ლიტერატურის ნიმუშის, „ვეფხისტყაოსნის“, ფუნქციონირების თავისებურებანი ახალ სოციოკულტურულ რეალობაში.

კლასიკოს მწერალთა, კერძოდ, რუსთაველის, იუბილევების აღნიშვნარმძღვრ მექანიზმად იქცა ქართველი ერის ლიტერატურულ-ესთეტიკური ფასეულობების მსოფლიო სალიტერატურო ასპარეზზე გასატანად.

შოთა რუსთაველის იუბილევები ნამდვილად ეპოქალური და მსოფლიო დონის კულტურული ღონისძიებები იყო, რომლებსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ უდიდესი ნვლილი შეიტანეს როგორც ბელორუსული, ასევე მსოფლიო სალიტერატურო სამყაროში რუსთაველის შემოქმედების პოპულარიზების საქმეში.

## Nana Gaprindashvili

### Integrating Function of Classical Literary Writings (on the example of Shota Rustaveli Jubilee celebrations in Belarus)

The study of the jubilee celebrations of Classics writers is of great interest in the context of culture integration and culture transfer. From this point of view, it is important to study the jubilee celebrations of Shota Rustaveli. In Belarus, the “boom” of The Knight in the Panther’s Skin peaked in the 30s and 60s of

the last century. The celebrations of both the 750-year and the 800-year anniversaries of Rustaveli and The Knight in the Panther's Skin created the initial inducement. It is to these jubilee periods that to a large part belongs the literary-creative and scholarly work that has been conducted in Belarus, such as translation of The Knight in the Panther's Skin, its poetic reception, or its study and popularization.

The format of celebrations of a writer's jubilee enhances the integrating function of classical literature and more intensively presents its potential, as clearly evidenced by the peculiarities of reception of the Rustaveli's oeuvre by the Belarusian literary establishment.

Studying Georgian-Belarusian literary relations in the context of Rustaveli Jubilees enabled us to evaluate the specificities of functioning of the classic literary work, The Knight in the Panther's Skin, in a new socio-cultural reality.

Jubilee celebrations of classical authors, and in particular, of Rustaveli, became a powerful mechanism for introducing the literary and esthetic values of the Georgian nation to the world literary scene.

Celebrations of Shota Rustaveli's anniversaries appeared to be truly epochal and world-class cultural events that possessed great national significance as they played a great role in popularizing Rustaveli's creative oeuvre in the global literary world.

## თამარ გელაშვილი

### ჰამლეტის მარადიული კითხვის „ყოფნა“ ტრანსფორმაცია ჯეიმზ ჯოისის რომანში „ლამისთევა ფინეგანისათვის“

უილიამ შექსპირი იმ მწერალთაგანია, რომელზე ალუზიებსაც ყველაზე ხშირად ვხვდებით მოდერნისტ თუ პოსტმოდერნისტ მწერლებთან. ამ კუთხით არც ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებაა გამონაკლისი.

უილიამ შექსპირის შემოქმედებაზე ალუზიები ჯოისის ბოლო რომანში „ლამისთევა ფინეგანისათვის“ იმდენად აშკარა და გამოკვეთილია, რომ ცნობილი მკვლევარი ადელინ გლაშენი ხუმრობით იმასაც კი წერდა, რომ „ლამისთევა ფინეგანისათვის შექსპირზეაო“; ხოლო ჯეიმზ ასერტონი თავის მონოგრაფიაში მართებულად შენიშნავს: „რომანში ლამისთევა ფინეგანისათვის აუცილებლად შევხვდებით შექსპირის ყველა პიესიდან თითო ციტატას მაინც“. შექსპირული ალუზიების სიუხვის ფონზე „ჰამლეტი“ მაინც გამორჩეული ნაწარმოებია, რომლის აჩრდილიც ყველაზე ხშირად გვხვდება ჯოისთან, რაც თავს იჩენს თუნდაც პესრონაჟებს შორის არსებულ პარალელებში: ჰამპრი ჩიმპდენ ეარვიკერი – მეფე ჰამლეტი, ანა ლივია პლურაბელი – გერტრუდა, შემი – პრინცი ჰამლეტი, ისი – ოფელია, შონი – ლაერტე/პოლონიუსი. წინამდებარე მოხსენებაში განხილულია დანიის პრინცის ჰამლეტის მარადიული კითხვის „ყოფნა-არყოფნის“ ჯოისისეული ტრანსფორმაცია. საინტერესოა, რომ ამ კითხვის სახეცვლილ ვარიანტს ჯერ კიდევ რომანში „ულისე“ ვხვდებით, რომელსაც ლეოპოლდ ბლუმი სვამს (ითაკას ეპიზოდი). თუმცა, რომანში „ლამისთევა ფინეგანისათვის“, რომელსაც ავტორი „სიბნელის ნიგნს“ უწოდებდა, ალუზია-რემინისცენციების გამოყენება ბევრად უფრო ბუნდოვანი, რთული და ჩახლართულია. ესა თუ ის შექსპირული/ჰამლეტისეული ალუზია „ფინეგანში“ სხვადასხვა ტექსტებზე მინიშნებებსაც შეიცავს, რაც ტექსტს მრავალნიშნად ხდის. ხოლო ალუზიათა კომპლექსი წარმოქმნის „ფინეგანის“ ინტერტექსტუალურ მრავალშრიან ტექსტს, რომელიც მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.



**Tamar Gelashvili**

### **The Transformation of Hamlet's "To Be or not to Be" in James Joyce's "Finnegans Wake"**

William Shakespeare, who 'After God, has created most', is one of the mostly alluded authors by the modernist and post-modernist writers. As Joyce put it in *Ulysses*, Shakespeare is "the happy hunting ground of all minds that have lost their balance." Joyce seems to be one of those who constantly tried to overdo Shakespeare. William Shakespeare is present in nearly all Joyce's works, but in *Finnegans Wake* it is so vivid and important that Adeline Glasheen even asserted that 'Finnegans Wake is about Shakespeare'. Although her statement seems naïve, it is impossible not to agree with James Atherton, who suggests that "there is at least one quotation from every single play by Shakespeare".

Hamlet is the play which is more than any other present in the *Wake*. Joyce's parallels are frequent, precise and insistent: HCE as King Hamlet, ALP as Gertrude, Shem as Prince Hamlet, Issy as Ophelia, Shaun as Laertes-Polonius.

The present paper deals with the famous question posed by Prince Hamlet and its various transformations in the *Wake*. What makes the *Wakean* allusions on Shakespeare confusing is that Joyce puts Shakespearean allusions jointly with others.

Therefore, one of the challenges of *Finnegans Wake* is its multilayered intertextuality, when the reader is never sure whether the image or a pun alludes to this or that text. However, it is these allusions that make the text suggestive and open to interpretation.

## **მანანა გელაშვილი**

### **ჯოისის „ულისეს“ პოსტმოდერნისტული ვარიაციები ზურაბ ქარუმიძის რომანში „ღვინომუქი ზღვა“**

ჯეიმზ ჯოისის გავლენა ქართულ სალიტერატურო პროცესზე განსაკუთრებით საინტერესო სახეს იღებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, რადგან ამ პერიოდს უკავშირდება როგორც ნიკო ყიასაშვილის მიერ თარგმნილი „ულისეს“ პირველი ეპიზოდების პუბლიკაცია, ისე მისი მოღვაწეობა ლექციების, თარგმნილი ეპიზოდების საჯარო კითხვისა და განხილვის სახით, რაც ქართველი მკითხველისათვის ჯოისის შემოქმედების გაცნობასა და პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

ზურაბ ქარუმიძის დაინტერესება ჯოისის შემოქმედებით 70-იან წლებში იწყება და ყველაზე მძლავრად მის პირველ რომანში „ღვინომუქი ზღვა“ (2000) გამოვლინდა. ეს ნაწარმოები, რომელიც პოსტმოდერნისტული რომანისათვის დამახასიათებელი ინტერტექსტუალობით ხასიათდება, მოდერნიზმის პოეტიკის, კერძოდ „ულისეს“ პოსტმოდერნიზმის პოეტიკის გამოცდილებით აღქმის საინტერესო ნიმუშია. ჯოისის დუბლინის მსგავსად, ქარუმიძის რომანის ლიტერატურული ქრომოტოპი პოსტსაბჭოთა თბილისია, რომელშიც ხორციელდება ძალიან თამამი ენობრივი და ესთეტიური ექსპერიმენტი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში, დასავლური ლიტერატურის დარად, გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ვეღარ განვითარდა.



თავად ავტორი თავის ნაწარმოებს „რომან სიმფონიას“ უწოდებს. მართლაც, „ღვინომუქი ზღვა“ პირველი რომანია ქართულ ლიტერატურაში, სადაც სიუჟეტი თითქმის მთლიანად უარყოფილია. ქარუმიდის რომანში ჯოისის ფანტომი ჩანს როგორც ლინგვისტური ექსპერიმენტირებისას, ბგერნერითა და ალუზიებით თამაშში, ასევე პერსონაჟის დახასიათების ტექნიკასა და სიუჟეტურ დონეზეც კი. ჯოისის ტექსტი ერთსა და იმავე დროს წარმოგვიდგება, როგორც მძლავრი შთამაგონებელი იმპულსი და, ამავე დროს, ირონიზირების ობიექტი, რითიც ავტორს ქართულ ლიტერატურაში დასვლური ლიტერატურული ტრადიციისათვის დამახასიათებელი კარნავალურობა და პაროდირება შემოქვს.

მოხსენებაში გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ იჩენს თავს ჯოისის „ულისეს“ ტექსტი რომანის სხვადასხვა მხატვრულ კომპონენტში (კომპოზიცია, ქრონოტოპი, პერსონაჟის დახასიათება და სხვ.).

## Manana Gelashvili

### Postmodernist Variations of James Joyce’s Ulysses in Zurab Karumidze’s Novel “The Wine-dark Sea”

The impact of James Joyce on Georgian Literary Process became particularly apparent from the 70ies of the twentieth century, when the Georgian translation of the first episodes of Ulysses appeared accompanied by lectures, public talks and readings of translated episodes by Prof. Nico Kiasashvili, whose aim was not only to introduce but to popularize Joyce’s works in Georgia.

Zurab Karumidze’s interest in Joyce’s works starts from that period and finds its representation in the author’s first novel The Wine-dark Sea (2000). This inter-textual work is a provocative attempt to view the poetics of High Modernism, particularly that of James Joyce, from a postmodernist point of view.

Like Joyce’s Dublin, Karumidze’s Post-Soviet Tbilisi, creates a literary chronotope in which the author’s daring linguistic and aesthetic experiment is set. The literary innovation brought about by Modernism which showed its first appearance in the 20ies in Georgian Literature as part of Western Literary Canon, but could not develop due to historical misfortunes, reappeared in the Post-Soviet Era.

Zurab Karumidze calls his book ‘A Novel-Symphony’ and indeed this is the first novel in Georgian Literature, where the plot-structure is almost neglected. Joyce’s phantom appears not only in linguistic play and experimentation with allusions, but even in alluding to some episodes in Ulysses. Joyce’s text is one of the strong impulses for the creation of a new hyper-text and, at the same time, becomes an object of irony, making Karumidze one of the first authors introducing parody and carnivalesque in Georgian novel.

The article analyses a number of examples of how Joyce’s Ulysses functions in the novel The Wine-dark Sea through various artistic components (composition, chronotope, character portraying, etc. ).

## ელენე გიუნაშვილი

### ირანული ონომასტიკის კვლევისათვის ქრისტიანობამდელი საქართველოს ბერძნულ წარწერებში

ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ამ ურთიერთობათა სათავეები უნდა ვეძიოთ ჯერ კიდევ ისლამამდელ ეპოქაში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ირანულ სახელმწიფოებრიობასა და ეროვნულ თვითმყოფადობას. ისტორიულ-არქეოლოგიურ მონაცემთა მთელი კომპლექსი ცხადყოფს იმ გავლენებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოზე (იბერიაზე), როგორც ისლამამდელი ირანის ერთ-ერთ სატრაპიაზე, უკვე აქემენიანების დროიდან დაიწყო.

ეს კონტაქტები უფრო ინტენსიური ხდება შემდგომ, ელინისტურ-პართულ (ძვ. წ. I -ახ. წ. I-III სს.) პერიოდში.

ამ ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეულია მრავალრიცხოვანი ნუმიზმატური მასალა, არქეოლოგიური კომპლექსები, არამეული და ბერძნული წარწერები, გამოვლენილი მცხეთა-არმაზის გათხრების დროს.

ანტიკური ხანის საქართველოში არამეული და ბერძნული დამწერლობა ფართოდ გამოიყენებოდა. ამ ენებზე იქმნებოდა სტელეები, ეპიტაფიები (მცხეთის ვესპასიანეს წარწერა, არმაზისხევის სერაფიტას სტელა), მიძღვნილი წარწერები, არმაზის პიტიახშების სხვადასხვა ნივთებზე (თასებზე, საბეჭდავებზე და სხვ.) შესრულებული ტექსტები.

რქრისტიანობამდელი საქართველოს ბერძნულ ეპიგრაფიკას, ისევე როგორც არამეულს, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესასწავლად, არამედ იმ პერიოდის ირანისა და მისი რომთან მიმართების საკვანძო საკითხების დასადგენად.

ქრისტიანობამდელი საქართველოს ძველი ბერძნული წარწერების კორპუსში (ახ. წ. I-IV სს.) დასტურდება ქართველ დიდებულთა საშუალო ირანული წარმომავლობის საკუთარი სახელების თვალსაჩინო ნიმუშები. ზოგიერთი მათგანი გვიანდელ ქართულ წყაროებშიც გვხვდება, შდრ. მითრიდატე, ამაზასპი, ამასპო, ასპაგური (ასპარუგი), ფარსმანი.

ისინი განეკუთვნება სხვადასხვა დიალექტურ წრეებს (ჩრდილო-, სამრეთ-დასავლურს, ჩრდილო-აღმოსავლურს).

სახელთა უმრავლესობა კომპოზიტებია, რომლებსაც ერთვის ბერძნული გრამატიკული აფიქსები. გამოიყოფა მდედრობითი და მამრობითი სახელები.

სემანტიკურად მათი დახარისხება შეიძლება, როგორც თეოფორულ, საგმირო-სამხედრო საწყისების, და, ზოგადად, სხვადასხვა თვისების გამომხატველ სახელებად.

მოხსენებაში წარმოდგენილია ირანული სახელების (Karpak, Beurazuria, Amazasp და სხვათა) სისტემური ეტიმოლოგიური ანალიზი ბერძნულ წარწერებში, მათი გადმოცემის თავისებურებათა აღნიშვნით.

**Helen Giunashvili**

### **Studies on Iranian Onomastics in Greek Inscriptions of Pre-Christian Georgia**

Historical accounts of pre-Islamic Iran and Ancient Georgia have the most ancient tradition. Dissemination of Iranian culture, already distinguished from the Achaemenid epoch, became deeper and stronger later, during Hellenistic and Parthian periods.

Rich archaeological materials, numismatic data and epigraphic monuments found on the territory of Ancient Georgia (Mtskheta-Armazi, Bagineti, Samtavro, Zghuderi) attest the existence of multifarious cultural contacts between members of Iranian-speaking upper-class and autochthonous Kartvelians from Arsacid times on.

In this respect, Greek epigraphic monuments (I-III cc AD) are particularly interesting.

They were made on different objects: steles (an epitaph and a victory stele), bone plates, wine-pitchers, silver bowls, household items, stones of sanctuary buildings and sarcophagi, jewels (golden rings and bracelets). They are distinguished by their form and content. Some of them are quite extensive, such as Vespasian's stele (I c AD).

The Greek inscriptions of Georgia shed light on a number of cultural-historical problems of pre-Christian Georgia (Iberia) and its interrelations with Ancient Iran and Rome. These monuments attest several administrative terminologies, also titles, personal names, mostly of Middle Iranian origin. Iranian personal names of Greek inscriptions of Georgia reflect various dialect layers – south-western, north-western and north-eastern. Most of them are two-stem compounds and could be classified semantically as theophoric (Mithraic, Zoroastrian), also names with military or heroic connotation and names indicating qualities.

The paper presents a systematic structural-typological, historical-etymological, semantic, and distributive analysis of Middle Iranian proper names attested in the inscriptions (such as Amazasp, Bevrzuria, Karpak, Asparuk, Parsman, etc.) with the cultural-historical context of their penetration.

## **ეკატერინე გოგალაძე**

### **მისალმება-დამშვიდობება მრავალენიკურ კოლექტივში**

2018 წლის ივნისში ქალაქ თეირანში, საადის ფონდის ორგანიზებით, გაიმართა ტრენინგ-კურსი: „სპარსულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდები“. კურსი მიზნად ისახავდა არაირანელ მასწავლებელთა ტრენინგს. შესაბამისად, მსმენელთა კოლექტივი შედგებოდა სხვადასხვა კულტურის, სარწმუნოებისა და ენის მატარებელ ინდივიდთაგან. მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი; წარმოვადგენდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის მიმართულების დოქტორანტი. საკომუნიკაციო ენა იყო სპარსული.

მრავალენიკური კოლექტივის წევრთა ურთიერთობა მეტად საინტერესო სურათს გვიხატავს როგორც ოფიციალური მეტყველების, ისე ყოფითი ჩვევებისა და მათი ვერბალური გამოსატვის თვალსაზრისით.

ფონდის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, კურსის განმავლობაში (ოთხი კვირა), ჩვენი სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, ვისარგებლეთ ამ არაორდინარული და მეტად საინტერესო სიტუაციით და ჩავატარეთ ფატიკური კომუნიკაციის ნორმათა დამატებითი კვლევა.

წარმოდგენილ მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ მისალმება-დამშვიდობების ჟესტურ და ვერბალურ გამოხატვაზე, ვინაიდან სხვა ეტიკეტურ სიტუაციათა შორის (მადლობის გამოხატვა, მილოცვა, დალოცვა, შეთავაზება და სხვა.) მისალმება-დამშვიდობება ფუნქციურად ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

თავმოყრილი მასალის ანალიზმა, მრავალენობრივი და მრავალკუთხედიანი მიკროკოლექტივის ყოფით თავისებურებათა გათვალისწინებით, მეტად საინტერესო შედეგი გვაჩვენა. მოხსენების დროს კვლევის შედეგებს წარმოგიდგენთ სათანადო ცხრილების სახით.

## Ekaterine Gogaladze

### Greeting and Farewell Traditions in Multi-ethnic Groups

In Tehran, in June 2018, Saadi Foundation held a teacher training course for speakers of a foreign language, especially for non-Iranian teachers, about “Teaching Methodology of Persian as a Second Language”. Thus, the group consisted of multi-cultural and multi-lingual individuals as well as people of different religions. I was one of the members of this group as a PHD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The language of communication was Persian.

Relations between the members of the multi-ethnic groups in terms of official speech, as well as in terms of everyday habits and their verbal expressions, depict an interesting picture.

With the consent of the Head of Course, during the course (four weeks), based on our scientific interests, we took an advantage of this unusual and rather interesting situation and carried out additional research on the principles of phatic communication.

In the presentation, attention will be paid to the verbal and non-verbal expressions of greetings and farewells. These two etiquettes were chosen amongst the others (expressing gratitude, congratulating, blessing, offering, etc.) as greetings and farewells are functionally the most important events.

The analysis of the collected material revealed the most interesting results, taking into account the characteristics of multilingual and multicultural micro groups. During the presentation, the results of research will be presented in the appropriate tables.

## ია გრიგალაშვილი

### კარსნელთა ლეგენდა იესოს კვართზე

იესოს კვართის ფლობაზე არაერთი ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას, რადგან ამ სინმინდის დაცვა უდიდესი პატივია ქრისტიანებისთვის. კვართი ეკლესიის ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ლონგინოზ კარსნელმა და ელიოზ

მცხეთელმა, ჯვარცმის შემდეგ, იესოს კვართი მცხეთაში ჩამოაბრძანეს. სამეცნიერო წრეებში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ კვართი სვეტიცხოვლის ტაძარშია დაფლული.

მცხეთასა და თბილისს შორის მოქცეულ ხეობაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდებარეობს სოფელი კარსანი. სოფელ კარსნიდან მცხეთამდე 8 კმ-ია. ჰურიათა ტომის წარმომადგენელი ლონგინოზი წარმოშობით კარსნიდან ყოფილა.

კარსნელთა ლეგენდის მიხედვით, ვიდრე მცხეთაში მიაბრძანებდნენ, მცხეთელ ებრაელებს კვართი დაუბრძანებიათ ქვასვეტზე, რომელიც დღემდე შემორჩენილი საკურთხევლის მოპირდაპირედ, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში, რომელიც ერთნავიანი ბაზილიკაა (ეკლესია განუახლებიათ VIII-IX სს ).

კარსნელთა ლეგენდის თანახმად, მორწმუნეთა ნაკადი არ წყდებოდა, მოდიოდნენ და თაყვანს სცემდნენ კვართს. სნეულნი იკურნებოდნენ. სვეტისადმი თაყვანისცემის ტრადიცია გრძელდება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით: წმინდა ნინო, მეფის ოჯახი და მცხეთელნი ხედავდნენ, როგორ ეპყრა ნათლით მოსილი სვეტი ახალგაზრდა ჭაბუკს სვეტიცხოვლის შენებისას. სვეტის გამოჩინება უფლის ერთან მყოფობის სიმბოლოა. ეს ჩანს ბიბლიიდან, როცა ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს სამშობლოსკენ მიმავალ გზებზე ნათლისა და ცეცხლის სვეტის სახით ეჩვენება უფალი.

არქეოლოგიური კვლევებით დადასტურებულია, რომ ახალი წ. აღ-ით I-III საუკუნეებში კარსანში ჭარბად მოსახლეობდნენ ებრაელები. მათ კარგად იცოდნენ მესიის მოსვლის ბიბლიური წინასწარმეტყველების შესახებ, ამიტომ მღვდელმთავრებს, რომლებიც ხალხს ამცნობდნენ, რომ მალე აღსრულდებოდა ნანინასწარმეტყველები, ბუნებრივია, მრავალი მიმდევარი ეყოლებოდათ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის მიხედვით, იესოს ჯვარცმაზე დასასწრებად საქართველოდან წასულან არა მარტო ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, არამედ მიქაელი და თალენავი. ოთხივე მათგანი ქართლში მცხოვრები ებრაელი იყო.

კარსნელთა თქმულებით ცხადი ხდება: ჩვენს ქვეყანაში მოციქულთა შემოსვლამდე უფლის კვართი შემოუბრძანებიათ იესოს პირველ აღმსარებლებს, რომელთა რიცხვი არცთუ ისე მცირე ყოფილა.

## Ia Grigalashvili

### The Legend of Karsanians about the Honorable Robe of Jesus

Many countries claim to be keeping the Honorable Robe of Christ, as possession of such holiness is a great honor for Christians. The Honorable Robe is a symbol of the unity and integrity of the church. According to the “Conversion of Kartli”, after the crucifixion of Christ, Elioze from Mtskheta and Longinoz from Karsani brought the Honorable Robe to Mtskheta. Scientific circles recognize the opinion that the Honorable Robe is buried in Svetitskhoveli Cathedral.

The village Karsani is located at the confluence of Mtkvari and Aragvi, on the eastern slope of the Trialeti Ridge, in the gorge between Tbilisi and Mtskheta. The distance from the village Karsani to Mtskheta is 8 km. Longinoz, who was Hebrew, was from the village Karsani by origin.

According to the Karsanians' legend, before taking the Honorable Robe to Mtskheta, Hebrews from Mtskheta laid the Honorable Robe on the stone pillar, which is kept up to the present in front of the altar in the church of Virgin Mary (single-naved basilica reconstructed in VIII-IX centuries).

The legend also holds that there was a continuous flow of believers coming to worship the Honorable Robe. Sick people were cured. The tradition of worshipping the pillar is continued in the "Life of St Nino": St Nino, the royal family and the residents of Mtskheta saw how the brightened pillar was held by a young man while constructing Svetitskhoveli. Appearance of the pillar is a symbol of presence of the Lord in this world. It is well revealed in the Bible, when the Hebrews leaving Egypt on the way to Homeland see God in the image of light and the pillar of fire.

Archeological surveys confirm that in I-III centuries CE the Hebrews were overpopulated in Karsani. They knew about the biblical prophecy of coming of the Messiah well, so the priests had a lot of followers. According to the Chronicle "Conversion of Kartli", from Georgia not only Elioz from Mtskheta and Longinoz from Karsani attended the crucifixion of Christ, but also Misael and Talenavi. Four of them were the representatives of the four tribes of Hebrews.

From the Karsanian legend it becomes clear that before the preaching of the Apostles the honorable Robe was brought by the very first confessors of Christ. There were quite a few of them.

## ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი

### მეორე/უცხო ენაზე ლაპარაკის უნარის განმავითარებელი სტრატეგიები

ენის შესწავლის პროცესში ოთხი ენობრივი უნარიდან (მოსმენა, წერა, ლაპარაკი, კითხვა) ერთ-ერთი ყველაზე რთულად დასაძლევია პრობლემა ლაპარაკის უნარების განვითარება. მოხსენების მიზანია, ერთი მხრივ, ქართულის, როგორც მეორე ენის, ლაპარაკის სწავლების პროცესში არსებული სირთულეების გამოვლენა და ანალიზი, ხოლო მეორე მხრივ, მათი გადაჭრის სტრატეგიების შეთავაზება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე არის სოციო-კულტურული კომპეტენციის განვითარება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, კოგნიტური და ფსიქოლოგიური ბარიერების არსებობა შემსწავლელელებში და სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდების ხარვეზები. მოხსენებაში მოცემულია კონკრეტული გაკვეთილის გეგმა, რომელშიც შემოთავაზებულია ლაპარაკის ბარიერების გადალახვის მთავარი პრინციპი - მასალის დახეპირების ნაცვლად ინტერაქციასა და ენის გამოყენებაზე ფოკუსირება. ამ მიზნის მისაღწევად კი ეფექტიანია ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: 1. საუბარი; 2. კითხვა-პასუხი; 3. ახსნა; 4. დისკუსია; 5. პრეზენტაცია; 6. ინტერვიუ; 7. დიალოგი; 8. მაგალითები; 9. განაცხადისა და CV-ს წარდგენა. კვლევისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: დაკვირვება, მასწავლებლების გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუ.

**Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili**

### **Strategies of Developing Speaking Skills in a Foreign/Second Language**

Among the four language skills (listening, writing, speaking, understanding) development of speaking skills is one of the most common challenges. The paper aims to identify and analyze the difficulties in the process of teaching Georgian as a second language and, on the other hand, to offer the strategies to overcome the barriers.

The study has shown that the biggest difficulties are: the development of socio-cultural competence, the development of critical thinking, the existence of cognitive and psychological barriers for learners and the gaps of textbooks and teaching methods. The lesson plan is applied to offer the main activities and strategies that solve the problems in order to develop the speaking skills: 1. Conversation. 2. Question-answer. 3. Explanation; 4. Discussion; 5. Presentation; 6. Interview; 7. Dialogue; 8. Examples; 9. Submission of application and CV. The following methods are used: research, teacher survey, in-depth interview.

### **როზეტა გუჯეჯიანი**

### **პოლ მაგნარელა და ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული ყოფა და კულტურა თურქეთში**

1970-იან წლებში თურქეთის ქართველთა ტრადიციული ყოფითა და კულტურით დაინტერესდა ამერიკელი ანთროპოლოგი პოლ მაგნარელა. იგი 1969-1970 წლებში იკვლევდა თურქეთის ერთ-ერთ დიდ დასახლებულ პუნქტს – სუსურლუკს, რომელიც მდებარეობს ბალიკესირის რაიონში. მეცნიერი ატარებდა საველე-ეთნოგრაფიულ კვლევას ამ მხარეში. მას აინტერესებდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა თანაარსებობისა და მიგრაციის საკითხები. საკვლევად შერჩეულ მხარეში ცხოვრობდნენ მანავები, თურქმენები, „მუჰაჯირი“ თურქები ბალკანეთიდან, „მუჰაჯირთა“ შთამომავლები კავკასიიდან: ქართველები და ჩერქეზები. მეცნიერი დაინტერესდა ქართველთა ყოფითაც. პოლ მაგნარელას ქართველთა ყოფა გააცნო თურქეთის ქართველთა შორის გამოჩენილმა ეროვნულმა მოღვაწემ ახმეთ მელაშვილმა. ახმეთმა ამერიკელი მეცნიერი დააკავშირა ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს ქართველებს. პოლ მაგნარელა ჩავიდა სოფელ ჰაირიეში და დაიწყო ადგილობრივ ქართველთა სოციო-კულტურული მახასიათებლებისა და მიმდინარე პროცესის შესწავლა. პოლ მაგნარელამ გამოიკვლია სოფლის ისტორია, ყოფა და კულტურა, აღწერა სოფლის ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნები: ეკონომიკური ვითარება, ისტორიული რაკურსი, სოციალური ყოფის თავისებურებები. კვლევის შედეგები აისახა პოლ მაგნარელას მონოგრაფიაში: Magnarella, Paul J. The Peasant Venture: Tradition, Migration and Change among Georgian Peasants in Turkey. Schenkman Publishing Company: Cambridge, MA, 1979. 1997 წელს პოლ მაგნარელას მონოგრაფია ითარგმნა თურქულადაც. ამჟამად ქართველი ეთნოლოგები ვამზადებთ მონოგრაფიის ქართულ თარგმანს (ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი).



## Rozeta Gujejiani

### Paul Magnarella and Traditional Everyday Life and Culture of Ethnic Georgians in Turkey

In the 1970-ies the American anthropologist Paul Magnarella took an interest in the study of traditional everyday life and culture of ethnic Georgians in Turkey. In 1969-1970, he carried out a field research in one of the big settlements – Susurluk, which is situated in Balikesir Province in Northwestern Turkey. He was interested in the study of coexistence of various ethnic groups and migration processes. In the research region there lived the Manavs, Turkmens, Muhajir Turks from the Balkans, descendants of Muhajirs from the Caucasus: Georgians and Circassians. Paul Magnarella was studying the everyday life of Georgians as well, which was displayed to him by the famous figure and national leader of Georgians Akhmet Melashvili. Akhmet connected the researcher to the Georgians of the village Hayriye in Inegol district. Paul Magnarella visited the village Hayriye and started the research of socio-cultural characteristics of the locals. He studied the history of the village, being and culture, described its main ethnographic features: economic being, historical development and social being. The results of this study were published in the monograph – Magnarella, Paul J. The Peasant Venture: Tradition, Migration and Change among Georgian Peasants in Turkey. Schenkman Publishing Company: Cambridge, MA, 1979. In 1997 this monograph was translated into Turkish. At the current stage Georgian ethnologists (R. Gujejiani, K. Khutsihvili) are working on the Georgian translation of the book.

## თამარ დემეტრაშვილი, თამარ ლეკვეიშვილი

### მარიამ დადიანის ირანული სამოსი

XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური იყო ირანთან და ეს ვლინდებოდა კულტურის სფეროშიაც. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ამ ხანის ქართველ მეფეთა და დიდგვაროვანთა ტანსაცმელი და მორთულობა ძლიერ ირანულ კვალს ატარებდა.

ამ მნიშვნელოვანი საკითხის კვლევას, სხვა მეცნიერთა შორის, ხელი მიჰყო აგრეთვე ქართველმა ირანისტმა, მაგალი თოდუამ. თუმცა მან ვერ მოასწრო ჩანაფიქრის განხორციელება და მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო მოპოვებული მასალების სისტემატიზაცია.

ჩვენი კვლევის მიზანია აღნიშნული მასალების სრული სისტემატიზაცია, შევსება და შესწავლა. სწორედ ამ მიმართულებით დავინყეთ კვლევა და მოვიძიეთ ახალი მასალები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ XVI-XVII საუკუნეების ირანული და ქართული ჩაცმულობის და სამკაულების შესწავლის საქმეში.

რომოსენებაში წარმოდგენილია საქართველოში დაცული მარიამ დადიანის სამი ფრესკა (სვეტიცხოველი, მარიამ დადიანი და ოტია გურიელი; მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. მარიამ დადიანი მცირეწლოვან ვაჟთან ერთად; წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია. მარიამ მანუჩარის ასული დადიანი). განხილულია ის ისტორიული გარემო, რაც განაპირობებდა ჩაცმულობაში ამგვარი ტენდენციის გაძლიერებას.

ყურადღება გამახვილებულია ტანისამოსის ცალკეულ დეტალებზე და მათ სიმბოლურ დატვირთვაზე.

**Tamar Demetrashvili, Tamar Lekveishvili**

### **Mariam Dadiani's Iranian Clothing**

A lot of works have been dedicated to the Georgian dressing, but research of the history of Georgian garments remains a topical issue even today. It is impossible to explore the history of Georgian clothing without analysing the sources and documents about the clothing of the peoples of the Near East, because, for many centuries, Georgian People had close relations with these nations.

In XVI-XVII centuries Georgia-Iran relations intensified. This factor preconditioned that clothing and adornments of Georgian kings and nobles of that period were manifestly influenced by Iranian culture.

We have studied the important materials of several frescoes, which demonstrate strong Iranian influence on the outward of Georgian kings and nobles. Most of these frescoes had not been explored in this respect and they will be studied for the first time in the context of Iranian influence. The objective of our research work is to investigate and systematize those samples of the wall painting (frescoes) of Georgian Christian Churches of XVI-XVII centuries Georgia, in which the clothes of the depicted church donators, Kings, nobles and their families demonstrate Iranian influence. The paper includes a study of three frescoes of Mariam Dadiani preserved in Georgian churches – Tsalenjikha, Martvili and Svetitskhoveli.

### **თეონა დვალისვილი**

### **ალექსანდრე რომასკევიჩი - ფოლკლორისტი და ირანისტი**

ალექსანდრე რომასკევიჩი (1885-1942) – პეტერბურგის ორიენტალისტული სკოლის აღზრდილი, რომლის სამეცნიერო თვალსაწიერი ვრცელი იყო, კვლევის სიღრმე კი შთამბეჭდავი, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ირანისტიკის განვითარებაში. მოხსენების მიზანია ალექსანდრე რომასკევიჩის – ფართო პროფილის მეცნიერის – ირანისტიკის, ფოლკლორისტიკის, დიალექტოლოგიის, ლიტერატურათმცოდნის, კოდიკოლოგიის პორტრეტის წარმოდგენა, ირანისტიკის წინაშე მისი დამსახურებისა და ამ დარგის განვითარებაში შეტანილი მისი მნიშვნელოვანი წვლილის წარმოჩენა.

რომასკევიჩის სამეცნიერო მემკვიდრეობა ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს – ერთი მხრივ, ავტენტიკური მასალა (მის მიერ ჩანერილი ტექსტები, რომელსაც სხვებიც, კერძოდ, ირანული ენების დიალექტებითა და ფოლკლორით დაინტერესებული მკვლევრებიც იყენებდნენ) და, მეორე მხრივ, მისი ორიგინალური კვლევები, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომელიც მანამდე არავის უკვლევია. ა. რომასკევიჩის ღვაწლი უფრო მეტად დაფასდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ირანში ფოლკლორისტიკა მხოლოდ პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერის იმ ნაშრომებს, რომლებიც ირანული ფოლკლორის კვლევას ეძღვნება. ირანში თითქმის სამწლიანმა მივლინებამ დიდი გამოცდილება შესძინა ა.რომასკევიჩს. მან ქვეყნის სხვადასხვა მხარე მოია-

რა და ჩაინერა ირანული ფოლკლორის ნიმუშები: ზღაპრები, ლეგენდები, სიმღერები, იდიომები. მის მიერ შეკრებილ მასალებში, რომელთა საფუძველზეც მოგვიანებით არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა, სპარსული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრი იყო წარმოდგენილი.

ა.რომასკევიჩის სამეცნიერო ინტერესები სპარსული ლიტერატურის კვლევასაც მოიცავდა. ამასთან, იგი იყო პირველი ირანისტი, რომელმაც ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებებზე, თანამედროვე ირანული პრესის ენის სწავლება დაიწყო და სახელმძღვანელოც შეადგინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის ერუდიცია ხელნაწერების და ე.წ. ლუბოკების კვლევის, კრიტიკული ტექსტების გამოცემა-კომენტირების სფეროში.

ალექსანდრე რომასკევიჩის შრომების დიდი ნაწილი დღემდე არ კარგავს მნიშვნელობას, თუმცა მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, მით უფრო ირანში, ჯერაც ჯეროვნად არ არის დაფასებული. მიიჩნევა, რომ გამოქვეყნებულ შრომებში გამოვლენილი განსაკუთრებული სიზუსტე-სიცხადე, სრულყოფილება, ლაკონიზმი, წყაროების მიმართ კრიტიკული მიდგომა, ობიექტურობა და დოკუმენტირების შესანიშნავი უნარი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მისი შრომების დიდი ნაწილი ხელნაწერებად დარჩა.

## Teona Dvalishvili

### Alexander Romaskevich – Folklorist and Iranologist

Alexander Romaskevich (1885-1942) – a scholar with a wide horizon renowned for in-depth research, has significantly contributed to the development of Iranian Studies. The paper aims to bring a portrait of Alexander Romaskevich – Iranologist, folklorist, dialectologist, literary critic and codicologist – into light, as well as to demonstrate his endowment to the formation of Iranian Studies as a scholarly discipline.

Alexander Romaskevich's scholarly legacy can be divided into two parts: 1. authentic materials – texts recorded by him and 2. original researches which include previously unexplored topics. Romaskevich's deeds will be more highly appreciated if we consider the fact that folklore studies in Iran had barely started to make the first uncertain steps in his time.

This paper pays particular attention to the works of Alexander Romaskevich focused on Iranian folklore. Nearly three-year long mission in Iran was a huge experience for the scholar as he travelled to different parts of the country and recorded various samples of Iranian folklore: fairy tales, songs, idioms, etc. The vast volume of his materials, which later became a foundation of many works, included almost all genres of the Persian oral literature.

Alexander Romaskevich's scholarly interests included teaching Persian literature as well. In addition, he was the first Iranologist to teach modern Iranian press language at the Departments of Oriental Studies of Leningrad Universities and published a respective textbook. Of particular note is Alexander Romaskevich's expertise in researching manuscripts and the so-called lubok literature as well as his ability to comment literary works and publish critical works.

Many of Alexander Romaskevich's works still retain their significance, although his scholarly legacy is not fully appreciated, especially in Iran. It is thought that impeccable accuracy, clarity, perfection, brevity, critical approach toward the sources, impartiality and excellent skills of documentation in his published works could be the reasons why the majority of his works remained unpublished.

## ირინე დემეტრაძე

### სამეტყველო ეტიკეტის საყრდენი ცნებები და შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულები (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე)

ცნობილია, რომ ყველა ენაში არსებობს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფორმულები. ეს კლიშედ ქცეული ფორმულები სამეტყველო ეტიკეტის შემადგენელი ნაწილია. ისინი დაცლილია ინფორმაციული მნიშვნელობისგან და თავაზიანობის გამოხატვას და თანამოსაუბრეებს შორის კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნას ემსახურება. სამეტყველო ეტიკეტის ფორმულები გარკვეული ერის ცნობიერებას და კულტურას გამოხატავს, ამდენად, ისინი განსხვავდება როგორც ყოფითი სიტუაციების, ასევე ენებისა და კულტურების მიხედვით. სამეტყველო ეტიკეტის ისეთი ფორმულები, როგორცაა მისალმება, დამშვიდობება, მილოცვა, დალოცვა და სხვა, ყველა ერის ყოფაში არსებობს. ისინი გარკვეულ ცნებებს ემყარება და მოიცავს მხოლოდ დადებითი კონოტაციის ლექსემებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამეტყველო ეტიკეტის ფორმულებისა და მათი საყრდენი ცნებების მხრივ ენებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებებიც. სამეტყველო ეტიკეტის ნორმების ცოდნა ყველასთვის აუცილებელია, რადგან ის სოციალური პროდუქტია და გარკვეულ პირობითობას ემყარება. მასში ასახულია ენობრივი კოლექტივის ტრადიციები, ქცევის ნორმები, შეხედულებები, ღირებულებები და ცნობიერება.

ამდენად, სამეტყველო ეტიკეტი ერის კულტურის განუყოფელი ნაწილია.

მოხსენებაში განხილულია სამეტყველო ეტიკეტის საყრდენი ცნებები და შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე.

როგორც კვლევამ აჩვენა, სამივე საანალიზო ენაში გამოიკვეთა შემდეგი ცნებები, რომლებიც ადამიანის კეთილდღეობას ასახავს და, შესაბამისად, ფართოდ გამოიყენება სამეტყველო ეტიკეტთან დაკავშირებულ ფორმულებში.

1. ღმერთი
2. ჯანმრთელობა
3. მშვიდობა
4. სიტკბო
5. სიკარგე
6. სიკეთე
7. გამარჯვება
8. ბედი/იღბალი/ბედნიერება

კვლევამ აჩვენა, რომ ისეთ განსხვავებულ ენებშიც კი, როგორცაა ინგლისური, ქართული და რუსული, სამეტყველო ეტიკეტის ფორმულები ერთსა და იმავე ცნებებს ეყრდნობა, რადგან ნებისმიერი ერის წარმომადგენელი ყველა ადამიანის თანდაყოლილი მოთხოვნილებაა ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიტკბოება და ა.შ. თუმცა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებებიც, რომლებსაც საფუძვლად ისტორიული ფაქტორები უდევს, მაგალითად, გამარჯვებისა და მშვიდობის განსაკუთრებული როლი ქართულ სამეტყველო ეტიკეტში.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ყოფაში სამეტყველო ეტიკეტის ფორმულებს ადამიანები ავტომატურად, მათი მნიშვნელობისა და წარმოშობის გაუცნობიერებლად წარმოთქვამენ, ამ ფრაზების დიაქრონიულ ქრილში განხილვა კიდევ ერთხელ ადასტურებს სიტყვის მაგიურ ძალასა და მნიშვნელობას სხვადასხვა კულტურისა და მენტალიტეტის მქონე ენობრივი კოლექტივების ყოფაში.

## Irine Demetradze

### The Key Concepts of Speech Etiquette and Corresponding Phraseological Units (on the material of English, Georgian and Russian Languages)

Every language has a set of formulae corresponding to different communicative situations. These formulae are devoid of informative meaning and serve the function of politeness, creating a favourable atmosphere between the interlocutors. Greetings, farewells, congratulations, blessings and other speech formulae exist in every culture. They are based on certain concepts and embrace only the lexemes with positive connotation. However, there are certain cultural differences regarding the key concepts represented in the speech etiquette formulae. The phrases used in the speech etiquette differ as to the communicative situations, languages and cultures, as speech etiquette is a social product that reflects traditions, customs, attitudes, values and mentality of a given nation.

Research of the ample empirical material and analysis of the semantics and origin of etiquette-related phraseological units have proved that the following key concepts serve as the basis for the English, Georgian and Russian speech etiquette formulae:

1. God;
2. Health;
3. Peace;
4. Sweetness;
5. Goodness;
6. Kindness;
7. Victory;
8. Fortune/Happiness

Although the three languages are quite different, the speech etiquette formulae are based on the same concepts, as representatives of every speech community have an innate urge for health, happiness, sweetness of emotions etc. However, there are certain differences based on the national mentality and history. For instance, the concepts of victory and peace form the basis for Georgian speech etiquette formulae, which is not the case in the other two languages.

Nowadays people use speech etiquette formulae automatically, without thinking about their meaning or origin. Yet, diachronic analysis of these formulae has once again underlined the magic power of words in the lives and cultures of different speech communities.

## მამუკა დოლიძე

### ჩოგბურთი, როგორც ნება და წარმოსახვა

(თამაშის ფენომენოლოგია)

ჩოგბურთის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს თამაშის მონაწილეთა ფიზიკური განვითარების გზამკვლევს და არც მათი ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველს Seadgens. განსხვავება თამაშის ფსიქოლოგიასა და ფენომენოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფენომენოლოგიაში ფსიქოემოციური განცდა არ არის დეტერმინირებული გარეფაქტობრივი რეალობით, არამედ განიხილება, როგორც თავისუფალი ფენომენი, რომელიც წინ უსწრებს ფაქტობრივ სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით ქმნის ახალ რეალობას. ასეთი შემოქმედებითი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ ჩოგბურთის მოედანი თეატრალურ სცენას, ხოლო ჩოგბურთელი – მსახიობს, რომელსაც ამოძრავებს არა ფიზიკური ბრძოლის სიტუაცია, არამედ თამაშის ხელოვნების იდეა.

ჩოგბურთის არც ერთი სახელმძღვანელო არ ისახავს ასეთ მიზანს. სახელმძღვანელო ინერება გამარჯვებულისთვის და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მატჩის მსვლელობაში ვლინდება ორი მონაწილე – გამარჯვებული და დამარცხებული. დამარცხებულის როლი არცთუ უმნიშვნელოა თამაშის დრამატურგიაში. როდესაც მოთამაშე აგებს, მას ეძლევა შესაძლებლობა, დაისახოს სულ სხვა ამოცანა – ნაკლები იფიქროს ანგარიშზე, დასძლიოს შიში და სირცხვილი წარუმატებელი მოქმედების გამო, ყურადღება გადაიტანოს თამაშის ეფექტზე და არა ბრძოლის შედეგზე, განთავისუფლდეს მოგებისკენ სწრაფვის დეტერმინიზმიდან და ითამაშოს ლაღად, თავისუფლად, მეტი შემოქმედებითი ძალისხმევით და არტისტული გარდასახვის განცდით.

არსებობს ორი გზა, რათა მოთამაშემ შეასრულოს ეფექტური მოძრაობა და დარტყმა:

ა / ფიზიკური ვარჯიში, რომ ბურთთან მისვლა და ჩოგანის მოქნევა ხდებოდეს ავტომატურად და იმპულსურად.

ბ/ ძლიერი განწყობა და სურვილი ასეთი მოძრაობის შესასრულებლად.

ფენომენოლოგია ირჩევს მეორე გზას. ეფექტური თამაშის სურვილი შეიძლება არ გაჩნდეს თავისთავად. სურვილის გამოწვევას სჭირდება განსაკუთრებული, სულიერი წვრთნა, რომელსაც ვერ წარმართავს ფსიქოლოგი განწყობის თეორიის ზოგადი პრინციპების მიხედვით. ეს არის პირადი გამოცდილება – სრულიად თავისუფალი, ინდივიდუალური, შემოქმედებითი და განუმეორებელი პროცესი, რომელიც არ ექვემდებარება განზოგადოებას.

მოთამაშის წარმოსახვა აქ უდიდეს როლს ასრულებს. ისევე, როგორც მსახიობს ამოძრავებს მხატვრული სახე და მოქმედების იდეა, ასევე ჩოგბურთელიც, რომელიც უფრო თამაშობს, ვიდრე იბრძვის, საჩოგბურთო სცენაზე იდეალურ მოძრაობას ისახავს მიზნად, რომელიც მის ძალისხმევას ხელოვნებად გარდაქმნის. ის ებრძვის არა პარტნიორს, არამედ ეთამაშება საკუთარ თავს. ქულებს კი არ აგროვებს, არამედ თამაშობს თამაშის გულისთვის, გადადის ფიზიკური რეალობის საზღვარს და ემოციური კათარზისით აღწევს ერთგვარ მეტაფიზიკურ მდგომარეობას.

ჩოგბურთის საზღვრები ფართოვდება. ფიზიკური დაძაბულობის ნაცვლად მოდის ნების თავისუფლება, წარმოსახვის თამაში და ბედნიერების განცდა, რომელშიც ადამიანი შეიძლება იპოვოს საკუთარი ცხოვრების აზრი.

## Mamuka Dolidze

### Tennis as a Will and Imagination (Phenomenology of the Game)

The aim of this essay is neither to develop the physical skills of a player nor to advance in the psychology of tennis. Our attempt is to extend this magnificent game beyond the borders of physical competition, so that we can compare the court to the theatrical scene and consider the actions of the player in the light of an art of performance.

Tennis manuals are useless for this purpose. Revealing the ways of victory, they are written for the winner. They do not take into account that the game, as a performance, consists of two roles: the role of winner and the role of loser.

The role of the loser also appears to be significant for the game. This role refers to some psychological points, which would turn tennis into an actor's affectation.

To surmount the absent-minded state of confusion, means to learn not to pay attention to the score, to put aside the shame and fear of losing the game and to arrive at the joy of creative freedom, concentrated on the effects of theatrical performance.

In the presented essay I will try to use tennis as a medium for revealing this dimension of the art of performance. In this respect, the book of W. Timothy Gallwey – "The Inner Game of Tennis", (1) appears to be valuable for me; however, the author is focused on the psychological aspects of competition, whereas we would like to develop the phenomenological interpretation of tennis.

A phenomenological approach means to transform the psychology of contest into the inner creative art, which would be independent of the external development of the play.

Imagination seems to contribute to this style of inner game. Physical exercise would be replaced by spiritual training, which would lend the fantasy to participate in the match. Artistic images would regulate the actions of the player and supply him with an unexhausted source of energy.

The borders of tennis would become wider. Spreading beyond the physical rivalry, tennis could envelop the immense area of human activity, which can turn this wonderful game into the joyful entertainment of a red letter day, leading the player to a sense of his life.

## ნინო დოლიძე

### ჰასან თავფიკის 21-ე საუკუნის მაკამები

მაკამა კლასიკური არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრია, რომელიც მე-10 ს-ში წარმოიშვა, შემდეგ კი მთელს ახლო აღმოსავლეთში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მაკამამ ებრაულ, სპარსულ, სირიულ ლიტერატურაში შეაღწია, თუმცა ის დღემდე სწორედ არაბული კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად აღიქმება, რომელიც ათ საუკუნეზე მეტია არსებობს და, ფაქტობრივად, დღემდე არ შეუწყვეტია არსებობა. დასავლურ სამეცნიერო წრეებში გაბატონებული აზრის თანახმად, მაკამა მე-19 ს-ის ბოლოდან ნელ-ნელა ქრება. გერმანელმა ორიენტალისტმა კარლ ბროკელმანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მე-20 ს-ის დასაწყისისთვის მაკამამ, როგორც მხატვრულმა ფორმამ, ფუნქცია დაკარგა. ეს ავტორიტეტული



აზრი იმდენად გაბატონდა დასავლურ წრეებში, რომ დღემდე მაკამა სამეცნიერო ყურადღების მიღმა რჩება. სულ სხვა რეალობას ვაწყდებით არაბულ სამყაროში. კერძოდ, ეგვიპტეში არათუ მე-20 ს-ის განმავლობაში, არამედ 21-ე ს-შიც იწერება მაკამები. ეს არის სატირულ-იუმორისტული ხასიათის ტექსტები, რომელიც ქვეყნის რეალობას ეხმიანება.

მოხსენებაში წარმოვადგენ ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამედროვე ეგვიპტელი მწერლისა და პოეტის, ლიტერატურის კრიტიკოსის ჰასან თავფიკის (1943-2014) ნიგნის „შეშლილი არაბის თავგადასავალი“ (გამოიცა 2012 წელს) ანალიზს და მას განვიხილავ, როგორც ნიმუშს 21-ე ს-ის მაკამებისა. თავფიკის მაგალითზე შევეცდები ავხსნა, თუ რა მოსაზრებით აცოცხლებენ ტრადიციულ ფორმას თანამედროვე არაბი ავტორები.

## Nino Dolidze

### The 21st Century Maqamat by Hasan Tawfiq

Maqama as one of the genres of the classical Arabic Literature was created in the 10th century. It was a well-known artistic form in the Middle Ages, extending its influence from India to Spain. From Arabic literature it penetrated into Hebrew, Syriac and Persian culture. Though, until now, it remains as one of the main components of Arabic cultural heritage. In fact, Maqama has existed in the Arabic Literature for more than ten centuries and this literary form is still alive.

The interesting fact is that, according to the thought which dominated in the Western scientific circles, Maqama had perished by the beginning of the 20th century. C. Brockelmann wrote that the maqāma as an original Arabic literary genre, had died and this opinion was canonized in the western academic circles. As a result, Maqama is still outside of the scientific interest.

The reality is quite different. For example, in Egypt Maqama cycles were created not only in the 20th but also in the 21st century. These are texts of satiric-humoristic character which depict the everyday life.

The paper discusses the maqama cycle of one of the modern Egyptian author, poet and literary critic Hasan Tawfiq (1943-2014). His book “Adventures of Crazy Arabs” was issued in 2012. Representing the review of the Maqamat created in the 21st century, I will try to explain the main reasons of survival of the traditional form in the contemporary Arabic literature.

## ნათია დუნდუა

### რუჭული თურქთა ენათათვს და ქართულად გარდმოღებული“ – ქართულ-სპარსული ორენოვანი ხელნაწერი

ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დაცული ხელნაწერი (H-2290) წარმოადგენს ქართულ-სპარსულ გამოთქმათა ორენოვან ხელნაწერს, სადაც ერთმანეთის ქვეშ წარმოდგენილია ქართული ფრაზები და მათი ქართული ასოებით ტრანსლიტერირებული სპარსული თარგმანები.

მოხსენებაში, გარდა ხელნაწერის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერისა, წარმოვადგენთ ქართულ-სპარსული ბგერების ფონეტიკურ მიმართებათა ცხრილს, სადაც ნაჩვენებია

იქნება ყველა დადასტურებული ეკვივალენტი თითოეული სპარსული ასოსთვის (ფონემისთვის). ასევე გამოვთქვამთ ვარაუდებს ხელნაწერის სავარაუდო ავტორის, მფლობელისა და მომხმარებლების შესახებ.

**Natia Dundua**

### **Georgian-Persian Bilingual Manuscript (H-2290)**

Manuscript H-2290 preserved at the Georgian National Center of Manuscripts represents a bilingual manuscript of Georgian-Persian phrases, where in parallel are presented Georgian phrases and their Persian translations in Georgian script.

Besides the paleographical-codicological description of the manuscript, the paper deals with the issues of Georgian-Persian phonetic correspondences: a table will be presented showing all Georgian equivalents of each Persian phoneme attested in the manuscript. Furthermore, the hypothesis about probable users, owners and audience of the manuscript will be expressed.

**თამარ ვეფხვაძე**

### **ქართული მწერლობის განვითარების რამდენიმე ასპექტისათვის „გარდამავალ ხანაში“**

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. „გარდამავალ“ ეტაპს. სწორედ ამ დროს, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, აღინიშნება ქართველი ერის პოლიტიკურ თუ სულიერ ცხოვრებაში ის დიდი ცვლილებები, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს როგორც ქართველთა საზოგადოებრივი ყოფა, ასევე, ნაწილობრივ, მისი ფსიქოლოგიაც.

„გარდამავალი ხანის“, ანუ ქართული პერეომანტიზმის მნიშვნელობა ახალი ქართული ლიტერატურის წარმოქმნა-განვითარების საქმეში ძალზე დიდია. ქართული ლიტერატურის ევროპულ ორიენტაციას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს რუსეთთან შეერთებამ. ამ აქტის შედეგად ქართული მწერლობა გაეცნო რუსული და დასავლეთევროპული მწერლობის ისტორიის მანამდე უცნობ საკითხებს. ახალი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი სიახლე იყო ის, რომ სწორედ მას უკავშირდება ჩვენში ლირიკული პოეზიის თარგმნის ოფიციალური საწყისი. ასეთი ტრადიცია მანამდე არ არსებობდა, ძირითადად, ითარგმნებოდა ეპოსი და რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის თხზულებანი.

„გარდამავალ ხანაში“ რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. რადგან ამ ხანაში ყველაზე არსებითი იყო ქართული რომანტიზმის ჩასახვა და განვითარება, ამიტომაც რუსულ-ქართულ ურთიერთობათა მნიშვნელობაც, ძირითადად, ამ კუთხით უნდა შეფასდეს. სწორედ ამ მიზნით იყო გააზრებული ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებდა ქართულ რომანტიზმს; ეს იყო პიროვნული „მეს“ გაძლიერება, გადალახვა ბედისაგან დასაზღვრული ყოფისა, განსაკუთრებული მიდრეკილება მოვლენათა ფი-

ლოსოფიური გააზრებისაკენ, ბუნების გასულიერება, ბუნების მშვენიერების თვითკმარი ფასეულობის შეგრძნება, ეროვნული კულტურული ტრადიციების დაცვა და განვითარება, ინტერესი ეროვნული ქრისტიანული კულტურული წარსულისადმი. ამ ფონზე რუსულ-ქართული ურთიერთობანი თავისებურ მნიშვნელობას იძენს. მართალია, ეს ურთიერთობანი არ ამოიწურებოდა მხოლოდ რომანტიზმის ლიტერატურული ინტერესებით, მაგრამ საერთო ჯამში ისინი ხელს უწყობდა ქართული რომანტიკული ლირიკის განვითარებას. კერძოდ, ღვთაების რომანტიკული გააზრებით, სოფლის წარმავლობის და, საერთოდ, სევდის რომანტიზაციით, ღვთაებრივი იდეალების ფილოსოფიური და არა მხოლოდ რელიგიური გაგებით. სრულიად განსხვავებული ხასიათის რუსული ლირიკული ნაწარმოებები ითარგმნებოდა ძველი ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი სალექსო საზომებით და მხატვრულ სახეთა სისტემის შესატყვისად. ე. ი. იმ ფორმით, რომლითაც ითვისებდნენ ქართველი რომანტიკოსები ორიგინალური ქართული ლიტერატურის ტრადიციებს.

„გარდამავალი ხანის“ მწერლობა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია რომანტიზმისათვის. XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის ქართველი არისტოკრატიის პოეზია ყველაზე ახლო და უშუალო კავშირშია ქართულ რომანტიზმთან. მართალია, ქართველი ბატონიშვილების ლირიკას არც გამოკვეთილი ესთეტიკური თვალსაზრისი აერთიანებს და არც კონკრეტული ლიტერატურული სიმპათიები, მაგრამ ისინი ერთიანდებიან ერთი საერთო, სისტემური ხასიათის განწყობილებით. ესაა დროის წარმავლობის მწვავედ განცდა და საკუთარი პიროვნული ღირსების დაკარგვა. ბატონიშვილებმა და მათთან ერთად მოღვაწე პირებმა სისტემური სახე მისცეს საქართველოს წარსულზე ფიქრსა და ოცნებას. „გარდამავალი ხანის“ ეროვნულ ქართულ ლირიკაში უკვე შესამჩნევია რომანტიზმისათვის ორგანული ატმოსფეროს შექმნა.

## Tamar Vepkhvadze

### Some Aspects of Development of Georgian Literature in “Transitional Period”

The beginning of the 19th century was marked in Georgian literature by a new epoch. The new Georgian literature starts with Romanticism. There are many novelties in the Georgian literature of that period, but nevertheless it is based on earlier tendencies of ancient Georgian literature. The appearance of a new Georgian literature was due to cultural and historical factors of the epoch. However, its preconditions were developed in the so-called new revival period /Renaissance/ of literature, namely, in the 17th and 18th centuries.

It is obvious that the new Georgian literature was created on the national base. However, it was undoubtedly influenced by other factors, particularly Russian and Georgian literary relations that become more active at the end of the 18th and the beginning of the 19th centuries.

This time is known as “Transitional Period”, when literary traditions coexist with the events of a new epoch.

Due to renovation difficulties “transitional period” lacks original works. Writers concern of this period was wide and it was expressed in the works of Romanticism. But, so far it influenced only translated works and some original ones. Problems with renovation touched all spheres and, though a “new literary style” was initiated, the old tendencies still remained for a long time.

In the “transitional period” – both in the 18th and the beginning of the 19th centuries – lyrics is obviously dominant. In lyrics dominate the old motives, particularly the vanity of vanities and world-weariness.

Russian-Georgian literary links have a long history. They were diversified in the “new rise” of Georgian literature, especially in the “transitional period”. A great number of lyric works were translated from Russian. After a careful study and analysis of the works I chose the translations that show ways and forms of adaptation of Russian lyrics and its transformation in the spirit of national literature.

Before the beginning of the new period, Georgian literature was marked by the formation of Romanticism with the tendency of overcoming Eastern poetry style. By changing Eastern poetry style, Georgia turned towards classical Christian traditions. It caused the “Second Europeanization” in Georgian literature. “Europeanization” is seen in the translated Russian works of the “new rise”. This tendency had been characteristic of Russian literature since “Peter’s time”.

It should be mentioned that Russian-Georgian relations are diversified in the “transitional period”. The most significant event of this period is the initiation of Georgian Romanticism. Russian-Georgian relations are important from this point of view. The main trait of Romanticism is the hypertrophy of “ego”, fatality of life, spirituality of nature, development of traditions of national culture.

On this basis Russian-Georgian relations acquire a peculiar meaning. The relations were not limited only by literature. But nevertheless they promote Georgian lyrics with a sense of divinity, acceptable for both Christian and philosophical approaches.

## ანასტასია ზაქარიაძე

### რატომ არის მორალის ფილოსოფია აუცილებელი ზნეობრივი განათლებისათვის?!

ზნეობრივი აღზრდა განათლების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია მისი ჩართვა თეორიულ დებატებში? რა დოზითაა მისთვის საჭირო ფილოსოფიური მეტოდოლოგია? ძირითადი მორალური თეორიების – უტილიტარიზმი, დეონტოლოგიზმი და ღირებულებათა თეორია – შუქზე დასაბუთებულია მორალური ფილოსოფიის პერსპექტივების, ცნებითი აპარატისა და მეთოდური მიდგომების აუცილებლობა.

## Anastasia Zakariadze

### Why Should Moral Education Involve Moral Philosophy?!

Moral education is ubiquitous, even though it may not always involve complicated theoretical debates – but should it include a dose of philosophy? There are powerful reasons for looking to moral philosophy to learn about real-world ethical action – and, of course, there are risks too. Moral education draws on the philosophical method. This method requires understanding concepts and distinctions, knowing what makes arguments valid, and attending to counter-arguments. Moral philosophy also helps us question unhelpful assumptions and informs us about the ways our values connect to our descriptive

beliefs, such as scientific hypotheses about human psychology. If moral education needs moral philosophy, and moral philosophy needs high theory, how should we proceed? I offer just one suggestion. Most moral theories build on a core insight. Utilitarianism tells us consequences for others' wellbeing matter. Deontology stresses that morality requires each person to accept that they are duty-bound to act in certain ways towards other people. Virtue theory reminds us that character drives action, and that ethical life carries its own rewards. All these insights provide valuable perspectives on the larger mosaic of human moral life. Moral education is at its best when it introduces these different perspectives, and their unique insights.

## რუსუდან ზექალაშვილი

### გერმანული ინფინიტიური კონსტრუქციების გადმოტანა ქართულ ენაში

ინფინიტივი და ინფინიტიური კონსტრუქციები ევროპულ ენებში ძალიან გავრცელებული და მოქნილია, კერძოდ, გერმანულ ენაში მათ მრავალი სემანტიკური ნიუანსის გამოხატვა შეუძლიათ.

ცხადია, განსხვავებული მორფოლოგიური ტიპის არამონათესავე ენებში არ არსებობს სრული შესაბამისობა სხვადასხვა კონსტრუქციის გამოყენებისას. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია ინფინიტიურ და მიმლეობურ კონსტრუქციებთან. ამიტომაც მათი ზუსტი და ადეკვატური თარგმნა საკმაო სირთულეს ქმნის.

გერმანული ტექსტების ქართული თარგმანების შედარება მოწმობს, რომ ინფინიტიური კონსტრუქციების გადმოსატანად ქართული ენა სხვადასხვა საშუალებას მიმართავს:

1. **მასდარს** დამატების (ან ქვემდებარის) ფუნქციით: *მას სურს გერმანიაში სწავლა. მე მინდა შენთან მოსვლა. ის ხედავს ბავშვის ცეკვას. მეგობარი მაიძულებს წერილის დაწერას (შდრ. მეგობარი მანერინებს წერილს). შენ მპირდები სტუმრობას.*

2. **ბივერბალურ კონსტრუქციებს**, რადგან ქართულ ენაში კავშირებითის მწკრივების ძირითადი ფუნქცია სწორედ ორზმნიანი კონსტრუქციის (ორი უღლებადი ფორმის შემცველი შემასმენლის) შექმნაა: *მას უნდა დაწეროს განცხადება. დედას შეუძლია შვილისთვის თავი განიროს. ჩვენი უფროსი ვალდებულია, გამოცხადდეს პროცესზე. მოსწავლეს ნება აქვს, შეენინააღმდეგოს პედაგოგს. ჩემი ძმა ახერხებს, ბერლინში ჩავიდეს. კარგია, ბუნებით დატკეპ და ა. შ.*

3. სხვადასხვა ტიპის **მიმლეობას**, განსაკუთრებით - ნარსული დროის, მომავალი დროისა და უარყოფით მიმლეობებს, რომელთა მრავალფეროვნება და სინტაქსური ფუნქციების ფართო შესაძლებლობები საზგასასმელია. მათი მეშვეობით ქართულში იქმნება კომპაქტური და მოქნილი ფორმები.

მაგალითად, **შედგენილი შემასმენლის** სახელად ნაწილად გამოყენებულია მიმლეობა: *მე დასამუშავებელი // ნასაკითხი მაქვს ეს წიგნი; მე სანახავი მყავს მეგობარი. ეს წიგნი დასამუშავებელია // ნასაკითხია; ჩემი მეგობარი სანახავია.*

მიმლეობა **ვითარებისა** და **მიზნის გარემოებების** ფუნქციით ქართულში ვითარებითი ბრუნვის ფორმით გამოიყენება ვნებითი გვარის უარყოფითი მიმლეობა (*წიგნის დაუმუშავებლად ინსტიტუტში ვერ წავალ; მუზეუმის უნახავად ქალაქში ვერ დავბრუნდები*) ან მომავალი

დროის მიმღეობა (ბიბლიოთეკაში მივდივარ წიგნის დასამუშავებლად. ქალაქში მივდივარ მუზეუმის სანახავად).

ქართულ ენაში საგრძნობია ოდენ პრეფიქსული მიმღეობის სუბსტანტივაციის ტენდენცია. გაარსებითებულმა მიმღეობამ კი შეიძლება შეასრულოს როგორც ქვემდებარის, ისე დამატებების (მათ შორის - უბრალო დამატების) ფუნქციები.

## Rusudan Zekalashvili

### To the Question of Transferring German Infinitive Constructions into Georgian

The infinitive and infinitive constructions are widely spread among the European languages in general. They are very flexible in use. Namely, in German such constructions can deliver several semantic nuances.

It is well known that in the languages which are not related to the family of European languages and have different types of morphology, there are no full correspondences in using the mentioned types of constructions. The fact is especially obvious when we deal with the participle and infinitive constructions. Consequently, precise and adequate translation of such constructions from European to the mentioned types of languages is a hard task.

The comparison of different translations from German into Georgian shows that Georgian language resorts to the use of several means aiming to deliver the German infinitive constructions into Georgian:

**1. Masdar** in the object (or sometimes in the subject) function: *mas surs germaniashi s ts'avla* ('he wants to study in Germany'); *me minda shentan mosvla* ('I want to come to you'); *is khedavs bavshvis tsekvas* ('he sees the child's dance'); *megobari maidzulebs ts'erilis dats'eras// mats'erinebs ts'erils* ('a friend of mine forces me to write a letter'); *shen mp'irdebi st'umrobas* ('You promise to visit me').

**2. Biverbal constructions** – this choice is due to the fact that the main function of the Georgian series expressing the subjunctive mood is exactly the creation of a predicate containing a two-verb construction or two conjugated verb forms: *mas unda das'eros ganckhadeba* ('he wants to write an application'); *dedas sheudzlia shvilistvis tavi gats'iros* ('mother can sacrifice herself for her child'); *chveni ufrosi valdebulia gamockhaddes protsesze* ('our chief is obliged to attend the court'); *k'argia bunebit dat'k'be* ('it is good to enjoy sightseeing in nature').

3. Different types of **participles**, especially past, future and negative participles, the diversity and wide range of syntactic functions of which should be especially mentioned and underlined. By means of participles, compact and flexible forms are created in Georgian.

In the following examples the participles are used as nominative parts of the **compound predicates**: *Ich habe dieses Buch zu bearbeiten/ zu lesen. me dasamushavebeli/ ts'asak'itkhi makvs es ts'igni* ('I have this book to be worked on//to be read'); *Ich habe meinen Freund zu besuchen. me sanakhavi mq'avts megobari* ('I have my friend to be seen') – or: *es ts'igni dasamushavebelia// ts'asak'itkhia*. *Dieses Buch ist zu bearbeiten// zu lesen.* 'this book should be worked on//should be read'; *chemi megobari sanakhavia.* *Mein Freund ist zu besuchen.* 'my friend is to be seen'.

The participles in the function of the **adverbial modifiers of manner (Ohne... zu+Inf.; statt... zu+Inf.)** and **of purpose (um... zu+Inf.)** are delivered by the forms of the adverbial case in Georgian: in one instance as negative participles in the passive voice: (*ts'ignis daumushaveblad inst'it'ut'shi ver ts'aval* ('I won't go to the Institute without having completed the work on this book') and the other instance is the



purpose expressed by the future participle: *bibliotek'ashi mivdivar ts'ignis dasamushaveblad* ('I am going to the library to work on this book').

There is a clear tendency in the Georgian language of substantivisation of the participle only by means of prefixes. As for the participle which turns into a noun, it can function either as the subject or as the object (a simple object included).

## ნინო თომაშვილი

### ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიური აზროვნების პროცესში

ენის ფილოსოფიისა და ზოგადად ლინგვისტიკის პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერთა მიერ ენის ფუნქციების კვლევა, მათი განსხვავებული მოდელების ძიება და შესწავლა თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში ინტენსიურად მიმდინარეობს და მუდმივი დახვეწისა და გაფართოების პროცესშია.

კვლევებით დასტურდება, რომ ენას, უკვე დასახელებულების გარდა, აქვს კიდევ ბევრი სხვა ფუნქცია; ეს იმას მოწმობს, რომ ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი რაიმე პრინციპი (თუკი ასეთი არსებობს), რომელიც საშუალებას მისცემს მკვლევრებს, მიმოიხილონ, პოტენციურად მაინც, ენის ყველა შესაძლო ფუნქცია, თუმცა მხედველობაშია მისაღები ენობრივი თამაშების, მრავალფეროვნების განსაზღვრის ლ. ვიტგენშტაინისეული დებულება.

ენის ფუნქციათა კვლევაში მნიშვნელოვანი იყო კ. პოპერის კონცეფციაც. მისი აზრით, არსებობს კორელაცია ენის ფუნქციებსა და დისკურსის ტიპებს შორის, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაციური აქტები. დისკურსის თითოეულ ტიპში ენა ავლენს სპეციფიკურ ფუნქციებს, მაგ., მეცნიერების ენაში დომინირებს დესკრიფციული, არგუმენტაციული და დეფინიციური ფუნქციები.

დეფინიცია, როგორც მეცნიერების ენის დომინანტი ფუნქცია, გარკვეული ტერმინის მნიშვნელობას ქმნის სხვა ტერმინების კომბინაციების გამოყენებით, რომელსაც თან ახლავს სპეციალურად ამ მიზნის გამომთქმელი სიტყვები. პოპერის აზრით, დასაბუთების პროცესში ენა ავლენს გამომსახველობით ფუნქციას, რადგან წარმოადგენს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური შინაგანი ვითარების გარეგან სიმპტომს. გარდა ამისა, რამდენადაც ენა ადასტურებს გარკვეულ შეხედულებებს რაიმე ვითარების შესახებ, ის დესკრიფციაცაა და რამდენადაც რაიმე შეხედულების დასაცავად მოიძიებს საჭირო საბუთებს, ის ასრულებს არგუმენტაციულ ფუნქციასაც.

მეცნიერების ენის დომინანტი ფუნქციები, ცხადია, ფილოსოფიური აზროვნებისთვისაც დამახასიათებელია. თუმცა ფილოსოფიაში ენის მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ ევოკაციური, მასტიმულირებელი ანუ სასიგნალო ფუნქციაც, რომელიც კ. ბიულერმა ენის, უფრო ზუსტად, მეტყველების, სამ მთავარ ფუნქციას შორის დაასახელა. იგი მიმართულია მსმენელში გარკვეული აზრების, შეფასებების, გარკვეული ქმედების განსახორციელებლად განწყობის შესაქმნელად. ასე გაგებულ ენას შეუძლია მსმენელში აღძრას კითხვებზე პასუხების ძიების სურვილი. და არა მხოლოდ მსმენელში, არამედ იმ ადამიანშიც, რომელიც მართავს კომუნიკაციის პროცესს, გადასცემს ინფორმაციას და, ამავე დროს, თავადაც შინაგანად



„მეტყველებს“, ფიქრობს. ფილოსოფიაში ენის ამ ფუნქციის დომინანტური როლი კარგადაა გამოვლენილი პლატონის დიალოგებში.

ფილოსოფიას, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის პრეტენზია აქვს. როგორც ჰაიდეგერი ამბობს, იგი არის შემეცნების ბერძნული ორიენტირი, გზა, შეკითხვების დასმის წესი. ენა ფილოსოფიურ დისკურსში სტიმულატორია ამ კითხვებზე პასუხების მოძიებისა.

## Nino Tomashvili

### Dominant Functions of Language in the Process of Philosophical Thinking

The study of language functions, the search and analysis of their various models are intensely carried out and constantly developed and expanded in science by those scholars who are interested in the philosophy of language and problems of linguistics in general.

Studies prove that, besides the already listed functions, language has many other uses as well; it means that there is not yet found a principle (if such exists) which will enable scientists to discuss, at least potentially, all possible functions of language, though L. Wittgenstein's conception of defining the variety of functions by means of the variety of language games should be taken into consideration.

K. Popper's conception is important in the studies of language functions as well. According to Popper, there is a correlation between language functions and discourse types in which communication acts take place. In each type of discourse language reveals specific functions, e. g. in the language of acts descriptive, argumentative and definitive functions dominate.

The definitive function, as a dominant function of science, creates the meaning of a certain term using combinations of other terms which are accompanied by the words deliberately expressing this objective. Popper thinks that in the process of argumentation language reveals an expressive function since it presents an external symptom of a physical or psychological internal state. Besides, as language asserts certain opinions concerning some circumstances, it is also descriptive and since it obtains necessary proofs to defend a certain opinion, it performs an argumentative function as well.

Dominant functions of the science language, of course, are characteristic of philosophical thinking as well. Though evocative, stimulative or signal function, which was named by K. Bühler among the three main functions of language or, more precisely, speech, also should be considered as an important function of language in philosophy. It is directed towards forming certain ideas, evaluations, readiness to perform certain acts in listeners. Language interpreted in such a manner can arouse in listeners desire to look for answers to questions; and not only in listeners but also in the person controlling the process of communication, transferring information and, at the same time, "speaking" himself internally, thinking. The dominant role of this function of language in philosophy is perfectly demonstrated in Plato's dialogues. Philosophy, like other sciences, has an ambition to comprehend mysteries of the universe. As Heidegger stated, it is a Greek reference point, a way, a rule to ask questions. In philosophical discourse language stimulates a search of answers to these questions.

## ხათუნა თუმანიშვილი

### ენასთან დაკავშირებული ანდაზების ტიპოლოგიისათვის განსხვავებულ კულტურათა კონტექსტში (ქართულ და არაბულ კორპუსთა ბაზაზე)

კომუნიკაციის გლობალიზებულმა სისტემამ შესამჩნევად გააფართოვა ხალხთა ლინგვო-კულტურული კონტაქტები. სპეციალურ სამეცნიერო წრეებში მუდმივი მსჯელობის საგნად იქცა განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგზე საუბარი. თანადროულმა გამოწვევებმა პარემიოლოგიაშიც ლოგიკურად მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ უკვე გლობალურ ქრილში სვამს საკითხს ანდაზური ენის ფუნქციაზე თანამედროვე კულტურაში. ამიტომ დღეს (ეროვნული ფონდების შემდგომ შესწავლასთან ერთად) უმნიშვნელოვანესი გახდა განსხვავებული ლინგვოკულტურული მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ფონდების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში. ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი ხდება როგორც განსხვავებულ ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება (თითოეულის ეთნიკური იდენტურობის გამოყოფა), ისე კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (კულტურათაშორისი მსგავსების ნიშნულების) დადგენა. მოცემულ შემთხვევაში თემის აქტუალობა იმითაც არის განპირობებული, რომ ქართულ არაბისტიკულ სამეცნიერო კვლევაში ახალი თემის შემოტანის პირველი მცდელობაა.

ცხადია, ანდაზა დიდი თემაა... ამჯერად ჩვენი ყურადღება შეჩერდა ე. წ. „ენის“ თემაზე. ქართულ და არაბულ ანდაზურ ფონდებში დაძებნილი (სრული და აზრობრივი) პარალელების საფუძველზე, შეპირისპირებით პლანში გაანალიზდა მოცემულ საზოგადოებებში ჩამოყალიბებული მსოფლხედვა (ადამიანურ ურთიერთობებში დაფიქსირებული მრავალფეროვანი გამოცდილება) ამ მუდამ აქტუალური („ენის“) ფენომენის შესახებ.

ძიებისას პოსტულატად იქნა აღებული პრაქტიკულად უნივერსალური სენტენცია: ქართ.: „ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივე ჩემი მეგობარი“ / არაბ.: „ო, ენავ, შენი წყალობით ადამიანი ან ამალდდება ან დამდაბლდება“. ის ადამიანურ ურთიერთობებში ენის (ავად თუ კარგად) მოქმედებით გამოწვეულ მიზეზშედეგობრივ კავშირებზე დაკვირვების (შეჯამებით) შეფასებას წარმოადგენს. მასზე (როგორც მთავარ თემაზე) დაყრდნობით, ტიპოლოგიურად განისაზღვრა (ქვეთემებად დალაგდა) მოცემულ სემანტიკურ მოდელში შემავალი „ენის“ მრავალპლანიანი მიმართებები. დადგინდა თითოეულის ზოგადაზრობრივი განფენილობის პარამეტრები (მეტიც, ზოგჯერ ურთიერთსაინანაღმდეგო კონტექსტებში რეალიზების პერსპექტივები). ამგვარი მიდგომა თავისთავად უზრუნველყოფს მაგალითების სინონიმურ, კვაზისინონიმურ და ანტონიმურ დაჯგუფებას.

არაბული მაგალითების უმრავლესობა ჩანერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ (სირიელი, ლიბანელი, ეგვიპტელი, ერაყელი) ინფორმანტებისაგან. შესაძლო უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, ანდაზების შესწავლით დაინტერესებული მაძიებლისთვის (ვისთვისაც არაბული არამშობლიური ენაა) ყველაზე სწორი გეზი ინფორმანტებთან უშუალო კომუნიკაცია აღმოჩნდა. სათანადო კონტექსტებში გადააზრების საფუძველზე დაზუსტდა მოცემულ ეთნოცნობიერებაში მოცემულ მოვლენასთან მიმართებით (საგნებსა და მოვლენებს შორის) დადგენილი წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებები.

**Khatuna Tumanishvili**

### **On the Typological Research of Proverbs Connected with Tongue in the Context of Different Cultures (based on Georgian and Arabic materials)**

Modern globalized communication system significantly expanded linguocultural contacts of different peoples. The structure of new epochal challenges in the field of phraseological research too logically caused the necessity to pose the question of the function of figurative language in contemporary culture already in global context. Therefore, today (together with further research of national collections), it is important to study interlingual evidence in comparative context, in order to obtain a common stock of international collections with their diverse functions in different cultures.

The above-mentioned demonstrates the urgency of the given topic and defines the object of the present study: interpretation of the proverb – a formula modeled as a certain concept in a given mentality – in the context of different cultures (Arabic/Georgian). In this case the urgency of the topic is also due to the fact that this is the first attempt to introduce a new topic into Georgian Arabistics.

The present Work is based on the analysis of (as a main) semantic model – “My tongue is my enemy and my friend as well”. Illustrative (Georgian and Arabic) material is divided into: a) exact equivalents, b) semantic equivalents. The work also includes abstract information about the proverb.

All Arabic examples are recorded and translated from an Arabic primary source – directly from Syrian, Lebanese, Egyptian, Iraqi informants. To avoid possible inaccuracies, for a researcher (not a native speaker of Arabic) interested in studying proverbs, the best way proved is a direct relationship with informants. By re-interpretation in the appropriate context, imaginary logical relations established with respect to a particular phenomenon in given ethnoconsciousness (between things and phenomena) were specified. Based on such approaches, it becomes possible to identify Georgian and various Arabic ethnocultures (to define the ethnic identity of each), simultaneously, to determine globalization characteristics of cultures (intercultural similarity markers).

**მაია თუხარელი**

### **კომიკური პოემა - ჟანრის ევოლუცია რუსულ ლიტერატურაში XVIII-XIX სს-ის დასაწყისი**

რუსული კომიკური პოემის ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა მისი „ქვედა“ და „სალონური“ სახესხვაობანი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან პოეტიკისა და გენეზისის მრავალი თვისებით. „ქვედა“ კომიკური პოემა ევროპული კომიკური ეპოსის სინთეზირებას ახდენდა სამყაროს ბურლესკური გარდაქმნის რუსულ ლიტერატურაში არსებულტრადიციასთან, რომელიც წარმოდგენილი იყო იუმორისტული ფოლკლორული ნაწარმოებებით, ძველი რუსეთის ლიტერატურული პაროდით, ლექსად თქმული პაროდით და, ნაწილობრივ, XVIII ს-ის იგავებითაც, რამაც განაპირობა მისი სტილისტური ორგანიზება და პაროდული საწყისის დომინირება ადრეული ნიმუშების ჟანრულ სტრუქტურაში. „სალონური“ კომიკური პოემა აღმოცენდა „ქვედა“ ტიპის პოემის ჟანრული სტრუქტურის გარ-

დაქმნის საფუძველზე. ეს გარდაქმნა კი იყო შედეგი როგორც ახალი ევროპული ჟანრების მოდელთა ათვისებისა, ისე რუსული ლიტერატურის დამუშავებისა ირონიული თხრობის დარგში, რამაც ხორცი შეისხა ა. პ. სუმაროკოვის, მ. მ. ხერასკოვისა და მათი მიმდევრების იგავარაკულ შემოქმედებაში, მ. დ. ჩულკოვისა და ვ. ა. ლევინის პროზაში.

რთავისი ჩამოყალიბების პროცესში რუსული კომიკური პოემა თანდათან იცვლება და მისი მიზანი მასალის პაროდული გაშუქება კი აღარ არის, რაც დამახასიათებელი იყო ჟანრის „ქვედა“ სახესხვაობის ადრეული ნიმუშებისათვის, არამედ მისი პაროდული გამოყენება და პაროდის ამოცანის ნეიტრალიზაცია მთლიანად. რუსული კომიკური პოემა ლიტერატურული მიზნებიდან თანდათან ინაცვლებს ლიტერატურის გარეშე მიზნებისკენ. კომიკურ პოემაში პაროდული საწყისის შესუსტებასთან ერთად ხდებოდა ჟანრის სტილისტური ევოლუცია „ქვედა“ ტიპის კომიკურ პოემაში სტილთა ბურლესკური შეჯახებიდან „მაღალი“ და „დაბალი“ კატეგორიების ჟანრის „სალონურ“ სახესხვაობაში ნეიტრალიზაციისკენ.

ჟანრის ევოლუციის კვალდაკვალ, „ავტორის სახე“ „ქვედა“ კომიკური პოემის ჟანრული სტრუქტურის მეორეხარისხოვანი კომპონენტის პოზიციიდან „სალონური“ ტიპის კომიკური პოემის წამყვანი, ჟანრის მაფორმირებელი ნიშან-თვისების ადგილზე გადადის. ამასთან, კომიკური პოემების შემქმნელთა ძირითადი შემოქმედებითი ინტერესი პაროდირების ამოცანიდან თხრობის პრობლემების დამუშავებაზე ინაცვლებს.

კომიკური პოემის ჟანრული სტრუქტურის მთავარი კომპონენტი გახდა მკითხველზე ორიენტირება. პოეტის მიერ წარმოდგენილი მკითხველი აქტიურად ერთვება საკომუნიკაციო ჯაჭვში „ავტორი – ტექსტი – მკითხველი“, „ტექსტისმილმა“ პერსონაჟიდან გადაიქცევა ფიგურად, რომელიც მონანილეობს შემოქმედებით პროცესში; მას გავლენა აქვს როგორც ტექსტის სტილისტურ კონცეფციაზე, ისე მის თხრობის სტრატეგიაზე.

კომიკურმა პოემამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ა. ს. პუშკინის რომანის „ევგენი ონეგინი“ და პოემების „გრაფი ნულინი“ და „სახლი კოლომნაში“ უფაბულო გეგმის, თხრობის პრინციპებისა და სტილის ჩამოყალიბებაში.

## Maya Tukhareli

### Evolution of the Genre of a Comic Poem in the Russian Literature of XVIII-the Beginning of XIX cc.

In the course of evolution of the Russian comic poem, its “bottom” and “drawing-room” varieties were formed, which differed significantly in many features of their poetics and genesis. The “bottom” comic poem synthesized the artistic experience of the European comic epos with the Russian literary tradition of the burlesque transformation of the world, represented by works of funny folklore, parody literature of the Early Rus, poetic parody and, partly, fables of XVIII century.

In the process of its formation, the Russian comic poem gradually moved from the purposes of mock coverage of the material, typical for the early examples of the “bottom” variety of the genre, to its parodical use and neutralization of the parodical task as a whole, from literary – to extra-literary purposes as far as the evolution of the genre had been weakening from a burlesque collision of styles in a comic poem of the “bottom” type to the neutralization of the “high” and “low” categories in the “the drawing room” genre.

As the genre evolved, the “character of the author” moved from the position of a secondary component of the genre structure of the “bottom” comic poem to the position of the leading genre-forming feature of the comic poem of the “drawing-room” type, which overmastered all other genre components. At the same time, the main creative interest of the authors of comic poems has shifted from the tasks of parodying to the development of narrative problems.

An essential component of the genre structure of comic poems was focusing on the reader. The reader imagined by the poet is actively involved in the communication chain “author – text – reader”, transforming from a “off-textual” character into a figure who takes part in the creative process; the reader effects both the stylistic concept of the text and its narrative strategy. The comic poem made a significant contribution to the formation of the extra-storyline plan, narrative principles and style of the novel “Eugene Onegin” and the poems “Count Nulin” and “The Cottage in Kolomna” by Alexander Pushkin.

## მერაბ კალანდაძე

### საქართველოში ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საკვანძო მომენტები

საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოს შექმნას თავისი ისტორია გააჩნია და საინტერესო მეტამორფოზი განიცადა, რომელიც აშკარად სცილდებოდა წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიას საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდება. ის, პირობითად, რამდენიმე ეტაპად იყოფა. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საკითხის პერიოდიზაცია. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს თემა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით, შეგვევსო ეს ვაკუუმი და ამ თემაზე ორიოდ სიტყვა გვეთქვა. წინამდებარე ნაშრომი ამ დიდი პრობლემის შესწავლის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

რა პერიოდები, ეტაპები განვლო საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობამ?

საქართველოში ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა, პირობითად, ოთხ პერიოდად შეიძლება დავყოთ, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად და, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლავთ განპირობებული:

1. თავდაპირველად, 1918 წლამდე, საქართველოში ახალი ისტორია რუსული სახელმძღვანელოების მიხედვით ისწავლებოდა. ეს ადვილი გასაგებია. საქართველო მეფის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა და ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოების შექმნის იდეა აქტუალური არ იყო. ამ რუსული ლიტერატურის შეუფასებლობა, ჩვენი აზრით, გამართლებული არ იქნებოდა. ამიტომ ეს მონაკვეთი 1801 წლიდან 1918 წლამდე ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის შესავლად, წინა ისტორიად, უვერტურად ან, თუ გნებავთ, პირველ პერიოდად შეიძლება მოვიაზროთ.

2. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის პრეცედენტი იქმნება არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. 1918-1921 წლებში ის, პირველ ყოვლისა, წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული მოსაზრებებით იყო განპირობებული. სკოლაში ამ საგნის სწავლება ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს გარეშე. დროის ამ მცირე მონაკვეთში მათ მხოლოდ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოასწრეს. არც ეს იყო პატარა საქმე და ამჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს ხანმოკლე პერიოდი, ჩვენი აზრით, საქართველოში ახალი ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნის მეორე პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ, ამიტომ ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება, ამ საკითხის ისტორიიდან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა რეჟიმის დროს, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო. დიდი ალბათობით, ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება მათ ვერ მოასწრეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მეორე საფეხური იქნებოდა.

3. მესამე პერიოდს მკვეთრად გამოკვეთილი ქრონოლოგიური ჩარჩოები გააჩნია. ესაა ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). ამ პერიოდში არაერთხელ სცადეს ახალი ისტორიის ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნა, მაგრამ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ ხერხდებოდა და გარკვეული უკმარობის გრძნობა მაინც რჩებოდა. მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, უნდა ითქვას, რომ რალაც პოზიტიური მაინც გაკეთდა: ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ემპირიის ფაქტოგრაფიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულვებლყოფა სწორი არ იქნება, მაგრამ ეს სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, ვერ ასცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადაცაა. მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამების გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო ადეკვატური იქნება.

4. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნის მცდელობა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ეს მონაკვეთი იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს შექმნას ახალი ისტორიის კვალიფიცირებული სახელმძღვანელო, რომელიც თავისუფალი იქნება იმ არასახარბიელო მემკვიდრეობისაგან, რომელიც დაგვიტოვა ვინროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ხანგრძლივმა სამოცდაათწლიანმა მონოპოლიამ. ვერ ვიტყვით, თითქოსდა ამ მიმართულებით თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი კეთდება. არის პოზიტიური ძვრები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მაგრამ უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება.



## Merab Kalandadze

### The Key Issues Related to the Creation of a New Textbook of History in Georgia

There exists a certain tradition of creating modern history in Georgia. It has its own story, which has undergone interesting metamorphosis. This tradition is far beyond a purely academic framework and has a clearly defined political background. From this viewpoint, the given issue has not been studied in the scholarly literature. The paper focuses on the stages of creation of the manual of modern history in Georgia.

The following four stages have been distinguished:

1. From the beginning of the 19th century until 1918 – this period can be considered as a pre-history or the first period of the creation of the manual of modern history.
2. The attempts of creating the manual of modern history in the years 1918-1921, in the period of the independent Republic of Georgia.
3. The attempts of creating the manual of modern history in the Georgian historiography of the Soviet period (1921-1991).
4. The attempts of creating the manual of modern history in the Georgian historiography of the Post-Soviet period (from 1991 until the present day).

## დალი კანდელაკი

### 6. პელტის ნაშრომი საქართველოს შესახებ

ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი“ 1826 წელს გამოქვეყნდა ნ. პელტის ნაშრომი „საქართველოს ხედვა ისტორიულ და სტატისტიკურ ჭრილში“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი – გეოგრაფიული აღნიშვნები, მეორე – საქართველოს ისტორიული მიმოხილვა და მესამე ნაწილი – საქართველოს სტატისტიკური მიმოხილვა. ნაშრომი კომპილაციური ხასიათისაა.

ავტორი ნარკვევის პირველ ნაწილში საკმაოდ მოკლედ მიმოიხილავს უძველეს პერიოდში შავ და კასპიის ზღვებს შორის მცხოვრებ ხალხს; მეორე ნაწილში გადმოსცემს საქართველოს ისტორიას. დაშვებული აქვს შეცდომები როგორც ადამიანების სახელების, გეოგრაფიული ადგილების და თარიღების მითითებისას, ასევე, ხშირად ამახინჯებს ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს; ნაშრომის მესამე ნაწილი - „საქართველოს სტატისტიკური მიმოხილვა“ - მე-19 საუკუნის მოვლენებს შეეხება.

მე-3 ნაწილის დასაწყისში ავტორი საქართველოში ვაჭრობის აყვავების მიზნით რუსეთის ხელისუფლების განხორციელებულ ნაბიჯებზე და შორსმიმავალ გეგმებზე საუბრობს. თავისი მოსაზრებების გასამყარებლად მოჰყავს ცნობა „მანუფაქტურებისა და ვაჭრობის ჟურნალის“ 1825 წლის N1-დან, რომელშიც მოთავსებულია სტატია „საქართველოში ვაჭრობის შესახებ და იმ სარგებელზე, რომელიც მან შეიძლება მოუტანოს საფრანგეთს“. ჟურნალის გამომცემელი



აღნიშნავს, რომ სტატია წარმოადგენს ფრანგული ჟურნალში (Annales de L, Industrie etc. par Normand et de Moleon)

## Dali Kandelaki

### N. Pelt's Work about Georgia

N. Pelt's Work "Vision of Georgia in Historical and Statistical Sense" was published in the journal "Vestnik Evropy" in 1826 and was composed of three parts: first – geographical indications, second – historical review of Georgia and third – statistical review of Georgia. The work is compilation of written materials.

In the first part of the narrative, the author briefly reviews the people living between the Black and Caspian seas; in the second part he tells the history of Georgia. He made errors in the names of people, geographical places and dates too and very often distorted historical events and facts. The third part of work – "Statistical review of Georgia" – is about the events of the 19th century.

At the beginning of the third part, the author speaks about the steps taken by the Russian government for developing Georgian trade market and the far-reaching plans for the prosperity of Georgia. In order to strengthen his opinions, he refers to the first edition of "Manufacture and Trade Magazine" from 1825, which contains the article "Trade in Georgia and the Benefits it may Bring to France". The publisher of the magazine notes that the article is a translation of the essay published in the French Journal (Annales de L, Industrie etc. par Normand et de Moleon). The purpose of publishing the above mentioned article was to provide information to the Russian readers.

Pelt shares the pathos of the French article and focuses on the privileged trade introduced by Russia in Transcaucasia. He also notes that trade in Georgia can bring great benefits to Russia.

The author mentions the territories of Transcaucasia, which were incorporated in Russia from the beginning of XIX century until the mid twenties, only in several sentences, he mainly focuses on trade. He confirms his thoughts by the works of other authors: Miller (Volume VII), Ziablovsky – "Geography of Russia". The work clearly demonstrates the purpose of the author who explained to the Russian society that trade in Georgia could bring great benefits to Russia and encouraged them for further activities likewise the French.

## შოვნა კვანტალიანი

### მეგრული სამგლოვიარო წეს-ჩვევები და მასთან დაკავშირებული ხალხური სიტყვიერება

ქართველ ტომთა ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი მეგრულ ფოლკლორს უჭირავს. სამეგრელოში გავრცელებული სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერება და წეს-ჩვევები საყურადღებო მნიშვნელობისაა.

მიცვალებულის გლოვის თითოეულ სტადიას მეგრულად თავისი ტერმინი გააჩნია. მოთქმა-დატირება მიცვალებულთან დაკავშირებული წესების აუცილებელი ნაწილია. სამეგრელოში უმთავრესად გავრცელებული ყოფილა მოთქმით ტირილი და ზარი.

მეგრელთა რწმენით, სიკვდილის შემდეგ სული განსაკუთრებულ მზრუნველობას თხოულობდა. ამიტომაც მიცვალებულის კულტის ტრადიცია ძლიერი იყო სამეგრელოს ყოფაში.

პოეტური სიმბოლიკით გამოირჩევა ე. წ. წინათგრძნობისეული ანუ წინასწარმეტყველური ფოლკლორული მასალები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი მეგრული სანესოლექსი - „სიზმარი“. ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს სიკვდილის მაუნყებელი მთელი რიგი სიმბოლური სახეები: ყორანი, მოზვერი, ფოთოლცვენა, ალვის ხე, კიდობანი...

სამეგრელოში მთავარი ადგილი მაინც სარიტუალო ქმედებებს ეთმობოდა. სიკვდილის მაუნყებელი მთელი რიგი წინასწარი „მინიშნება“ სწამდათ (მინის თხრა, კბილის ჩამოვარდნა...). განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მიცვალებულთან დაკავშირებული ხის სიმბოლიკა, რომელსაც დალუბვა-განახლების ძირებთან მივყავართ. საფლავზე ამოსული ხე განასახიერებს ადამიანის სხეულს და სული უკვე მასში ცხოვრობს.

სამეგრელოში არსებული სამგლოვიარო წეს-ჩვეულებები და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი მასალა დიდი მნიშვნელობისაა, რომელიც სრულყოფს ზოგადქართულ ფოლკლორს.

## Shovna Kvantaliani

### Megrelian Funeral Customs and Habits and the Oral Materials Connected with them

In the oral folklore of Georgian tribes Megrelian Folklore occupies one of the important places. Mourning oral folklore and traditions are spread in Samegrelo and they are very valuable. Every stage of the Megrelian mourning of the dead person has its own term in Megrelian. Lament connected with the dead is a necessary part of the customs. In Samegrelo lament and toll were the most widely spread rites of mourning the dead.

According to Megrelians' beliefs, after death the soul demanded special care. So, the tradition of the cult of dead was very strong in Samegrelo.

Megrelian materials are distinguished with prophetic features and poetic symbols. From this point of view, the Megrelian poem "Dream" is noteworthy. In this text there are symbolic images of death: raven, young bull, defoliation, poplar, ark...

Ritual acts played an important part in Samegrelo. Megrelians believed in prophetic signs (digging the ground, losing one's tooth...).

Tree symbolics connected with the dead has a special meaning and it carries us to the roots of death-renovation. The tree which grows on the grave is the symbol of the body and the soul already lives in it.

Megrelian mourning customs and oral materials connected with them is of great importance and it completes the Georgian Folklore.

## მანანა კვანტალიანი

### საკარო და სალიტერატურო ეტიკეტის შესახებ შირვანშაჰთა სასახლეში

შუა საუკუნეების აღმოსავლელ მმართველთა კარზე მკაცრად დადგენილი კანონები მოქმედებს. ეს კანონები მოიცავს ცხოვრების, პრაქტიკულად, ყველა სფეროს და მნიშვნელო-

ვანნილად განაპირობებს კარის მოხელეთა მოღვაწეობას. აქ ყველაფერი დეტალურად არის დამუშავებული და ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი მოხელეთა ფუნქციები განანიღბებულია, ვეზირთა და ნადიმთა მოვალეობანი – გამიჯნული. სამეფო ტახტის საყრდენ ინტელიგენტთაგან ოთხი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა, ესენია: დაბირები (მდივანმნიგნობრები), პოეტები, ასტროლოგები და ექიმები.

დიდი სასახლეების კარზე პოეტთა შტატი შთანამშებდავ რაოდენობას აღწევს და უკვე XI საუკუნიდან ყალიბდება ერთგვარი შიდაორგანიზაცია-დაქვემდებარების, თანამდებობრივ იერარქიათა და საპატიო ნოდებათა მიხედვით. „პოეტთა მეფის“ თანამდებობაც კი ჩნდება. ამ თანამდებობაზე მყოფს ევალება პოეტების საქმეთა განხილვა, მათი შემოქმედებისათვის გარკვეული მიმართულების მიცემა, საჭიროების შემთხვევაში, მათი დარაზმვა. ეს არის ცენზორი, რედაქტორი, კონსულტანტი; იგია შუამავალი მელექესა და მეცენატს შორის. კარის პოეტმა ზუსტად უნდა იცოდეს, როდის და სად, რა უნდა თქვას და - როგორ! ტროპული სისტემა დაკანონებულია, თემატური რკალი და მოტივები - განსაზღვრული.

მეხობტე პოეტისადმი წაყენებულ მოთხოვნათა რთულ კომპლექსში ძირითადი, ცხადია, მეცენატის უკვდავსაყოფი ქების შესხმაა; მეორე, და არა ნაკლებმნიშვნელოვანი, ფუნქცია გახლავთ პატრონის გუნება-განწყობაზე ზრუნვა, მისი დასვენებისა და მოლხენის უზრუნველყოფა, სინამდვილის ესთეტიზაცია. მასვე ევალება მრავალი დამღლეი, დამძაბავი და, ხშირად, დამამცირებელი ფუნქციის შესრულება.

შუასაუკუნეობრივი კულტურისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია სტერეოტიპულობა და ტრადიციათა სიმყარე. ადგილობრივ ფეოდალთა, მეფისნაცვალთა, ქალაქის თავთა სასახლის კარზეც, რამდენადმე გამარტივებული სახით, მაგრამ, ფაქტობრივად, მეორდება დიდ სასახლეთა წესი და რიგი - საკარო და სალიტერატურო ეტიკეტი.

საქართველოს მეზობლად, ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ისტორიული ქვეყნის, შირვანის (შარვანის), კულტურულმა ცხოვრებამ XII საუკუნეში მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია; განვითარდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება; საქართველოს სიუზერენობით გამოცოცხლდა მრავალმხრივი და მჭიდრო ურთიერთობანი; შირვანშაჰების კარზე ჩამოყალიბდა სერიოზული სპარსულენოვანი ლიტერატურული სკოლა. სასახლეში თავმოყრილ პანეგირისტთა შესხმა-ოდებში იკითხება შირვანშაჰთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი ისტორიული ცნობა; აქვე იხატება ნათელი სურათი კარის პოეტთა როლისა და ხვედრის შესახებ.

## Manana Kvachadze

### On the Royal and Literary Etiquette in the Shirvanshah Palace

There were strict laws at the royal courts of medieval Eastern rulers. These laws embrace all fields of life and define the activities of the courtiers. Everything was worked out in detail, and everyone had his/her place: the functions of the courtiers were distributed and the duties of viziers and nadeems were separately outlined. There were four main groups of royal courtiers: dabbers (writer-secretaries), poets, astrologists and doctors.

The number of poets at large courts was impressive. Beginning from the 11th century, a certain hierarchy was established and honorable titles were awarded. Even the position of “the King of Poets”

was introduced. The person occupying this position was to discuss the issues related to poets, direct their creative works and, if necessary, gather the poets for a certain common cause. Such person was a censor, an editor, a consultant. He was an intermediary between the poet and the patron. The royal poet was to know precisely what to say, where to say and how to say. The scheme of tropes was subject to certain laws, the thematic circle and motives were strictly defined.

A eulogist poet was to obey the versatile complex of requirements, the chief requirement being the praise of the patron. The second important function was care of the patron's mood, arrangement of his leisure and entertainment, aestheticization of reality. Such poet also had to perform numerous exhausting, stressful and even humiliating functions.

In general, medieval culture is characterized by stereotypes and rigid traditions. The rules and laws of the royal court, the royal and literary etiquettes were in fact taken over, although in a simplified form, by the courts of local feudals, viceroys and mayors.

The cultural life of Shirvan (Sharvan), Georgia's neighbour country located in the northeastern part of contemporary Azerbaijan, achieved significant development in the 12th century. Towns and town life were developed; in conditions of Georgia's suzerainty, diverse relationships were established. A significant Persian-language literary school was formed at the royal court of Shirvanshahs. The odes and eulogies composed by the royal panegyric poets provide ample historical data regarding the lives and activities of Shirvanshahs. These literary works also provide information about the roles and fates of the royal poets.

## ზვიად კვიციანი

### ბრინჯაოს ხარის თავის უნიკალური საკიდი უმგულიდან

ცხოველთა ქანდაკებები ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია კავკასიის მთიანეთში. არქეოლოგიური ლიტერატურის მიხედვით, მათი სიმრავლე აქტიური მოსახლეობის ტოტემისტურ რწმენებს უკავშირდება. სვანეთში ეს წესი არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით კარგად შეინიშნება ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში ხარის თავისა და ვერძის მთლიანი ბრინჯაოს ქანდაკებები აღმოჩენილია სოფ. ქართვეანის სამაროვანზე, სოფ. კალაში და სხვ. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, უმგულის ფილიალში დაცულია ძალზედ საინტერესო ხარისთავის ფორმის ბრინჯაოს საკიდი, რომელშიც სამკუთხედი ზის. ის გვიანბრინჯაოს ხანის სხვა მცირე პლასტიკის არტეფაქტებთანაა აღმოჩენილი.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასტრალური რწმენა-წარმოდგენების განვითარებასთან ერთად საქართველოს მიწათმოქმედ საზოგადოებაში შეინიშნება ნაყოფიერების ქალღვთაებისა და მზის კულტის შერწყმაც, რაც მათი ფუნქციონალური თანხედრობით იყო გამოწვეული (ხალხის დაკვირვებით, მზე არის ნაყოფიერების მთავარი წყარო). აღსანიშნავია, რომ მზის ღვთაების სიმბოლოდ და მის სამსხვერპლო ობიექტად ჩანს ხარი ლილეში, რომელიც, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრით, მზისადმი მიძღვნილი წინარექრისტიანული ეპოქის საგალობელია („ხარები გყავდათ დათქმული, რქები ედგათ ოქროსი“). „ლილე“-ცა და „ბარბოლ დოლაშ“-იც მზის საგალობლებია, პირველი მათგანი მხოლოდ სადიდებელია, მეორეში კი ღვთაების პატივსაცემად გამართული რელიგიური სვლა არის აღწერილი.

ამ საგალობლებიდან ყველაზე ცნობილია „ლილე“, იგი მუსიკალური წყობითაც და პოეტის თვალსაზრისითაც მეტად არქაულ იერს ატარებს და მრავალი ათეული საუკუნის წინ უნდა იყოს შექმნილი. მკვლევართა უმრავლესობის ვარაუდით, „ლილე“ მზის ჰიმნია. სახელდებით ლექსში მზე ნახსენები არაა, მაგრამ იგი პოეტური სახეებით უნდა იყოს გადმოცემული, ამნაირ მიმანიშნებელ ატრიბუტად მოჩანს: „ოქროს სამკაულებითაა სავსე“, „ზღუდე ოქროსი“, „თასები მოოქროვილი“, „ოქროს სვეტი“, მის შესანიერ ხარებსაც ოქროს რქები ადგათ. „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს, მზე შენია, ბარბოლ დოლაშ“. ისევ ხარი და მზე. ამჯერად ეს სიმბოლო კიდევ უფრო კონკრეტულ სახეს იღებს. ხარებს მზე რქებშია ადგათ“. მეორე სვანურ ხალხურ ლექსშიც, „ბარბალ დოლაშ“, ხარები მზესთან შერწყმულად წარმოგვიდგებიან: „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს, მზე შენია ბარბალ დოლაშ“. ხარი სვანთა წარმოდგენებში ადრევე დაუკავშირდა მზის კულტს და გადაიქცა დიდი ღმერთის სიმბოლურ გამოსატყულებად. ტოტემთან დაკავშირებით ასეთი მაგალითი მრავლად მოიპოვება მსოფლიო რელიგიათა განვითარებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სვანეთში ხარი ტოტემურ ფაზაშივე გადაიქცა კულტად და ფართოდ გავრცელდა. ხოლო მისი, როგორც რელიგიაში ასახვის ობიექტის შემდგომი პროცესი, დაკავშირებული ჩანს ქართველთა წარმართულ პანთეონში დიდი ღმერთის შექმნასთან, რომელშიც იგი მზესთან გაერთიანდა.

## Zviad Kvitsiani

### Bronze Bull Head Unique Hanger from Ushguli

Animal statues are one of the characteristic elements of Bronze culture in the Caucasus Mountains. According to archeological literature, their number is associated with the totemic beliefs of active population. In Svaneti this rule is well observed according to archaeological findings. In the middle of the bronze period, the bull and the bones of the whole bronze were found in the village of Kartvani burial ground, in village Kala and other places. In the Svaneti Historical-Ethnographic Museum Ushguli branch is kept a very interesting bronze hanger having a shape of a bull head with a triangle inside. It was found together with other small plastic artefacts of the late Bronze Age.

On the basis of archeological and ethnographic data, it is suggested that along with the development of astral belief in Georgia, the agricultural community of Georgia merged the fertility goddess and the solar cult, which was caused by their functional compatibility (according to people's observation, the sun is the main source of fertility).

It is noteworthy that the symbol of the Sun deity and its object of sacrifice is seen the Bull in Lile, which in scientific literature is considered to be the hymn of the pre-Christian epoch dedicated to the sun ("The bulls had been appointed, their horns were golden"). Both "Lile" and "Barbol Dolash" are sun hymns; the former is just laudative, while the latter describes a religious march dedicated to the deity.

In the Svans' imagination the bull was matched with the Sun cult and turned into a symbolic expression of the great God from the early period. Numerous similar examples connected with totem can be found in the development of world religions.

All of the above is based on the fact that the bull in Svaneti became a cult already in the totem phase and spread widely. And process of its reflection in religion appears to be connected with the creation of a great god in the pagan pantheon of Georgians, in which it was united with the sun.

## ბონდო კუპატაძე

### პირველი ქართული პარლამენტი – საქართველოს ეროვნული საბჭო (1917-1918 წწ.)

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რასაც მოჰყვა იმპერიის ნგრევა, ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიაში მცხოვრები „ნებაყოფლობით“ შეერთებული თუ დაპყრობილი ერების თვითგანსაზღვრისათვის. 1917 წლის აპრილში საქართველოში ჩამოყალიბდა პირველი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). ეს იყო თავისებური ეროვნული „ჩრდილოვანი ხელისუფლება“, რომელიც ემზადებოდა ამ მისიისთვის და ამზადებდა რეფორმატულ საკანონმდებლო პაკეტებს. ამ ტიპის მუშაობა თავად საბჭოს წევრებს დიდ პოლიტიკურ გამოცდილებას სძენდა, ხოლო საბჭოს არსებობა მოსახლეობის წარმოდგენაში ქმნიდა მომავალი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის წინა პირობას.

25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავლის ალტერნატიული საშუალება იყო 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 66 წევრი და 61 კანდიდატი. 6 კაცი ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სათათბირო ხმით. ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატები-26, სოციალისტ-ფედერალისტები-10, ეროვნულ-დემოკრატები-9, სოციალისტ-რევოლუციონერები-7, ალიონელები-4, რადიკალ-დემოკრატები-1, უპარტიონი-2. გარდა ამისა, ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნენ: სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარის) წარმომადგენლები-3, სოხუმის ოლქიდან-2, ზაქათალის ოლქის (საინგილოს) წარმომადგენელი-1 და ოსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი-1. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანიას.

ეროვნული საბჭო, მართალია, ლეგიტიმაციის არმქონე, მაგრამ წარმომადგენლობითი ორგანო იყო და რუსული რევოლუციისთვის დამახასიათებელი „გარდამავალი“ პირობებისთვის მის ფუნქციონირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური პროცესებისა და სახელმწიფო მშენებლობის საქმეში. ეროვნული საბჭოს შემადგენლობა გაიზარდა ჯერ 88 წევრამდე (თებერვალი, 1918), საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ კი – 121 წევრამდე.

ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 8 ოქტომბერს ეწოდა საქართველოს პარლამენტი. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მე-7 მუხლი ითვალისწინებდა არჩევითი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, პარტიული სიების მიხედვით. 1919 წლის 31 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად, დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების დღიდან პარლამენტი ჩაითვლებოდა დათხოვნილად.



## Bondo Kupatadze

### The First Georgian Parliament - National Council of Georgia (1917-1918)

The Revolution of 1917, which resulted in the destruction of the Empire, created favourable conditions for self-determination for the nations that “voluntarily” or forcibly were incorporated into the borders of the empire.

National Councils were bodies established in non-Russian regions of the former Russian Empire. In April 1917, in Tbilisi, the Georgian National Interparty Council was established and headed by Akaki Chkhenkeli.

On November 22, 1917, the National Congress of Georgia elected the National Council of Georgia, which was formed by 66 members and 21 candidates. The Georgian National Council had the following Party representation: Social Democrats – 28, Socialist-Federalists – 10, National Democrats – 9, Socialist Revolutionaries – 7. Noe Zhordania was elected as chairman of the Georgian National Council.

On May 26, 1918, the Georgian National Council opened its session in the palace of the former Russian viceroy in the Golovin (current Rustaveli) prospect and adopted The Act of Independence of Georgia. After Georgia declared independence, the Georgian National Council increased its membership. According to the law adopted on September 13, 1918, different nationalities living in Georgia could elect 26 representatives in the council. On October 8, 1918, the Georgian National Council was renamed into the Georgian Parliament. After the Georgian Constituent Assembly was elected, the parliament was dissolved. The Act of Independence of Georgia stipulated the formation of the Constituent Assembly.

On 22 November 1918, the Parliament of the Republic of Georgia (formerly the National Council) approved the provisions of the election of the Constituent Assembly, which envisaged electing 130 members of the Constituent Assembly by universal, equal, direct and secret vote through party lists based on proportional electoral system. Georgia was one of the first countries in the world where the universal suffrage was legalized.

## ანი ლაზვიაშვილი

### პოსტრევოლუციური რეპრესიების ასახვა მაჰმუდ დოულათბადისა და შირინ ებადის რომანებში

1979 წლის ირანის ისლამურ რევოლუციას თან არნახული მასშტაბის რეპრესიები ახლდა – ადამიანების დაპატიმრება, წამება, მკვლელობა და სიკვდილით დასჯა ქვეყნის ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. ეს მოვლენა მრავალი რაკურსით არის შესწავლილი, მაგრამ ჯერაც არ არის სათანადოდ გამოკვლეული, რა სახით მოხდა ზემოთ აღნიშნული პროცესების მემორიზაცია ლიტერატურულ ტექსტებში. ამდენად, საინტერესოა იმის შეფასება, თუ რამდენად შეძლო სპარსულმა ლიტერატურამ პოსტრევოლუციური ტრაგედიის ასახვა.

თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში, რომელიც სრულად კონტროლდება სახელმწიფო ცენზურის მხრიდან, იშვიათად შეხვდებით წიგნებს, რომლებიც ეპოქის რეალურ გამოხატულებად შეიძლება შეფასდეს, თუმცა ასეთი წიგნები მაინც არის. ესენია მაჰმუდ დოულათბადის „პოლკოვნიკის მიმწეხრი“ და შირინ ებადის „ოქროს გალია“, რომლებიც ჯერაც არ გა-



მოქვეყნებულა ირანში და, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, მათი გამოცემა უახლოეს მომავალშიც ნაკლებად სავარაუდოა. მაჰმუდ დოულათაბადი – უმნიშვნელოვანესი ირანელი მწერალი და შირინ ებადი, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო ადამიანის უფლებათა დამცველ აქტივისტად და პირველ ირანელ ნობელიანტად იცნობს, ერთი იდეის ირგვლივ ერთიანდებიან: ორივენი რიგითი ირანული ოჯახის ისტორიის თხრობით აცოცხლებენ პოსტრევოლუციურ დრამას.

შაჰის მმართველობის სისასტიკე, რევოლუციური აღტყინება, იდეოლოგიური დაპირისპირებები, საზოგადოების პოლარიზება, რევოლუციის თანმდევი რეპრესიები, ახალი რეჟიმის მიერ განხორციელებული ტერორი და ამ ყველაფრის დამორგუნველი გავლენა ადამიანებზე – ეს ის ძირითადი თემებია, რომელთა შესახებაც დოულათაბადი და ებადი წერენ. „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ და „ოქროს გალია“ – ეს ორი წიგნი ერთგვარი სარკეა, რომელიც ისლამური რევოლუციისა და პოსტრევოლუციური პერიოდის სისასტიკეს აირეკლავს.

დოულათაბადი და ებადი ერთი იდეისკენ სხვადასხვა გზით მიდიან. „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ მხატვრული რომანია, „ოქროს გალია“ – მხატვრულ-დოკუმენტური პროზა. ბუნებრივია, დოულათაბადის, როგორც გამოცდილი მწერლის, გამომსახველობითი ხერხები უფრო შთაბეჭედავი და მრავალფეროვანია, მაგრამ ებადის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ამბის დამაჯერებლად თხრობის მისიას ისიც კარგად ართმევს თავს და ყალბი პათოსის გარეშე ახერხებს მძიმე თემებზე წერას. თითქოს სხვადასხვაა ის აუდიტორიაც, რომელთათვისაც ეს ტექსტებია შექმნილი – ებადი უფრო დასავლეთისთვის წერს, დოულათაბადისთვის კი მთავარი ადრესატი საკუთარი ქვეყანაა.

მაჰმუდ დოულათაბადის „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ და შირინ ებადის „ოქროს გალია“ – ორი წიგნი ერთი იდეითა და ორი განსხვავებული შესრულებით, უხვ მასალას გვაძლევს ირანის რევოლუციურ და პოსტრევოლუციურ პერიოდზე დასაკვირვებლად, მოვლენების გადასაფასებლად და მთლიანი სურათის დასანახავად.

## Ani Lazviashvili

### Reflection of Post-revolutionary Repressions in the Novels of Mahmoud Dowlatabadi and Shirin Ebadi

The 1979 Islamic Revolution was accompanied by reprisals of unprecedented scale – arrests, tortures, murder and death penalty became a part of the country's daily life. It would be interesting to evaluate how the Persian literature managed to portray the post-revolution tragedy.

In modern Persian literature, which is under full control of state censorship, one will rarely find books that offer a realistic reflection of the epoch. Though, there are a few such books, like, for example: "The Colonel" by Mahmoud Dowlatabadi and "The Golden Cage" by Shirin Ebadi. Mahmoud Dowlatabadi – Iran's most important novelist, and Shirin Ebadi, who is known as a human rights activist and the first Iranian Nobel Prize winner, are united around a common idea: both of them revive the post-revolution drama through telling the story of an ordinary Iranian family.

The brutality of the Shah' regime, revolutionary excitation, ideological confrontation, social polarization, reprisals accompanying the revolution, the new regime's terror and the devastating effect that all the aforesaid has had on the people are the key themes on which Dowlatabadi and Ebadi focus in their works.

“The Colonel” is a fiction novel, while the “Golden Cage” is a fiction documentary prose.

Dowlatabadi, as an experienced writer, uses more impressive and varied means of expression. Though, Ebadi should also be commended for tackling her mission of convincing storytelling pretty well. She has done a great job covering rather acute and hard topics without any fake pathos.

“The Colonel” by Mahmoud Dowlatabadi and “The Golden Cage” by Shirin Ebadi are two books with a single idea, performed in two different manners, which offer vast material allowing to closely observe Iran’s revolution and post-revolution periods, to re-evaluate the developments and see the full picture.

## ემზარ მაკარაძე

### თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხისათვის

„ცივი ომის“ დასრულებამ სათავე დაუდო ახალ პროცესებს მსოფლიოში და, პირველ რიგში, სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში გაერთიანებული სახელმწიფოების გადაჯგუფებას, აგრეთვე, ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. გაჩნდა ახალი პრობლემები, ბევრი ადრინდელი კი ახლებურად წარმოჩნდა.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: ხმელთაშუა ზღვის რეგიონი, შუა აზია, რუსეთი და სამხრეთ კავკასია.

ანკარის ხმელთაშუაზღვისპირულ სტრატეგიას, უპირატესად, საბერძნეთთან ურთიერთობა განსაზღვრავს; მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა დასავლური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრია, მათ შორის არსებობს გადაულახავი პრობლემა კუნძულ კვიპროსის სახით, რომელზეც ვერ მოხერხდა ორმხრივად მისაღები კომპრომისის შემუშავება.

ასევე, თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკას ახასიათებს ეკონომიკური ექსპანსია პოსტსაბჭოთა სივრცის გარკვეულ ნაწილში, მაგრამ აქ ანკარას რუსეთის გეოპოლიტიკური სიძლიერის გათვალისწინებაც უნევს. აღნიშნული ფაქტორი ხშირ შემთხვევაში შეიძლება ფარავდეს კიდევ თურქეთის საშინაო პოლიტიკის და რეგიონის სხვა ახალ თუ ძველ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მნიშვნელობასაც.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი და თურქეთი ძველი და ისტორიული მონინალმდეგენი არიან, რომელთა შორის კონსენსუსი, არცთუ ისე იშვიათად, ნეგატიურად აისახებოდა ხოლმე რეგიონში არსებული პატარა სახელმწიფოების ბედზე.

სავარაუდოა, რომ თურქეთი მომავალშიც შეეცდება, გაატაროს მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა და, ევროკავშირში შესვლის პროცესის გაგრძელებასთან ერთად, თავისი სტრატეგიული პოზიციების განსამტკიცებლად ფართოდ გამოიყენებს „ისლამის ფაქტორსაც“. ყოველივე ეს დაკავშირებულია იმ პრაგმატულ მიზნებთან, რომლებმაც სახელმწიფოს ხელი უნდა შეუწყოს მაქსიმალური შედეგების მიღებაში და რეგიონში თავისი როლის გაძლიერებაში.

**Emzar Makaradze**

### **On Some Issues of the Foreign Policy of Modern Turkey**

Since the 90-s of XX Century the disappearance of the Cold War balance, based on the two-pole arrangement, has resulted in the formation of the world's geopolitical and geo-economic vacuum zones.

The geopolitical vacuum zones, which are situated on the very important peninsula of Anatolia, have become of great interest for Turkey. This fact has inevitably influenced the shaping of the country's major global and regional strategies.

A tactical combat and the current geopolitical balances, caused by this combat, have still become the agenda together with the new elements in such dynamic conditions, which were formed by the power balance in the post-Cold War period. Since this period, geopolitics has become more important together with the increase in interdependence between global balances and regional interaction zones.

From the geopolitical point of view Turkey is situated in the land and sea power center of the stretched regions – from east to west and from north to south.

Turkey is crossed by two very significant passageways – from the land (Balkans and the Caucasus) and from the sea (channels). These regions are provided by Turkey with the connection between Middle East and West regions.

From east to west Turkey's peninsula of Anatolia represents the most important link between the strategic peninsulas surrounding the Eurasian continent.

### **სვთისო მამისიმედიშვილი**

#### **საიდუმლო ნიშნები სხეულზე და ნაწილიანობის პრობლემა ხალხურ ტექსტებში**

ფშავურ-ხევსურულ და ჩეჩნურ-ინგუშურ ფოლკლორში გმირის ზებუნებრივი გარეგნობის გამოსატვის უაღრესად მისტიკური ფორმები დასტურდება. ისინი ადამიანის სხეულზე საიდუმლო ნიშნების არსებობაზე მოგვითხრობს. ხევსურული, ჩეჩნური და ინგუშური მითოლოგიური ნარატივების თანახმად, საიდუმლო ნიშნები, რომლებიც ადამიანის სხეულზე სინათლეს გამოსცემს, მისი მფლობელის დავლათიანობასა და ღვთისაგან ნაწილიანობაზე მიუთითებს. სხეულზე გამოსახული ნიშნები რჩეულებს ზეცის ბინადრებისგან ჰქონდათ ბოძებული.

ხალხურ ტრადიციაში სხეულზე მზისა და ბეჭებს შორის მთვარის ნიშნები, ზოგადად ასტრალური გამოსახულებები, ღვთაებრივ მოვლენად და გმირის რჩეულობის ნიშნად ითვლება. აღსანიშნავია მეფეთა შესამოსელზე ასტრალური სიმბოლოების გამოსახვა, რომელიც მეფობის ზეციურ წარმომავლობაზე მიანიშნებს. ხალხს მიაჩნდა, რომ ბაგრატიონებს ჰქონდათ ე. წ. „ნაწილი“, სხეულზე გამორჩეულობისა და ღვთისაგან იღბლიანობის ნიშანი, რასაც კრისტოფორო დე კასტელის ცნობაც აკონკრეტებს.

ხევსურულ ტრადიციაში უამრავი გადმოცემა არსებობს ავი თვალისაგან ნაწილიანი ადამიანის დაღუპვის შესახებ. თვით თორღვა ძაგანიც, ერთი ვერსიით – ბაგრატიონთა შთამომავალი და მეორე ვერსიით – პანკისის ერისთავი, მას შემდეგ დაიღუპა, როცა მის სხეულზე

ღვთაებრივი ნიშნების არსებობის საიდუმლო გაცხადდა. იმ ადამიანს, რომელსაც სხეულზე საიდუმლო ნიშნები ჰქონდა, ხევსურები ნანილიანს უწოდებდნენ. ნანილი რჩეულებს უმეტესად მკერდსა და ბეჭებზე აჩნდებოდათ და ის, გადმოცემების მიხედვით, აშუქებდა.

ნანილი, ანუ ღვთაებრივი ნიშანი სხეულზე, როგორც ნებისმიერი რჩეულობა, მის მფლობელს, ერთი მხრივ, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა და, მეორე მხრივ, უაღრესად დიდ განსაცდელსა და ხიფათს უმზადებდა. გადმოცემების მიხედვით, ნანილიანი ვაჟიც შეიძლებოდა ყოფილიყო და ქალიშვილიც. მათ სხეულზე ამ საიდუმლო ნიშნების არსებობა დაქორწინებამდე მხოლოდ ერთადერთ ადამიანს, დედას, შეეძლო სცოდნოდა. იმ ტრადიციის, სადაც ნანილიანი ადამიანების არსებობა სწამდათ, მიაჩნდათ, რომ მის მფლობელს ნანილს სიკვდილის შემდეგ გველი აცლიდა და ისაკუთრებდა. პარალელიზმი ნანილიანი ადამიანების შესახებ ჩეჩნურ-ინგუშურ თქმულებებსა და ფშავურ-ხევსურულ წარმოდგენებს შორის თვალსაჩინოა.

## Khvtiso Mamisimedishvili

### Secret Signs on the Body and the Problem of Predestination in the Folklore

Pshav-Khevsurian and Chechen-Ingush folklore gives extremely mystic forms to demonstrate a supernatural appearance of a hero. They tell us about the presence of secret signs on a human body. According to Khevsurian, Chechen and Ingush mythological narratives, the secret signs, which emit the light on a human body, are a sign of prosperity and predestination by the god. The signs on a body were given to the elect from heavenly inhabitants.

In a folk tradition, the sign of the Sun on one's forehead and the sign of the Moon between one's shoulders and astral images on one's body generally, were considered a divine event and chosenness of a hero. Depicting astral symbols on a royal robe was a demonstration of a heavenly origin of the royalty. People thought that the Bagrationi family had so called "predestination" on their bodies, the sign of distinction and divine luckiness, as evidenced, among other sources, by the piece of information of Cristoforo Castelli.

Khevsurian tradition knows great many stories about perishing a person with the sign of predestination on his body by a jinx. Even Torghva Dzagani, as per one version, was a descendent of the Bagrationi family, while another version claims that the vovode of Pankisi perished after the secret about the divine signs on his body were disclosed.

A person with secret signs on his body was called predestinated by the Khevsurians. The elected had the sign of predestination mostly on their chests and shoulders and it shone, as the legends say.

A sign of predestination, or a divine sign on one's body, like any other kind of chosenness, implied special responsibility, on the one hand, and great peril and danger, on the other hand. As the legends say, both, a boy and a girl could have a sign. The only person, who could know about the secret sign on their body before they got married, was their mother. In the tradition where people believed in the presence of people with signs on their bodies, it was thought that the sign was taken away by its owner after his death by a snake, which appropriated it. Parallelism between the Chechen-Ingush legends and Pshav-Khevsurian imaginations regarding the people with divine signs on their bodies is evident.

## ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე

### რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით

ცნობილია, რომ ევიდენციალობა, პირველ რიგში, ტექსტის კატეგორიაა და გულისხმობს დამოკიდებულებას ამ ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმატორს შორის; სხვაგვარად: ეს კატეგორია გულისხმობს მთქმელის სუბიექტურ მიმართებას კონტექსტთან, ანუ ინფორმაცია ინფორმატორისთვის პირდაპირი აღქმის ნაყოფია თუ სხვა წყაროდან („მეორე, სხვა ხელიდან“) მიღებული.

გამოყოფენ ინფორმაციის ყველაზე გავრცელებულ სამ წყაროს, რომელთა შესახებაც მთქმელი ამცნობს ან მიაწინებს მსმენელს:

- მოვლენის პერცეფცია
- ვერბალობა
- ინფერენცია

მათგან ვერბალური (სხვისგან მიღებული) და ინფერენციული – ლოგიკურ დასკვნებზე დაფუძნებული ინფორმაციაა, რომელიც, ძირითადად, ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს. ინფერენციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ ეს არის დასკვნა, რომელსაც აკეთებს მთქმელი საკუთარი ფონური ცოდნისა და რეალური ცხოვრებისეული მოვლენების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ევიდენციალურად უნდა ჩაითვალოს ე. წ. რიტორიკული შეკითხვა. კერძოდ:

*„ვინ დათვალს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!“*

*„მგლის შიშით ცხვარი ვის გაუნყვეტია?!“*

*„სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?!“* და სხვ.

ასეთი წინადადებები არ მოითხოვს პასუხს, რადგან მათი პასუხები ისედაც ცნობილია მთქმელისათვის მისივე ფონური ცოდნისა და რეალური ცხოვრებისეული მოვლენების საფუძველზე. სწორედ ამიტომაც აქვს რიტორიკულ შეკითხვას ინფერენციული ხასიათი, რის გამოც ვფიქრობთ, რომ ასეთი ტიპის კითხვითი წინადადებები ევიდენციალურია.

## Ketevan Margiani, Ramaz Kurdadze

### A Rhetorical Question from the Viewpoint of Evidentiality

It is well known that evidentiality is, above all, a textual category. It implies the attitude of the informer to the information provided in the text. In other words, this category expresses the subjective attitude of the speaker to the context, i.e. the information is either the result of direct perception of the informer or it is obtained from some other source (from the “second hand”).

Three most widespread sources of information are distinguished, and the speaker either informs the listener about the source or points them to the listener:

- Perception of the event;

- Verbality;
- Inference.

Out of these, verbal information is obtained from some other source, whereas inferential information is based on logical conclusions that are mostly grounded on the facts known to the speaker. In connection with inference, it should be noted that this is a conclusion made by the speaker on the basis of his/her own background knowledge and real facts of life.

Taking into account all the above mentioned, we argue that the so-called rhetorical questions should be considered evidential. For instance:

*ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!*

*"Who can count sand in the sea or stars in the sky?!"*

*მგლის შიშით ცხვარი ვის გაუნყვეტია?!*

*"Who has killed all the sheep in fear of the wolf?!"*

*სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?!*

*"Which wise man has ever killed himself prior to the time of death?!" and so on.*

Such sentences do not require replies, as the answers are already known to the speaker based on his/her background knowledge and real-life facts. That is why, a rhetorical question is of inferential nature. Therefore, we argue that the interrogative sentences of the above-mentioned type are evidential.

## თამარ მოსიაშვილი

### „გალერეა 68“ და ახალი ხედვის ჩამოყალიბება 1960-იანი წლების არაბულ ლიტერატურაში

1960-იანი წლების პერიოდში, რომელიც სავსე იყო წინააღმდეგობებითა და ცვალებადი ღირებულებებით, ასპარეზზე მწერალთა ახალი თაობა გამოჩნდა. სოციალიზმით, რევოლუციითა და რეალიზმით იმედგაცრუებული ახალი თაობა ლიტერატურულ-კულტურულ ჟურნალ „გალერეა 68“-ის („جلا 68“) გარშემო შეიკრიბა. ეს თაობა „სამოციანების თაობის“ („الستينيات“) სახელით გახდა ცნობილი. მწერალთა ჯგუფი, რომელიც თავის თავს ხშირად „უმამო თაობადაც“ მოიხსენიებდა, მზად იყო, შეეცვალა სოციალური რეალიზმის მიმბაძველობითი და აღწერილობითი მეთოდი, შეექმნა საკუთარი ახალი სტილი და ღირებულებები. „სამოციანების თაობის“ მიერ შექმნილი ე.წ. „ახალი ხედვა“ („الجديدة الحساسة“) სხვადასხვა, ზოგჯერ სანინააღმდეგო ნაკადებს მოიცავდა. „ახალი ხედვა“ არ იყო მკაცრი მოდელი ან ფორმა და განსაზღვრული სტილი. ჟურნალი „გალერეა 68“ სწორედ ამ „ახალი ხედვის“ განვითარებას ემსახურებოდა და ხელს უწყობდა სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სკოლის აღმოცენებას არაბულ ნიადაგზე.

მწერლები, რომლებმაც მოღვაწეობა 1960-იანი წლებში დაიწყეს, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ცენზურამ აიძულა ისინი, კრიტიკული შეხედულების გამოსახატავად სათქმელის კოდირების გარკვეული მეთოდები განევიტარებინათ. გარდა ამისა, ახალი სახეები კულტურული ინსტიტუციების მიღმა აღმოჩნდნენ. აღიარებული ლიტერატურული გამოცემების ფურცლებზეც, ძირითადად, ცნობილი სახელებისთვის იყო ადგილი. ახალი თაობის სამსახურში კი „გალერეა 68“ აღმოჩნდა. ამ გამოცემამ, ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, განსაკუთრებული

როლი ითამაშა იმ ახალი ლიტერატურის განვითარებაში, რომელიც, ცნობილი მწერლის ბაჰა ტაჰირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კულტურული დანესებულებების გარეთ“ იქმნებოდა სპონტანურად. „გალერეა 68“ ერთგვარ ლეგენდარულ პროექტად იქცა.

## Tamar Mosiashvili

### “Gallery 68” and the Emergence of the New Sensibility in the 1960s Arabic Literature

In the period of 1960s, which was full of contradictions and changing values, a new generation of writers appeared on the literary stage. The new generation, disappointed with socialism, revolution and realism, gathered around the literary-cultural journal “Gallery 68”. This generation later became known as the Generation of the Sixties („الستينيات جيل“). The group of writers which often referred to themselves as “the generation without fathers”, was ready to change imitative and descriptive methods of social realism and create their own style and values. “The New Sensibility” („الجديدة الحساسة“) created by “the Sixties’ Generation” combined different and sometimes contradicting trends. “The New Sensibility” was not a strictly determined model or form. “Gallery 68” was serving the development of this new vision – “the New Sensibility” and facilitating emergence of different movements and schools on the Arabic ground.

The writers who started their literary careers in the 1960s found themselves in a difficult situation. Censorship forced them to develop certain encoding methods of their thoughts in order to express critical opinions. In addition to this, the new faces were left outside the cultural institutions and establishments. The well-established famous periodicals had space on their pages only for well-known names; and the journal “Gallery 68” appeared in the service of the new writers. This periodical played a special role in the development of the new literature; which, in the words of famous writer Bahaa Taher, was spontaneously being created “outside the official cultural establishment”. The project “Gallery 68” became legendary.

## თამარ მურუსიძე

### „გამარჯვების ტრავმა“ და პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პერიოდის ტენდენციები 1990-იანი წლების საქართველოში

მოხსენების მიზანია საქართველოში 1990-იანი წლების სიტუაციის ანალიზი კულტურული ტრავმის ქრილში, რაც ჯერ კიდევ სიახლეა ქართული სამეცნიერო სივრცისთვის. კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს კულტურული ტრავმის, კერძოდ კი, გამარჯვების ტრავმის თეორია, რომლის ძირითადი იდეები ჩამოყალიბებულია პიოტრ შტომპკას და ჯეფრი ალექსანდერის ნაშრომებში. ემპირიული მასალა მოიცავს ავტობიოგრაფიულ ტექსტებს და იმ ადამიანთა ნაზრევს, რომლებიც დასახელებულ პერიოდში მიმდინარე პროცესების უშუალო მონაწილეები იყვნენ.

შერჩეულ ტექსტებში ასახულია ამ ეპოქის ისეთი მოვლენები და ტრავმული ასპექტები, როგორცაა აგრესია და დაპირისპირება თაობათა შორის, პესიმიზმი, სტრესი, გაცრუებული



იმედების სინდრომი, სოციალური დაძაბულობა, წარსულის ნოსტალგიური სურათი, ეკონომიკური კრიზისი და ინდეფერენტულობა. კომუნისტური სისტემის კოლაფსი წარმოადგენს ტრავმული ცვლილების საინტერესო მაგალითს, რადგან ეს იყო „გამარჯვების ტრავმა“. ქართული საზოგადოება წლების მანძილზე მოუთმენლად ელოდა საბჭოთა კავშირის დაშლას. მაგრამ, საბოლოოდ, რეალობა მძიმე და მოლოდინთან შეუსაბამო აღმოჩნდა. საინტერესო ფაქტია, რომ ის ცვლილებებიც კი, რომლისთვისაც ხალხი იბრძოდა და ოცნებობდა, მტკივნეული აღმოჩნდა ფართო მასებისთვის: „მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანმა სოციალურმა ცვლილებამ, რომელიც, გარკვეულწილად, პროგრესული და განვითარების მომტანია, შესაძლოა, მძიმე შედეგები გამოიწვიოს. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ პროგრესული პროცესი არ მიმდინარეობს რბილად და სწორხაზოვნად, არამედ, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ის მოითხოვს „სისხლს, ოფლს და ცრემლებს“ (Sztompka 2004: 156). ამასთან, პროგრესი არ აღწევს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში და მას შეიძლება მრავალი გვერდითი ეფექტი ჰქონდეს.

შესაძლებელია თუ არა, 1990-ანი წლების მოვლენები საქართველოში გამარჯვების ტრავმად განვიხილოთ? რა ტრავმული სიმპტომები იკვეთება სოციალური ცვლილებებისას? როგორ აისახება ეს ყოველივე შერჩეულ ავტორთა ნაშრომებში და რა პერსპექტივიდან ცდილობენ ისინი 1990 - იანი წლების ტრანზიციის წარმოჩენას? ესაა ის ძირითადი კითხვები, რომლებზეც ვეცდები პასუხის გაცემას ტექსტების ანალიზისას.

## Tamar Murusidze

### “The Trauma of Victory” and the Post-Soviet Transition Period in Georgia of the 1990s

The presented paper aims to analyse the traumatic aspects of social change during the 1990s in Georgia. The subject is still a novelty in the Georgian scientific field. Considering the period of transformation of a socialist mode, I tried to make a short overview of the traumatic sequences after the demolition of the Soviet Union and to analyse the following events through the concepts of cultural trauma and “Trauma of Victory”. The central idea of the concept is developed by Piotr Sztompka and Jeffrey Charles Alexander. The empirical data include autobiographical narratives of the people, who used to be the immediate participants of the process.

The selected texts refer to traumatic aspects such as aggression and confrontation between generations, the pessimistic view of the future, syndrome of frustrated hopes, social anxiety and nostalgic image of the past, pessimism, stress, disappointment and economic crisis connected to this epoch.

The collapse of communism is a particularly interesting example of traumatogenic change, because it was a “Trauma of Victory”. Georgian society was looking forward to the collapse of the Soviet Union but, in the end, the expectations proved to be irrelevant to the hard reality: “Several authors notice that major social change, developmental or progressive in some respects, may yet incur grave social costs. First, it is observed that otherwise progressive processes do not run in a smooth, linear fashion, but rather – to put it metaphorically – through “blood, sweat, and tears” (Sztompka 2004: 156).

Can we consider the happenings in 1990s Georgia as a Trauma of Victory? What are the characteristics of social changes? How did the selected narratives represent the tendencies of transition in 1990s Georgia? Searching for the answers to these questions is the main topic of my paper.

## მარია მშვილდაძე

### რომის იმპერატორის კულტი იბერიაში (ამურისგამოსახულებიანი კამეები)

ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპერიად გადაქცევის შემდეგ რომის რელიგიის მიერ აღმოსავლური წარმართობიდან მიღებულ იქნა ცალკეული ელემენტები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია სახელმწიფოს უმაღლესი საერო მოხელის გალმერთების ტრადიცია, რაც რომში იმპერატორის კულტში გამოიხატა. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რომი ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება ძლიერი დასაყრდენები ჰქონოდა ახალ პროვინციებსა და მეზობელ კლიენტ ქვეყნებში, ცდილობდა რა საკუთარი ცხოვრების წესის, მათ შორის კულტურული, რელიგიური გავლენის, განათლების დამკვიდრებას ძირითადად სამეფო კარსა და ნობილიტეტში.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად ახდენდა რომი იმპერატორის კულტის ექსპანსიას იბერიაში. ნაშრომში შესწავლილია მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამურისგამოსახულებიანი კამეები: 1. 1947 წელს მცხეთაში ორფერდასახურავიან კრამიტყუთში (სამარხი #1, ბავშვის სამარხი) დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი ყავისფერი სარდერისა და მონთალო სარდიონის კამეები, რომლებიც ოქროს საყურეში იყო ჩასმული (ინვ.#388, ახ.წ. I ს.) და 2. 1985 წელს ორფერდასახურავიან აკლდამაში (სამარხი #905) აღმოჩენილი: ა. ამურისგამოსახულებიანი ამეთვისტოს კამეა ოქროს ბეჭედში (ინვ. #2700, ძვირფასი ლითონების ფონდი); ბ. ამურისგამოსახულებიანი კამეა ოქროს საყურეში (გლიპტიკის ფონდი, #1577).

არ არის გამორიცხული, რომ მცხეთის #1 სამარხში დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი კამეები ფაქტურებს წარმოადგენდეს. მცხეთის #905 სამარხში აღმოჩენილი ამურისგამოსახულებიანი ბეჭედი და საყურე ამ ტიპის საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებულ კამეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნამუშევარია. როგორც ბეჭედში, ისე საყურეზე არსებული გემა ბუდიდან იმდენად მაღლაა ამონეული, რომ იგი მცირე პლასტიკის ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი აზრით, მცხეთის #905 სამარხში დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი კამეები ფაქტურების ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს, რომლებზეც საიმპერატორო გვარის ბავშვების გამოსახულებებია წარმოდგენილი ამურის სახით, რაც ფართოდ გამოიყენებოდა დინასტიის პროპაგანდისათვის.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროს საყურეებსა და ბეჭედზე არსებული ამურისგამოსახულებიანი კამეები რომის საიმპერატორო გვარის პროპაგანდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა იბერიაში – პერიოდში, როდესაც დგინდება, რომ რომის იმპერიაში უკვე დამკვიდრებული იყო იმპერატორის კულტი.

## Marika Mshvildadze

### Cult of the Roman Emperor in Iberia (cameos bearing the image of cupid)

After turning into the Mediterranean Empire, the tradition of deifying the highest civil servants was adopted by the Roman religion from eastern paganism, which found its expression in the Emperor's cult.

Considering State interests, Rome tried to maintain a strong social basis in new provinces and neighbouring client states. Efforts were made to establish its own mode of life, including the promotion of influence in culture, religion and education, mostly at the royal court and among nobility.

The sphere of my interest lies in defining the fact as to what extent Rome carried out cultural expansion of the Emperor's cult to Iberia. The paper represents a study of the cameos bearing the image of cupid's head: 1. In 1947 in Mtskheta in a saddle roofed tile box (burial ground #1, grave of a child) brown sardor and reddish sardion cameos with the image of cupid's head, inclosed into the gold earrings (Inv. 388, I c. A.D.) and 2. an amethyst cameo with the image of a cupid's head in a golden ring (Inv. #2700, Fund of Precious Metals); b. a cameo with the image of the cupid's head in golden earrings (Glyptics Fund #1577). It is not ruled out that the cameos bearing the image of cupid's head, found in Mtskheta burial ground # 1, could be medals. The ring and the earrings with cupid head cameos unearthed from Mtskheta burial ground #905 are the best among quite a number of existing cameos of similar type. The gemma on both the earrings and the ring rises from the socket so high that it may be regarded as the sample of minor plastic art. In my view, the cameos unearthed in Mtskheta #905 burial ground must be a variety of medals, which portray the children of the Imperial family depicted as cupids, which was widely used for the propaganda of the Dynasty.

The studies prove that the cameos with the image of cupid on the golden ring and earrings uncovered on the territory of Iberia were used as a means of propagandizing the Imperial family name of the Roman Emperor in Iberia in the period when the cult of the Emperor had already been established in the Roman Empire.

## ივანე მჭედელაძე

### გლობალიზაცია და მულტიკულტურული ლიტერატურა: რაულ ჩილაჩავას შემოქმედება პოსტკოლონიური ეპოქის ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში

პოსტკოლონიური კვლევებისთვის დამახასიათებელია გლობალიზაციის ფენომენის – მულტიკულტურალიზმის – პრობლემა. ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში ასეთად გვესახება ბილინგვი მწერლისა და პოეტის, მთარგმნელის, რაულ ჩილაჩავას, მდიდარი მემკვიდრეობა. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული პერიოდის შემოქმედებასა და მის მიმართებაზე მულტიკულტურულ ლიტერატურულ ფენომენტთან.

ლიტერატურული პროცესის მულტიკულტურული კონტექსტი გულისხმობს ორი ან რამდენიმე ეთნოკულტურული ნიშნების სინთეზის შედეგად წარმოშობილი იდენტობის ჰეტეროგენულ რეპრეზენტაციას. ეს ეხება დომინანტი და უცხო კულტურული მარკერების შესწავლას ლიტერატურულ ტექსტებსა და ავტორებთან. რ. ჩილაჩავას შემოქმედებაში ნამდვილად შეინიშნება ორი კულტურული სამყაროს – ქართულისა და უკრაინულის – სინთეზი, მისი შემოქმედება ნამდვილად არის ჰეტეროგენული ფენომენი. გაანალიზებულია ნაწარმოებები, რომლებშიც ვხვდებით ქართველი და უკრაინელი პოეტების რემინისცენციას (აკაკი და ტარასი...). გამოთქმულია მოსაზრება, რომ „საკუთარი“ და „უცხო“ მის შემოქმედებაში არ წარმოადგენს ბინარულ ოპოზიციას, არამედ ის წარმოჩნდება, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი მოვლენა („უსაქართველოდ უფესვებო მე ვარ ჭადარი,

უუკრაინოდ ძენნა ტოტებშემოსხვეპილი“). მოხსენებაში ვისაუბრებთ რ. ჩილაჩავას კრებულების – „უვადო მივლინება“ (რიგა, 2009) და „Terra Mariana“ (თბილისი, 2016), რომელშიც აღწერილია ლატვიაში ცხოვრების პერიოდი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკოლონიური ეპოქის მარკერები მის შემოქმედებაში აისახება პოსტსაბჭოთა კონფლიქტების ტრავმული რეპრეზენტაციითაც. მისთვის თანაბრად მტკივნეულია ჩერნობილისა თუ აფხაზეთის პრობლემები – „მე ჩერნობილის შემდეგ პირველად და საბოლოოდ ვინამე, რომ ეს მიწა, ეს ქვეყანა, ეს ხალხი ჩემთვისაც ღვიძლი ღვიძლთაგანია და მისი უბედურება ჩემი უბედურებაც არის“.

## Ivane Mchedeladze

### Globalization and Multicultural Literature: Raul Chilachava's Work in the Context of the Post-Colonial Era in Georgian-Ukrainian Literary Relations

Postcolonial studies are characterized by the phenomenon known as globalization - the problem of multiculturalism. In Georgian-Ukrainian relations, Raul Chilachava, a bilingual writer, poet and translator and his rich legacy deserve to be mentioned. The research focuses on the work of this period and its connection to the multicultural literary phenomenon.

The multicultural context of the literary process implies the heterogeneous representation of the cultural identity of synthesis of two or more ethnocultural symptoms. It deals with the study of dominant and foreign cultural markers in literary texts. R. Chilachava's works obviously encompass two cultural worlds – Georgian and Ukrainian. They definitely represent a heterogeneous phenomenon. The study also analyses the works in which we come across the reminiscences of Georgian and Ukrainian poets (Akaki and Taras...). It is stated that for the author "own" & "other" is not a binary opposition, but a result of the intercultural interaction. The research materials include R. Chilachava's collections "Lifelong Mission" (Riga, 2009) and "Terra Mariana" (Tbilisi, 2016), in which he describes his life in Latvia. It should also be underlined that in his works postcolonial epoch markers are reflected in the traumatic representation of post-Soviet conflicts.

## ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

### ძმები კიკნაველიძეები ირანში

ძმები ყარამან, შალვა, ნიკოლოზ და მანველ კიკნაველიძეები ამჟამინდელი ხარაგაულის რიონის სოფელ კიკნაველეთიდან 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ცარიზმის მონინააღმდეგეთა რიგებში იდგნენ. რევოლუციის მარცხის შემდეგ მათ ირანში გადახვეწა მოუწიათ. ისინი ხე-ტყის დამზადების ბიზნესით დაკავდნენ მაზანდარანის პროვინციაში.

1916 წლის 13 აგვისტოს გაზეთი „რუსსკოე სლოვო“ იუნყება მაზანდარანელი ქართველებით დასახლებულ სოფელ გორჯი-მაჰალესთან ქართველი თავადის მანველ კიკნაველიძის მკვლელობის ამბავს. მკვლელობის მიზეზად გაზეთი ასახელებს ძმების მკაცრ მოპყრობას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. მკვლელობიდან 1 წლის თავზე ძმებმა მანველის ცხედარი გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს მშობლიურ სოფელში.

1918 წლის 13 თებერვლის ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ უკვე იუწყება ძმები კიკნაველიძეებისა და მათი ოჯახის წევრების ამოხოცვას სოფელ კიკნაველეთში. ძმები კიკნაველიძეების, განსაკუთრებით უფროსი ყარამანის, სამრეწველო და საქველმოქმედო საქმიანობა საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული იმდროინდელ ქართულ პრესაში და შემდგომაც. აღსანიშნავია, რომ ყარამან კიკნაველიძეს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის შეწირული აქვს 1000 მანეთი. ასევე აღსანიშნავია, რომ გაზეთ „სახალხო საქმის“ ორ ნომერში (1917 წლის 17 და 18 აგვისტო) დაბეჭდილია ყარამან კიკნაველიძის წერილი სათაურით „ქართველები ირანში“, სადაც ის იძლევა ცნობებს სპარსეთის კასპიისპირეთის პროვინციებში მდებარე ქართული დასახლებების შესახებ.

სხვაგვარ, უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი ძმები კიკნაველიძეების, კერძოდ მანველისა და შალვას, სახე სპარსულენოვან წყაროებში. მტარვალი და მედიდური „რუსი ოფიცერი მანუელი“ ფიგურირებს გორჯი-მაჰალელთა ზეპირსიტყვიერებაში, მაზანდარანელი ქართველი ავტორების მიერ საკუთარი სოფლის შესახებ დაწერილ გამოკვლევებში. რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა რომანი, რომლის მთავარი გმირი - გორჯი-მაჰალელი ჭაბუკი მოჰამად ჯაბე (ფაქტობრივად, იქაური არსენა ოძელაშვილი) გამოყვანლია ადგილობრივი ხანებისა და რუსის ჯარის წინააღმდეგ მებრძოლად და თანასოფლელების მფარველად. სწორედ ის კლავს „რუს ოფიცერს“. ირანულ არქივებში მოვიძიეთ საყურადღებო მასალა ამ მკვლევლობის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ, სადაც მანველ კიკნაველიძე და მისი ძმა მოხსენიებული არიან, როგორც „კნიაზ“ ან „მუსიე კნიაზ“.

ამ ერთი მკვლევლობის ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ქართული და ირანული ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა წარმოვაჩინოთ მეოცე საუკუნის პირველ ოცნლეულში მაზანდარანელ ქართველთა ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები.

## Nikoloz Nakhutsrishvili

### The Brothers Kiknavelidze in Iran

The brothers Kiknavelidze – Qaraman, Shalva, Nikoloz and Manvel, from the village Kiknaveleti (the present Kharagauli region) were among the adversaries of tsarism during the 1905-1907 Revolution. After the defeat of the Revolution, the brothers were forced to flee to Iran. They started lumbering business in Mazandaran province.

The newspaper “Russkoe Slovo” (13.08.1916) reported that a Georgian noble Manvel Kiknavelidze was killed by the villagers from Gorji-Mahalleh, settled by Mazandarani Georgians. According to the report, ill-treatment of local population by brothers Kiknavelidze caused the murder. A year later the brothers reburied Manvel’s body in their native village in Georgia.

On the 13th of February, 1918 the magazine “Teatri da Tskhovreba” reported that Qaraman Kiknavelidze together with his wife, brothers, sisters and mother had been slaughtered in the village Kiknaveleti.

The trade and charity activities of the brothers Kiknavelidze, especially the eldest one - Qaraman, was widely covered by media: it highlighted that Qaraman Kiknavelidze donated 1000 rubles for the foundation of Tbilisi State University; the newspaper “Sakhalkho Sakme” (17th and 18th of August, 1917) published two articles by Qaraman Kiknavelidze on the Georgian settlements located in the Caspian Sea

coastal provinces of Iran. Contrary to it, Persian sources introduced the brothers Kiknavelidze, namely Manvel and Shalva, in the negative context. The “tyrant and arrogant Russian officer Manvel” often appears in folk narratives and researches done by Georgians from Gorji-Mahalleh and their local folklore.

Mohammad Jabbe, the main character of the novel “The Wild Medlars” by Ali Akbar Kazemi-Gorji, who is depicted as a fighter against local rulers and Russian troops, and as a defender of co-villagers, kills a “Russian officer”. The documents recently found in Iranian archives, where Manvel and his brother are named “Kniaz” or “musye kniaz”, throw light on the events developed after this murder. The two different – Georgian and Persian - interpretations of the murder make it possible to reveal various aspects of everyday life of Mazandaranians in the first two decades of the 20th century.

## თვა პიტიურიშვილი

### მისტიციზმი მოდერნიზაციის სამსახურში: სუფიურ-მასონური ალიანსის ისტორიიდან ირანში

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ირანში, ყაჯართა დესპოტიზმის და ნაცია-სახელმწიფოს ფორმირების პროცესში სოციალურ ჯგუფებს შორის კონკურენციის პირობებში, ნე’მათოლაჰის (Ne’matollahi) სუფიური ორდენი, სოციალ-პოლიტიკური აღორძინების გზით, ახალ პროცესებში აქტიურად ჩაერთო. მიუხედავად უღემების მხრიდან შექმნილი წინააღმდეგობისა, ამ ორდენის ერთი შტო ნაციონალისტურ მოდერნიზაციასთან ერთად პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა, როგორც სახემეცვლილი სოციალური ინსტიტუტი. საზოგადოებაში კონსტიტუციონალისტური და დემოკრატიული პრინციპების აქტუალობასთან ერთად, ნე’მათოლაჰის საფიალიშაჰის (Safialishahi) ორდენის შიგნით ერთ-ერთმა ნევრმა ზაჰირ ოდდოულემ, ძმობის საზოგადოების (ანჯომან-ე ოხოვათ) დაარსებით, პოლიტიკა და მისტიციზმი ერთმანეთს შეუთავსა და სუფიზმს ახალი, ე.წ. პოლიტიკური პარტიის ფორმა მისცა. ამ საზოგადოების წევრების, ერთი მხრივ, სუფიზმით, ხოლო მეორე მხრივ, მასონიზმით გატაცების შედეგად, ტრადიციული მისტიციზმი თავის ჩარჩოებს გასცდა.

რეფორმატორმა ინტელექტუალებმა, რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ დასავლური ელიტების იდეალებით და მათი გასაიდუმლოებით, საკუთარი მიზნების მისაღწევად, მასონიზმი ირანში შეიტანეს, რაც ე.წ. „სეკულარისტმა დერვიშებმა“ გაითავისეს. ძმობის საზოგადოებაში, პოლიტიკური და მისტიკური იდეალების შერწყმით, მასონური ხასიათი მიიღო. სუფიზმი-სა და მასონიზმის ურთიერთმსგავსი მახასიათებლების აღიარებით (საიდუმლოებაზე აქცენტი, სიმკაცრე და ასკეტიზმი, საძმო შეთანხმება), ძმობის საზოგადოების უპირველეს მიზანს ძმობის და თანასწორობის საფუძველზე ახალი ელიტის აღზრდა, განათლებით უზრუნველყოფა წარმოადგენდა – ახალი მოდერნული საზოგადოების ფორმირების და მისი უკეთესი ცხოვრებისათვის.

რეზა-შაჰის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, ანჯომან-ე ოხოვათმა შედარებით საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახე მიიღო და ზოგიერთი მკვლევარი მას პირველ სამოქალაქო გაერთიანებად მოიხსენიებს. ორგანიზაცია ცალსახად ორიენტირებული იყო ირანში საზოგადოების (ნაციის) ტრანსფორმაციაზე და პროგრესული იდეების, ნაციონალისტური მოდერნიზმის, პლურალიზმის, ადამიანის უფლებების, ლიბერალური პრინციპების ხელშეწყობას ემ-



სახურებოდა; ხოლო შიგნით, მასონური ორგანიზაციების მსგავსად, საიდუმლო შეკრებებს მართავდა და იერარქიული იყო.

## Tea Pitiurishvili

### Mysticism in the Service of Modernization: From the History of Sufi-Freemasonry Alliance in Iran

In the late 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> century, in the period of Qajar despotism and process of the *nation-state* formation, in the condition of competition between the social groups, Sufi order *Ne'matollahi* was actively involved in the new processes through sociopolitical revival. One branch of this order, with national modernization, appeared on the political arena, as a transformed social institute. With the growth of significance of the constitutionalist and democratic principles, one of the members, *Zahir od-Douleh* by creating the *Society of Brotherhood (Anjoman-e Okhovvat)* within *Ne'matollahi Safialishahi* order, combined politics and mysticism and gave a new form to Sufism. As the members of this Society were followers of Sufism, on one hand, and followers of Freemasonry, on the other, traditional mysticism expanded beyond its limits.

Reformer intellectuals charmed with the ideals of the western elite and their secrecy to achieve their goals, so called "secularist dervishes" accepted Freemasonry as well. By the merger of political and mystical ideals *The Society of Brotherhood* acquired the Freemason nature. By the recognition of similar characteristics of Sufism and Freemasonry (emphasis on secrecy, strictness and asceticism, fraternity charter), the primary goal of the *Society of Brotherhood* was upbringing of the new elite on the basis of brotherhood and equality, providing education, for the formation of a new modern society with its better life.

With gaining power by Reza Shah, *Anjoman-e Okhovvat* acquired the form of public organization to some extent, and some researchers mention it as the first civil organization. It was clearly oriented towards transformation of the society (*nation*) and served to support progressive ideas, nationalist modernism, pluralism, human rights, liberal principles, but similar to the Freemason organization, it arranged the secret meetings and it had a hierarchical structure.

## ნინო პოპიაშვილი

### აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთა“ – ზოგიერთი მხატვრული თავისებურება

აბუსერიძე ტბელი მე-13 საუკუნის მოღვაწე იყო, ხით-აჭარის ერისთავთ-ერისთავის, ივანეს ძე. ზედწოდება ტბელის მიხედვით აკად. კ. კეკელიძე ასკვნის, რომ ის იყო ან ტბეთიდან, ან ტბეთის ეპისკოპოსი. აბუსერიძე ტბელს მიეკუთვნება „სასწაული წმიდისა მთავარმონამისა გიორგისანი“, რომელშიც, გარდა წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებისა, წარმოდგენილია იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათები. „გალობანი წმიდათა იოვანეთა“ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რ. ხალვაშმა 1992 წელს. მისი აზრითაც, აღნიშნული ჰიმნოგრაფიული ძეგლი აბუსერიძე ტბელს უნდა ეკუთვნოდეს.



საგალობელი ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით შესწავლილია. ჩვენ ამ ძეგლის მხატვრული მხარის ზოგიერთ თავისებურებაზე შევჩერდებით. ქრისტიანული ღვთისმსახურება საქართველოში თავდაპირველად ბერძნულ ენაზე სრულდებოდა და ჰიმნოგრაფიაც, შესაბამისად, ბერძნული იყო. შემდეგ, თანდათან იწყება ორიგინალური ჰიმნოგრაფიაც. პ. ინგოროყვას თვალსაზრისით, ქართული ლექსი მე-5 საუკუნიდან იღებს სათავეს ქართულ პროზასთან ერთად (ინგოროყვა 1954, გვ. 551). ამ აზრს ეთანხმება კ. კეკელიძეც.

მარცვალთა ევფონიური ჟღერადობა საგალობელში არ არის სტაბილური, მაგრამ მთავარი მიზანი, რომ ტექსტი ადვილად წასაკითხი და ადვილად საგალობელი გახდეს, მიღწეულია. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია რითმა, რომელიც საკმაოდ განვითარებული და დახვეწილია მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო ჰიმნებსა თუ საგალობლებს მაღალმხატვრული და ევფონიურად ჟღერადი რითმა არ ახასიათებს.

აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთას“ მხატვრული თვალსაზრისით განხილვისათვის უთუოდ მნიშვნელოვანია ის ჰიმნოგრაფიული ტრადიციები, რომლებიც არსებობდა ქართულში, ასევე, ის მიმართებები, რომლებიც ქართულ საგალობლებს ბერძნულ-ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიასთან ჰქონდა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ აბუსერიძე ტბელის დროისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიას მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები უხვად მოეპოვებოდა, ხშირად გვხვდება აგრეთვე საზომთა, სიტყვათა, ფორმათა გადმოტანა ბერძნულიდან ქართულში.

აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთას“, რასაკვირველია, მიჰყვება შუა საუკუნეების პოეტური სტილისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, გამოხატვის ხერხებსა და საშუალებებს, მზა რელიგიურ დოგმებს, მაგრამ ეს ჰიმნოგრაფიული ძეგლი გამოირჩევა ზოგიერთი მხატვრული თავისებურებით. მაგალითად, შიდა და გარე რითმების სიუხვით, სიტყვათა და ბგერათა ალიტერაცია-ასონანსით. ეს ყოველივე კი, შეიძლება ითქვას, რომ აბუსერიძე ტბელის სტილისათვის არის დამახასიათებელი, რითაც იგი სცილდება არსებულ მზა ფორმებს და ორიგინალურ შინაარსობრივ და მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს.

## Nino Popiashvili

### Several Artistic Features in The Songs by Three Johns (Galobani Samta Iovaneta) by Abuseridze Tbeli

Abuseridze Tbeli was a writer of XIII century and the son of the feudal John. By the title “Tbeli” the Academician Korneli Kekelidze assumed that either he was from the region of Tbeti or was the Episkopos of Tbeti. Abuseridze Tbeli wrote several noteworthy books, such as The Miracles of Saint George, where he writes not only about the miracles done by Saint George but about the life in western Georgia at that time. The Songs by three Johns (Galobani Samta Iovaneta) was published and researched by R. Khalvashi in 1992. According to him, this hymnographical work belongs to Abuseridze Tbeli.

The Hymn has been studied from a historical and literary point of view. The paper deals with several artistic features in the work. Christian Masses in Georgia were performed in Greek, thus hymnography was Greek as well. Afterwards, original hymnography came to existence. According to Pavle Ingorokva, Georgian Verse started in V century along with Georgian Prose (Ingorokva 1954:551). The same hypothesis is shared by Korneli Kekelidze.

The euphonic sound of the syllables is not stable in the hymn, but the aim of the text is to be read easily and to be sung. In this respect, the rhythm is rather important, which is developed and delicate, despite the fact that hymns and songs do not stand out by their highly artistic or euphonic sound of the rhythm.

While researching Abuseridze Tbeli and The Songs by three Johns (Galobani Samta Iovaneta), due to their artistic features, the hymnography traditions that existed before should be taken into account, also the relations that the Georgian hymn shared with Greek and Byzantine Hymnography. Despite the fact that during the times of Abuseridze Tbeli Georgian hymnography was rich in its artistic expressions, there are numerous meters, words, forms taken from Greek into Georgian.

The Songs by three Johns (Galobani Samta Iovaneta) by Abuseridze Tbeli follows the medieval pattern, which is characteristic to the poetic style and uses the elements, means of expression and ready-made religious dogmas, but this hymnography is outstanding due to the rich internal and external rhythms, as well as alliteration. Thus, Abuseridze Tbeli overcomes the existing frameworks and creates a totally new piece of work.

## ვალერიან რამიშვილი

### ბედნიერება და ღირსება

სოკრატესეული შეკითხვა, თუ „როგორ უნდა განვლო შენი სიცოცხლე, რომელიც მოცემული გაქვს“, არის სანყისი წერტილი ბედნიერების ფენომენის განხილვისთვის. ეს იყო ბერძნული აზროვნების ფუნდამენტური საკითხი, რაზეც ორი პასუხი არსებობს: ბედნიერება თუ ღირსება, ადამიანი ყოველთვის დგას ამ არჩევანის წინაშე.

რა შეიძლება გავიაზროთ ბედნიერების ფენომენის ქვეშ იმ საზოგადოებაში, სადაც უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს კონსიუმერიზმი, მატერიალური კეთილდღეობა, სიამოვნება და ადამიანის მიზანია უფრო მეტი მოხმარება და მეტი სიამოვნება. ბერძნული ევდემონია განსხვავდება ბედნიერების თანამედროვე გაგებიდან. ბერძნულ სამყაროში ბედნიერება და ღირსება დაკავშირებულია ღმერთთან. სიტყვა ევდემონია შედგება ორი სიტყვისგან: „ემ – სიკეთე, δαίμων – დემონი“, რაც გულისხმობს, რომ ადამიანის ბედი ღმერთის მფარველობის ქვეშ არის. ევდემონია გულისხმობს კონცეპტს და გზას როგორც ბედნიერება მიიღწევა: ღმერთის წყალობის და ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის სინერგიას, რაც ადამიანის ღირებულ ყოფნაში ვლინდება. ამის გარეშე ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ წარმატებას. მაგრამ ცხოვრებისეული წარმატება არ არის ბედნიერების იდენტური. ამიტომ არისტოტელე ლაპარაკობს ბედნიერების განსხვავებულ დონეებზე. ევდემონია და ღირსეული ყოფიერება დამოკიდებულია ღმერთის კეთილ ნებაზე. ადამიანმა შეიძლება იბრძოლოს ბედნიერებისთვის, წარმატებისთვის, სიმდიდრის და ძალაუფლებისთვის, მაგრამ ნამდვილი ევდემონია არ არის დამოკიდებული მხოლოდ ადამიანის მცდელობაზე.

პლატონთან ევდემონია მეტაფიზიკური ფენომენია, ხოლო არისტოტელესთან იგი ყოველდღიურობის ფენომენია. პლატონი დიალოგ „გორგიაში“ იკვლევს ბედნიერების ორ კონცეპტს: ბედნიერება, როგორც შესაძლებლობა, განახორციელო ყველა შენი სურვილი და ბედნიერება, როგორც მონაწილეობა უმაღლეს სიცოცხლეში, ღვთაებრივ არსებულებთან. ასევე,

არისტოტელე განსხვავებს ბედნიერებას (εὐδαιμονία) და ნეტარებას (μακαρίτας), როგორც ადამიანის ყოფიერების ორ სახეს.

ჩვენ ბედნიერებას განვიხილავთ, როგორც ექსისტენციალს. ბედნიერება არის ყოფიერების გაგების და ადამიანის განწყობის ერთ-ერთი ფუნდამენტური წესი, რომელშიც გაიხსნება სამყაროს ბუნება, როგორც ადგილის, სადაც შესაძლებელია ბედნიერება, ბედნიერების ძიება და ბრძოლა ბედნიერებისთვის. იგი ასევე გახსნის ადამიანის ყოფიერების ხასიათს ამგვარ სამყაროში, ხოლო ბედნიერებას განვიხილავს, როგორც ამ სამყაროში ყოფნის ერთ-ერთ წესს. ბედნიერების ფენომენი არის ფენომენოლოგიურ-ჰერმენევტიკული ანალიზის საგანი. ბედნიერება, როგორც ექსისტენციალი და ყოფიერების გაგების ფორმა, გვეხმარება გავიაზროთ, თუ როგორ განიცდის ადამიანი ბედნიერებას და როგორ ავლენს ბედნიერება თავი სთავს თავის თავში, როგორც ადამიანის ყოფნის წესი. ეს არ არის ადამიანის ბედნიერების ელემენტების ან მიზეზების კვლევა. ბედნიერება ავლენს ადამიანის ყოფნის ერთ-ერთ წესს და იმ სამყაროს არსს, რომელშიც ადამიანი ყოფიერობს, სადაც შესაძლებელია ბედნიერება.

ბედნიერების ექსისტენციალი ისეთივე მნიშვნელოვანია ადამიანის მუნყოფნის დახასიათებისთვის, როგორც ძრწოლის განწყობა, რომელშიც ადამიანის მუნყოფნა და სამყარო სხვაგვარად გაიხსნება და წარმოსდგება ადამიანის წინაშე. ბედნიერება სამყაროს გახსნის, როგორც ადგილს, სადაც შესაძლებელია ბედნიერება, როგორც ადამიანის ყოფნის ერთ-ერთი წესი, რაც არის კომპენსაცია სიკვდილის სანაცვლოდ, რომელიც ცხადი ხდება ძრწოლის განწყობილებაში. საკუთარი ყოფნის გამონვეული სიხარული ეფუძნება ადამიანის სიხალისეს, ცხოვრების სიხალისეს, რასაც ჰაიდელგერი კიუნციგეს უწოდებს (მ. ჰაიდელგერი).

## Valerian Ramisvili

### Happiness and Dignity

The Socratic question “How ought one to live one’s life?” (πᾶς βιωτέον;) is a starting point for the analysis of the phenomenon of Happiness. It was a fundamental question of Greek thinking to which there are two answers: Happiness or Dignity, and Human always stands before this choice.

What can we consider as happiness in the society where the main values are consumerism, material welfare, pleasure and where the aim of human is more consumption and more pleasure? Greek Eudaimonia is different from Happiness in modern sense. Happiness and Dignity are in connection with God. The word Eudaimonia consists of two words, “εὖ – good, δαίμων – daemon”, which literally means that the destiny of a person is under the patronage of God. Eudaimonia implies the concept and a way by which happiness is achieved: synergy of God’s grace and moral perfection of Human, which is revealed in the dignified Being of Human, without it Human can achieve only success. However, earthly success is not identical with happiness. Therefore, Aristotle speaks about different levels of Happiness. Eudaimonia and Dignified Being are connected with the goodwill of God. Human may fight for happiness, success, wealth and power, but true Eudaimonia depends not only on Human’s efforts.

According to Plato Eudaimonia is a metaphysical phenomenon, while Aristotle thinks that it is a phenomenon of the daily routine. In Plato’s dialogue “Gorgias” two concepts of happiness are investigated: happiness as a possibility to fulfill all your desires and happiness as a participation in the highest life, as contemplation of divine entities. Aristotle also differentiates happiness (εὐδαιμονία) and beatitude (μακαρίτας) as two kinds of Human Being.

We discuss Happiness as the Existential. Happiness is the only fundamental rule for understanding the Being and human's mood, in which the nature of the universe is revealed, as a place where it is possible to experience happiness, search for happiness and fight for it. It also opens up the nature of Human's Being in such a world, and considers happiness as a way of Being in it.

The phenomenon of happiness is an object of phenomenological-hermeneutical analysis. Happiness, as existential and a form of understanding Being, helps us to acknowledge how Human feels happiness and how happiness reveals itself in itself as a form of Human's Being. It is not a study of the elements and reasons of human happiness. Happinesses shows one of the forms of Human's Being and the essence of the world in which Human exists, where Happiness is possible.

The Existential of happiness as important for characterizing Human's Being as anxiety, in which human life and the world are opened differently to Human. Human has a natural aspiration to Happiness and it is natural metaphysics which represents the world as the place of realization of happiness. Happiness will open the world as the place where it is possible, as a form of Human's Being, as a compensation for Death, which becomes obvious in the mood of anxiety. The mood of joy caused by one's own Being is based on Human's cheerfulness, on life's joy, which Heidegger calls "kuinzig" (M.Heidegger).

## ირაკლი სალია

### ქართული სალიტერატურო ენის მიმართება ქართული ენის დიალექტებსა და ქართველურ ენებთან

ქართული სალიტერატურო ენის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. „სიტყუაჲ ართრონთათვის“, დღეისათვის ცნობილი პირველი ქართული თხზულება, რომელშიც განხილულია გრამატიკის საკითხები, სწორედ სალიტერატურო ენის პრობლემურ საკითხებს ეხება. მას შემდეგ ქართული სალიტერატურო ენა ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად რჩება.

სალიტერატურო ენის კვლევისას რამდენიმე ფუნდამენტური საკითხი წამოიჭრება. მათგან ჩვენ მოხსენებაში მიმოვიხილავთ ქართული სალიტერატურო ენის გავლენას დიალექტებსა და ქართველურ ენებზე და დიალექტებისა და ქართველური ენების წვლილს სალიტერატურო ენის განვითარებაში. ნაშრომში ასევე განხილული იქნება სხვა პრობლემური საკითხები, კერძოდ, ტერმინ სალიტერატურო ენის მართებულობა და ქართული სალიტერატურო ენის სოციალური პრესტიჟის გავლენა ენათმეცნიერებაზე.

## Irakli Salia

### The Relation of the Georgian Literary Language to Georgian Dialects and Kartvelian Languages

The study of the Georgian literary language has a long history. "A Word for Articles", the first known Georgian grammatical work, deals with problematic topics of the standard language. Since then the Georgian standard language has been one of the main objects under investigation in Kartvelology.

While studying the standard language, several crucial problems arise. The paper will discuss the influence of the Georgian literary language on its dialects and Kartvelian languages and the contribution of dialects and Kartvelian languages to the development of the standard language. We also will discuss other topics, i.e. validity of the term “Saliteruro Ena” and the effect of Georgian standard language on linguistics. The work will also analyze other problematic issues, namely, the validity of the term “standard language” and the influence of social prestige of the Georgian literary language on linguistics.

## მაია სახოკია

### რიტორიკის იდეოლოგია ირანულ სამწერლობო ტრადიციაში: აქემენიდები და შაჰნამე სასანიდების გზით

აქემენიდური წარწერების ტექსტებსა და შაჰნამეს შორის რიტორიკული ხერხების მსგავსების გამოვლენისა და მოძიების შედეგად შემოთავაზებულია რიტორიკული ხერხებისა და ეფექტების სხვადასხვა კოდირებული რიგები, რომელთაგან ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ გამეორების ეფექტზე. ვხედავთ თანმიმდევრულად განმეორებადი რიტორიკული პარადიგმების მწკრივებს; სახეზეა ლექსიკური პარადიგმები; ფუნქციური სიტყვათშენაერთები, მორფოსინტაქსემები, სინტაგმები; შესაძლებელია ვილაპარაკოთ სპეციალური რიტორიკული კოდების, რიტორიკული წესების შესახებ, რაც საერთოა ირივე ეპოქის ძეგლთათვის. კოდები და წესები ბაზაა ლიტერატურული, მხატვრული, პოეტური თარგმანებისთვისაც. სახეზეა მრავალი, ზოგჯერ ზუსტად ერთნაირად განმეორებადი ერთეულები (ფრაზები, ფრაზემები, შენაერთები, სინტაგმები, კომპოზიტები, ცალკეული ლექსემები, წინადადებები და ა.შ.). პრაგმატული სემანტიკა და ლექსიკური მასალა დიდწილად ტიპოლოგიურია. სხვადასხვა ტიპის ტექსტურ გამეორებათა თემატიკა და სტილი აქემენიდურ წარწერებსა და ფირდოუსის პოემაში (სასანური ეპოქის გავლით) მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულებათა კოდიფიცირული ნიშან-თვისებებითაა აღბეჭდილი.

ორივე ეპოქის ძეგლთა რიტორიკული მონაცემების, ფორმალური თუ სემანტიკური მასალის, რიგ მხატვრულ ხერხთა ტიპოლოგიური ერთობა, სტილისტური ბუნება-ხასიათი და სტრუქტურა, ტექსტურის სტილისტიკა დატვირთულია ფუნქციონალურად და იდეოლოგიურად. აქ ამჯერად ვჩერდებით ძირითადად გამეორების ხერხზე.

ამ მიმართულებით კვლავაც ბევრი საგულისხმო კვლევა შესაძლებელია. შეპირისპირებული მასალის ბუნება-ხასიათის აღწერის შედეგობრივი სურათი ავლენს ზოგადად რიტორიკული ხელოვნების, შემოქმედებითი რიტორიკის მხატვრულობის ტიპოლოგიისთვის ღირებულ მახასიათებლებს.

**Maia Sakhokia**

### **Rhetoric Ideology in Iranian Literary Tradition: Achaemenids and “Shahnameh” through Sassanians**

As a result of identifying and finding similarity between the rhetorical means used in Achaemenid inscriptions and Shahnameh, different enciphered rows of rhetorical means and effects have been suggested, of which attention will be paid to the effect of repetition. It is based on the experience of Georgian Literary translation of Achaemenid inscriptions and defining the artistic literary parameters of the original version for its creative translation. It became relevant to carry out typological comparison of Old Persian thematic, linguistic and textological-idiomatic units with “Shahnameh” by Ferdowsi.

Rhetoric and Rhetorical data shape a key axis of external, creative-literary, linguistic cover of all the mentioned aspects. The very rhetoric unites the two distant epochs: the texture of the Achaemenid inscriptions and the verse of Ferdowsi’s poem are revealed. Various groups and elements of characteristic features are outlined. All thematic components in both epochal chains mostly demonstrate mutually identical rhetorical aesthetics. The components and features of the texture demonstrate a general tradition of rhetoric and aesthetics. Rhetoric, as a subject for exploration (studies), is related to the linguistics and textology fields of the text. All these factors and arguments are applied for exploring the materials. These two chains mostly have common aesthetics.

Multilateral thematic-semantic, culturological and linguistic-textological analysis of the very rhetoric material demonstrates essential systematic nature of unity and similarity of literary signs between the Achaemenid epigraphical heritage and Shahnameh.

I would like to put emphasis on one component as one of the samples of rhetoric – repetition: let’s compare repetition in Old Persian and Shahnameh.

Here we can see the paradigmatic lexical sequences as Rhetorical Codes: lexemes, taxemes, phrases are systematically repeated. Repetition seems to be a Method of Rhetoric in OP inscriptions as well as in Shahnameh. The parallel typological-rhetoric samples reflect certain rhetoric-thematic and textual-paradigmatic units, which are common for both epochal chains. Pragmatic semantics and Lexical Data create Rhetorical Rules and their Paradigms. The Typological Unity of Rhetorical data of OP/Shahnameh (through Sassanian data too), shows a live heritage of Pragmatic Rhetorical Ideas.

### **თათია სიბაშვილი**

### **ცნობიერების ნაკადის ტექნიკა და შინაგანი მონოლოგი ოთარ ჭილაძის რომანებში**

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მეოცე საუკუნის ოციანი წლები გარდამტეხი მნიშვნელობის აღმოჩნდა. სწორედ ამ დროიდან ყალიბდება მაღალი მოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა და მას ისეთი მწერლები უყრიან საფუძველს, როგორებიც არიან ჯეიმზ ჯოისი, ტომას ელიოტი, ვირჯინია ვულფი, ეზრა პაუნდი და ა.შ.

მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველო „წითლებმა“ დაიპყრეს, ამიტომაც ქვეყანაში მოდერნისტული ტენდენციები მოგვიანებით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოვიდა.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ცნობიერების ნაკადის ტექნიკა და შინაგანი მონოლოგი ოთარ ჭილაძის შემდეგ რომანებში: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „რკინის თეატრი“ და „გოდორი“.



მოდერნისტული რომანისთვის დამახასიათებელი ნიშნები ყველაზე გამოკვეთილად სწორედ ოთარ ჭილაძის რომანებში ჩანს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება შინაგანი მონოლოგის გამოყენებაში. თუმცა ცნობიერების ნაკადის ტექნიკა, ჯოისისგან განსხვავებით, ჭილაძის შემოქმედებაში ხშირად იღებს მესამე პირში მონათხრობის სახეს, რაც ართულებს მის გამორჩევას ავტორისეული თხრობისაგან (განსაკუთრებით მის რომანებში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „რკინის თეატრი“), ხოლო „გოდორი“, რომელიც შედევრად არის აღიარებული, არა მხოლოდ მეოცე საუკუნის საქართველოს მდგომარეობას გვიხატავს, არამედ ცდილობს, ერი გამოაფხიზლოს, ისე, როგორც ამას ჯეიმზ ჯოისი ცდილობდა თავის შემოქმედებაში, როცა ირლანდიის „მორალურ ისტორიას“ გვაჩვენებდა.

**Tatia Sibashvili**

### **Stream of Consciousness Technique and Interior Monologue in Otar Chiladze's Novels**

The beginning of XX century was the period of formation of High Modernism as a literary movement started by such writers as James Joyce, T. S. Eliot, Virginia Woolf, Ezra Pound, etc. Modernism, just as any other literary movement, brought its own new forms of expression, and by refusing the so-called traditional storytelling technique, began to delve into the characters' inner world through the technique of interior monologue and the stream of consciousness.

In the 1920s, as Georgia became invaded by the “Reds”, the tendencies of High Modernism started to appear only in the second half of the 20th century. The present article deals with some peculiarities of the Stream of Consciousness technique and interior monologue in Otar Chiladze's three novels – A Man Was Going Down the Road, The Iron Theatre and The Creel.

Otar Chiladze's novels, with their extensive use of interior monologue, are particularly interesting from the point of view of Modernism. Unlike Joyce's first person stream of consciousness technique, Otar Chiladze (particularly in the novels A Man Was Going Down the Road and The Iron Theatre) often uses a third-person narrative to render the stream-of-consciousness of his characters, thus making it difficult to tell the boundary between the author's voice and that of the protagonist.

The Creel, considered as a masterpiece, not only creates a vast image of Georgia in XX century, but also is an attempt to awaken the “nation's conscience” in the way James Joyce had done in his great works by creating the “moral history” of Ireland.

**თენგიზ სიმაშვილი**

### **„საქართველო უპირველეს ყოვლისა“ (ქართველი ემიგრანტები საქართველოსთვის ბრძოლაში 1941-1945 წლებში)**

ქალაქ თელავში, ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში შემონახული ინფორმაცია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ე.წ. „გიგოს გორაზე“ ემიგრაციაში წასული ვინმე ჭირაქაძის დახვრეტის შესახებ ძალიან საინტერესოა. ჩვენ მიერ ამ ზეპირი იტორიის შესწავლის და გაა-



ნალიზების შედეგად არქივებში მოძიებული იქნა დღემდე ფართო საზოგადოებისათვის უცნობი უამრავი დოკუმენტი საქართველოში გერმანელების მიერ გადმოსმული სხვა ემიგრანტების შესახებ. გაირკვა, რომ 1942 წლის სექტემბერში გიორგი სამსონის ძე ჭირაქაძე ოთხ ყოფილ სამხედრო ტყვესთან ერთად გერმანელებმა თვითმფრინავით გადმოსვეს კახეთში. მათი მთავარი მიზანი მოსახლეობაში ანტისაბჭოთა პროპაგანდა-აგიტაციის განწევა იყო. ამ მასალების მიხედვით, 1925-1930 წლებში ემიგრაციაში წასული უამრავი ახალგაზრდა ჩადგა გერმანიის არმიის რიგებში, რათა გამოეხსნათ საქართველო საბჭოთა უღლისგან. დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი იყვნენ პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები, რომელთა დევიზიც იყო „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

## Tengiz Simashvili

### “Georgia Above All!” (Georgian Emigrants Fighting for Georgia in 1941-1945)

The memories of Telavi residents have preserved information about the execution of a man named Tchirakadze, who was shot dead during World War II on one of the town hills, the so-called “Gigos Gora”. As a result of studying and analyzing this unwritten history, we found in the archives many fresh, as yet unknown to the public materials about the emigrants sent to Georgia on airplanes by the commanders of the German army. It turned out that in September 1942 Giorgi Tchirakadze, along with four former prisoners of war, was brought on German aircraft to Khakheti. Their main goal was spreading anti-Soviet propaganda among the native Georgian population.

According to the archival materials, many young people who emigrated between 1925 and 1930 joined the German army in order to fight against the Soviet regime and bring freedom to Georgia. The analysis of the documents shows that they were people imbued with a patriotic spirit, whose motto was “Georgia Above All!”

## მამია სურმავა

### ზნეობა, თავისუფლება და მორალური არასრულყოფილება კანტის ეტიკაში

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო თავისუფლების ცნების როლი კანტის „კრიტიკულ“ ფილოსოფიაში. თუმცა, იმავდროულად, თავისუფლების თეორია მისი ფილოსოფიის ყველაზე რთული ასპექტია ინტერპრეტაციისათვის. გავრცელებულია აზრი, რომ კანტისათვის ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჩვენს საქციელზე, რადგან გვაქვს თავისუფალი ნება. ხოლო თავისუფალი ნება გვაქვს ნოუმენალურ სამყაროში არსებობის გამო, სადაც ჩვენზე აღარა აქვს ზეგავლენა სურვილებსა და მიდრეკილებებს. მხოლოდ ნოუმენალურ სამყაროში რომ გვეარსება, მაშინ ჩვენ მხოლოდ კატეგორიული იმპერატივის მოთხოვნილებისამებრ მოვიქცეოდით, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ფენომენალური სამყაროს ბინადარნიც ვართ, ზოგჯერ ზნეობრივად ვცო-

დავთ კიდეც. კანტის თვალსაზრისის ამგვარი გაგება რამდენიმე პრობლემას წარმოშობს: ჯერ ერთი, არაა ცხადი, კაუზალურად განუსაზღვრელი პიროვნება რატომ უნდა იქცეოდეს მორალურად და არა სხვაგვარად. მეორეც, თუ ჩვენ მხოლოდ იმდენად ვართ პასუხისმგებელნი, რამდენადაც ნოუმენალური ვართ და რამდენადაც ჩვენ ნოუმენალური ვართ, ჩვენ მხოლოდ ზნეობრივად ვიქცევით, ჩვენ არ შეგვიძლია პასუხისმგებელნი ვიყოთ ჩვენს ბოროტ საქციელზე. წინამდებარე სტატიაში ჩვენ ნათელს გავხდით, რატომ ფიქრობს კანტი, რომ მორალური კანონი თავისუფალი ნების კანონია და რატომ მიიჩნევს ის იმასაც, რომ ჩვენ თავი თავისუფალ არსებად უნდა განვიხილოთ. ამის შემდეგ ჩვენ დავასაბუთებთ, რომ პასუხისმგებლობასთან და ონტოლოგიასთან დაკავშირებით ნავარაუდევ პრობლემებს ერთი წყარო აქვს: იმ რადიკალური განსხვავების არასწორი შეფასება, რომელსაც კანტი ატარებს თეორიულ და პრაქტიკულ გონებას და მათ შესატყვის აქტიურობათა სფეროებს შორის. როცა აღნიშნულ სფეროებს შორის ისეთი განსხვავებაა გატარებული, როგორსაც ითხოვს კანტის ფილოსოფია, მორალურ ქცევასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები ნიველირდება.

## Mamia Surmava

### Morality, Freedom and Moral Imperfection in Kant's Ethics

There can be little doubt regarding the centrality of the concept of freedom in Kant's "critical" philosophy. But, at the same time, the theory of freedom is the most difficult aspect of his philosophy to interpret. Kantian ethical philosophy has often been criticized for its dependence on an untenable conception of the freedom of the will. Kant is supposed to have asserted that we are morally responsible for all of our actions because we have free will, and that we have free will because we exist in a noumenal world in which we are uninfluenced by the temptations of desire and inclination. If we existed only in the noumenal world, we would invariably act as the categorical imperative requires, but because we are also phenomenal beings we sometimes go wrong. The view so understood gives rise to several problems.

First, it is not obvious why persons uninfluenced by causality should act morally rather than any other way. Second, if we are only responsible because we are noumena and if insofar as we are noumena we only do what is right, then we cannot be responsible for our evil actions. In the paper I make clear why Kant thinks that the moral law is the law of a free will, and why he thinks we must regard ourselves as free. I then argue that the supposed problems about responsibility and ontology arise from a common source: a failure to appreciate the radical nature of Kant's separation of theoretical and practical reasons, and of their respective domains of explanation and deliberation. When these domains are separated in the way that Kant's philosophy requires, the problems about moral action and responsibility disappear.

## ქეთევან სიხარულიძე

### რობერტ ბერნსი - პოეტი და ფოლკლორისტი

შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ფოლკლორით დაინტერესება ბავშვობის წლებიდან იწყება, ხოლო ბალადების ჩანერა-შესწავლამ განსაკუთრებული როლი ითამაშა მისი

პოეტური სტილის ჩამოყალიბებაში. ინგლისურ-შოტლანდიური ბალადების თავისებური წყობა და სხვა ბევრი რამ შეითვისა შოტლანდიელმა პოეტმა. იგი თავადაც კრებდა ხალხურ სიმღერებსა და ბალადებს. წლების განმავლობაში ფოლკლორისტ ჯეიმს ჯონსონთან ერთად იგი მონაწილეობდა მრავალტომეულის – „მუსიკალური მუზეუმის“ შექმნაში. ამ წიგნებში რ. ბერნსმა გამოაქვეყნა მის მიერ გადამუშავებული ხალხური ბალადები და საკუთარი ლექსები. იგი ზეპირი ვარიანტებიდან აღადგენდა ტექსტებს და თუ ტექსტი დაკარგული ან დამახინჯებული იყო ვულგარული ფრაზებით, ქმნიდა ახალ სიმღერებს ძველ მელოდიებზე. ამგვარად გახდა ფოლკლორის ამალორძინებელი რ. ბერნსი შოტლანდიის საუკეთესო პოეტი და ხალხის ყოფისა და თქმულებების საუკეთესო მცოდნე მეცნიერი. მის ნაწარმოებთა უმრავლესობა ძველი სიმღერების ღრმად ორიგინალური გადამუშავებაა. ბერნსი იყენებდა ძველი სიმღერების სიუჟეტს, მელოდიას, რიტმს, საზომს. სუსტი, ნახევრად მივიწყებული ძველი სტროფები მისი კალმის ძალით იძენდნენ თანამედროვე ელფერს და ივსებოდნენ ახალი შინაარსით.

## Ketevan Sikharulidze

### Robert Burns – Poet and Folklorist

The Scottish poet Robert Burns showed his interest in folklore from childhood years and the recording and studying the ballads played a significant role in shaping his poetic style. The peculiar form of English-Scottish ballads and many other things were adopted by the Scottish poet. He also collected folk songs and ballads himself. Over the years, together with folklorist James Jonson, he participated in the creation of the multi-volume collection of the folk music of Scotland “The Scots Musical Museum”. In these books R. Burns published folk ballads edited by him as well as his own poems. He reconstructed the texts from oral versions and if the text was lost or distorted with vulgar phrases, he created new songs on old melodies.

Thus, the restorer of folklore R. Burns became the best poet of Scotland and the expert of people’s everyday lives and legends. The majority of his works are deeply original modifications of old songs. Burns used the story of old songs,

melody, rhythm, measures. Slender, semi-forgotten old strophes acquired modern colouring through the power of his pen and were filled with new content.

## თამთა ფარულავა

### რას იმარხავს „ოქროს ქვიშა“

ლიბიელი მწერლის იბრაჰიმ ალ-ქუნის „ოქროს ქვიშა“ რომანი – გამოცდაა. იგი მეოცე საუკუნის მინურულს ინერება, როცა უკვე არსებობს ჟანრის ჩამოყალიბებული კანონიკაც და ამ კანონიკის რღვევის ტრადიციაც. იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში ორივე გზის დეტალებს აღმოვაჩინთ. ამ რომანში გამოიცდება მთავარი გმირის სიყვარული, ერთგულება, მოთმინება. გამოცდის მარტივი შინაარსი მთავარი გმირისა და მისი ამაღლი აქლემის ერთმანეთისადმი

ერთგულებისა და სიყვარულის ამბავზე დაიყვანება; სინამდვილეში კი საგამოცდო თემატიკა პირველმიზეზის – სიყვარულისა და ერთგულების, თავისუფლებისა და მონობის, მარადიულისა და წარმავლის, დროისა და წუთისოფლის ფილოსოფიურ კატეგორიებს მოიცავს.

გმირი ტანჯვითა და მრავალგვარი საცდურით გამოიცდება (ფიზიკური ტკივილი, წყურვილი, ლტოლვილობა, შიმშილი, სულიერი ტკივილები, ცილისნამებით გამოწვეული შინაგანი ბრძოლა, როცა ფასეულობათა სისტემა თავდაყირა დგება). გამოცდის უკანასკნელი ეტაპი რომანის ერთ-ერთ მთავარ თემას - თავისუფლების პრობლემას გამოკვეთს. რომანის ავტორიც ამ ცნებას სხვადასხვა პერსპექტივიდან – მთავრი გმირისა თუ მის გარშემო მყოფი საზოგადოების თვალთვლით წარმოგვიდგენს, შესაბამისად, მისი მნიშვნელობაც მოუხელთებელი და ეფემერული შეიძლება მოგვეჩვენოს. უხაიადის ფიქრებში გაჩენილი დილემა - ცოლ-შვილი თუ აქლემი - სწორედ თავისუფლებისა თუ პასუხისმგებლობის ცნებებს უკავშირდება. აქ ავტორი პასუხისმგებლობის საკითხს ბედისწერას უპირისპირებს.

იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანის სახეობრივი სისტემის ერთი საგულისხმო მხარეა სიმბოლოები. აქ აქლემის სიმბოლური სახე ადამიანის ღვთაებრივი პირველსაწყისია, ის ერთობაა, ადამიანის ხორციელად დაბადებამდე რომ შეიქმნა. ოქროს ქვიშა კი სიმბოლოა იმისა, რასაც ადამიანი ფლობს. ეს არის სიმბოლო-გასაღები რომანისა, იგი გამოცდის ბოლო ეტაპს უკავშირდება, რომლის „ჩაბარებისას“ უხაიადი მკვლელი ხდება. ოქროს ქვიშა არის ყველაფერი ის, რაც სასწორზე თავისუფლების საპირწონედ შეიძლება დაიდოს: ცოლ-შვილი, ნათესაობა, სირცხვილი, საზოგადოების აზრი, ქონება.

ალ-ქუნის რომანის შეფარული ფსიქოლოგიზმის საგულისხმო ნაწილია გამაერთიანებელი ჯაჭვით წარმოდგენილი სიზმრები მთავარი პერსონაჟისა. სამივე სიზმარი რომანის მთავარი გმირის სულიერი ცხოვრების ამბავს დაკუმშული და სიმბოლური გზით გადმოგვცემს, რომლის ძირებს სუფიურ მისტიკურ ფილოსოფიასთან მივყავართ.

რეალურისა და მისტიკურის ამალღებული ერთობაა რომანის ფინალური სცენა, რომელშიც მთავარი გმირი სიკვდილის გავლით ანგრევს სხეულის საპატიმროს და თავისუფლებას მოიპოვებს.

სათქმელის მინიშნებათა საშუალებით გადმოცემით, პასუხგაუცემელ კითხვათა შემოტანით იბრაჰიმ ალ-ქუნი რომანი-გამოცდის ახალ სტილს ამკვიდრებს, ახალი დროის მკითხველისათვის რომ არის გამიზნული.

## Tamta Parulava

### What is Buried in the “Gold Dust”

“Gold Dust” by the Libyan writer Ibrahim al-Koni, is a novel-challenge. It was written in the late twentieth century, when the formed canons of the genre already existed, as well as the tradition of deviation from these canons. In Ibrahim al-Koni’s novel we can find the details of both of these ways. In this novel love, fidelity and patience of the main character Ukhayyad (from Tuareg tribe) are challenged. In simple words, the content of the challenge is fidelity and love of the main character and his piebald camel to each other; while in reality, this is about the philosophical categories of primal cause, love and loyalty, freedom and slavery, eternal and temporary, time and life.

The main character is tried by torture and various hardships (physical pain, thirst, life in exile, hunger, spiritual pains, internal struggle caused by slander, when the system of values turns upside down). The last stage of the trial emphasizes one of the main issues of the novel – the problem of liberty.

The author of the novel demonstrates this concept from different perspectives: from the positions of the main characters and society surrounding him and, hence, its meaning can seem elusive and ephemeral. The dilemma which arises in Ukhayyad's thoughts – wife and children or camel – is associated with the concepts of freedom and responsibility. Here the author opposes fate to the issue of responsibility.

One of the notable aspects of the image system of Ibrahim al-Koni's novel is its symbols. The symbolic image of the camel is the divine origin of humans; it is the unity, created before individual's material birth.

Golden dust is the symbol of what individual possesses. This is the symbol-key to the novel. It is associated with the last stage of the trial, at the time of its "passing" Ukhayyad becomes a murderer. Golden dust is everything that can be weighed out in the balance for freedom: family, relatives, shame, public opinion, property.

A significant part of covered psychologism of al-Koni's novel is presented as the unifying chain of the main character's dreams.

All the three dreams describe the stories of the main character's spiritual life in concise and symbolic way and the roots lead us to the Sufi mystical philosophy.

The final scene in the novel is the elevated unity of the real and mystic. There the main character, passing the death, breaks through the prison of body and gains freedom.

By expressing what he wanted to say through the symbols, by introducing the questions without answers, Ibrahim al-Koni establishes the new style of the novel-trial which is intended for the readers of the new time.

## მარინე ფუთურიძე

### ურმიისპირეთის რეგიონის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე: თრიალეთის კულტურის ერთი ტიპის კერამიკული მასალა

შუაბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის ყველაზე დაწინაურებული ფენომენის – თრიალეთის კულტურის კერამიკის ერთი კონკრეტული ტიპი ნათლად წარმოგვიდგენს იმ გავლენას, რომელიც ირანის რეგიონიდან ვრცელდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით და აღწევდა ქვემო ქართლის ჩრდილო საზღვარს. ამ მოვლენის ამსახველი მასალა ფართოდაა დადასტურებული თრიალეთის კულტურის გავრცელების უპირატესად სამხრეთ ზოლში. ვანი-ურმიისპირეთის რეგიონში ფართოდ გავრცელებული მოხატული კერამიკის ერთი ტიპი, რომელიც სამეცნიერო სამყაროში ცნობილია ე.წ. „წყლის სქემის“ ორნამენტული მოტივის სახელით, როგორც ჩანს, აღწევს სამხრეთ კავკასიის ამ პერიოდისათვის დაწინაურებული თრიალეთის კულტურის სივრცეში და საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს. ურმიისპირეთის რეგიონი კულტურული თავისებურების თვალსაზრისით ერთ-ერთი ძალზე გამორჩეულია ირანის სხვა დანარჩენი პროვინციებისაგან. ის ვანის ტბის მიმდებარე ზოლთან ერთად შუაბრინჯაოს ხანაში ერთიან კულტურულ სივრცეს ქმნიდა და ამიტომაც სამეცნიერო სამყაროში ვანი-ურმიისპირე-

თის მოხატული კერამიკის გავრცელების რეგიონად მოიხსენიება. სწორედ ამ ეპოქაში, აღნიშნული არეალის უაღრესად დამახასიათებელ არქეოლოგიურ კონტექსტს წარმოგვიდგენს წითელ ფონზე შავი საღებავით მოხატული ე.წ. „წყლის სქემის“ ორნამენტული მოტივით შემკული კერამიკა. იგი სპეციფიკური თავისებურება ჩანს საკუთრივ ირანის ამ მონაკვეთისა და მის დასავლეთით მიმდებარე სივრცისათვის. როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, ეს მძლავრი კულტურული მოვლენა არ დარჩენილა სიმპტომატურ თავისებურებად მხოლოდ ვანი-ურმიისპირეთისათვის და მან ბევრად ფართო გავრცელება პოვა ჩრდილოეთით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ძველი სამყაროს ცივილიზაციური განვითარების სივრცეში სამხრეთი კავკასია წინა აზიის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიად განიხილება და, შესაბამისად, სამხრეთიდან მომდინარე კულტურული იმპულსების გავლენა ჩრდილოეთისაკენ სრულიად ბუნებრივი და არცთუ იშვიათი მოვლენაა პრეისტორიული ხანის სხვადასხვა ეტაპზე.

შუაბრინჯაოს ხანის განვითარებული ფაზა, რომლის გამორჩეულად დაწინაურებულ კულტურულ მოვლენად მიიჩნევა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა (ბ. კუფტინისეული დეფინიცია), საგანგებოდ გამორჩეულია სხვადასხვა სამხრეთული ცივილიზაციური ცენტრებიდან მომდინარე კულტურულ-ეკონომიკური გავლენების თვალსაზრისით. ერთ-ერთი თვალსაჩინო და არსებითი გამომხატველი ამ ზეგავლენისა არის ვანი-ურმიისპირეთიდან შემოჭრილი მოხატული კერამიკის სტილის მოულოდნელად გავრცელება და დამკვიდრება ძვ.წ. 21 – 18 საუკუნეების სამხრეთ კავკასიის სამხრეთულ ზონაში.

მოხსენებაში განხილულია ამ თვალსაზრისის მაჩვენებელი ფაქტობრივი მონაცემები ირანისთვის დამახასიათებელი ანალოგიური არქეოლოგიური კონტექსტის ფონზე და მასთან მიმართებაში.

## Marina Puturidze

### Influence of the Urmian Region on South Caucasus: One Type of Ceramics of the Trialeti Culture

One certain type of ceramic production of Trialeti culture – the most developed phenomenon of Middle Bronze Age South Caucasus – clearly represents the influence which spread from Iran towards north and reached the northern frontier of Kvemo Kartli. The archaeological material which manifests the mentioned is widely confirmed in the southern area of distribution of the Trialeti culture. It seems that one type of decorated ceramics, which is widely spread in Van-Urmian region and is known in scientific world as the so-called “water-scheme” ornamental motif, penetrates into the space of the then advanced Trialeti culture and establishes itself.

From the point of view of cultural peculiarities, the Urmian region was one of the most distinguished among the other provinces of Iran. Urmia, together with the neighboring Van Lake area, in the Middle Bronze Age formed a unified cultural space, due to which in scientific world it is referred to as the region of distribution of Van-Urmian painted pottery. In archaeology this valuable pottery is known as the Van-Urmian type, which is characterized by “water-scheme” motif, an ornament drawn with black paint against the red background. This assemblage appears to be the most specific feature for north-west Iran and the bordering western area.

According to the wide range of archaeological data, it became clear that the mentioned type of ceramic production was not peculiar only for Van-Urmian basin and was spread much further to the



north, reaching the territory of South Caucasus. This process seems logical if we envisage the fact that South Caucasus is considered the most northern periphery of the Near East. Consequently, the influence of southern cultural impulses on the north is quite natural and frequent on different stages of prehistory. The developed phase of Middle Bronze Age, the most advanced cultural phenomenon of which is the culture of brilliant Kurgans of Trialeti (B. Kuftin's definition), is particularly distinguished from the point of view of cultural-economic influences coming from various centers of southern civilization.

One of the most distinct and essential representations of this impact is the unexpected spread of the style of painted ceramics, which penetrated from Van-Urmian region and became established in the southern part of South Caucasus in 21-18 centuries BC.

The paper discusses the factual data containing this view against the background of analogous archaeological context characteristic of Iran and in relation to it.

## ბურჯუ მელიჰა ქესერ

### ქართულ ენაში მიმართვად გამოყენებული სახელები

ეს ნაშრომი დაწერილია იმის გასარკვევად, თუ ქართულ ენაში გამოყენებული სახელები როგორ გამოიყენება და წინადადებაში სად გვხვდება. წარმოდგენილი ნაშრომში ამ საკითხთან დაკავშირებით განხილულია სხვადასხვა თეორია. ნებისმიერ ენაში მოგვეპოვება სიტყვები და სიტყვათა შეხამებანი, როლებითაც ვერბალური (სიტყვიერი) კომუნიკაციის პროცესში მოუბარი მიმართავს თავის თანამოუბარს პიროვნების (ან საგნის) დასახელების (ნომინაციის) მიზნით. ასეთ სიტყვებსა და სიტყვათშეხამებებს ლინგვისტიკაში ვუნოდებთ მიმართვას.

ტერმინი „მიმართვა“ საფუძველდამდები ცნებაა მიმართვის თეორიაში. ეს ტერმინი გულისხმობს იმას, თუ რა ენობრივი საშუალებებით აღნიშნავს მოუბარი თავის თანამოუბარს (ან თანამოუბრებს).

სიტყვიერი კომუნიკაციის დროს, საუბრის კულტურის განუყოფელ ნაწილს – მიმართვის ფორმებს – დიდი გავლენა აქვს ადამიანებზე, ქვეყნის ცხოვრებასა და ეთნიკურ ჯგუფებზე. მიმართვის ფორმები გრამატიკის წესების შესაბამისად გამოხატავს ემოციებს და კომუნიკაციას. მიმართვის ფორმები ქართულ ენაში და სხვა ენებშიც სიტყვების, ლექსების, გამოთქმების საშუალებით ზეპირი კომუნიკაციის დროს ობიექტსა ან პირს მიმართავს. გარდა ამისა, მიმართვები წინადადების დასაწყისში, შუაში და ბოლოს მოსაუბრის ყურადღების მოზიდვის მიზნითაც გამოიყენება. ქართულ ენაში მიმართვები, ინდივიდუალური სიტყვების და გამონათქვამების სათაურის ქვეშ განიმარტება და განსაკუთრებული ელემენტებით გამოიხატება.

ამ თვალსაზრისით, სიტყვათა თანმიმდევრობას და სიტყვათა გამოყენების ფორმას, მიმართვის გამოხატვაში დიდი მნიშვნელობა აქვს. სამეცნიერო ნაშრომებში არაადამიანური სახელების გამოყენებაც ნაჩვენებია. ქართულ ენაში არსებით სახელს შვიდი ბრუნვა აქვს და აქედან ერთ-ერთი წოდებითია. არსებითი სახელის სხვა ბრუნვებისგან განსხვავებით, წოდებითი არც სიტყვების და არც ზმნის სტრუქტურების დასაკავშირებლად იხმარება – ასეთი მოვალეობა არ გააჩნია, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავდება სხვა ბრუნვებისაგან. ზოგადად, ქართულ ენაში მიმართვების გამოხატვა შესაძლებელია გარკვეული წოდებითის დამატებებით და სიტყვებით.



ყოველდღიურ საუბრებში მიმართვის სახელური ფორმები ხშირად გამოიყენება. ქართულ ენაში მიმართვად გამოყენებული სახელები განსხვავებული და მრავალფეროვანია. ესენია: საზოგადო სახელები, საკუთარი სახელები სპეციალური სახელები, აბსტრაქტული სახელები, პროფესიული სახელები, სქესის გამომხატველი სახელები და სხვ. ამ ნაშრომში განხილული ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც სხვა ენებში, ასევე ქართულშიც მიმართვის ფორმად ყველაზე მეტად გამოიყენებულია სახელური ფორმები რაც მიმართვის ფორმების სისტემაში ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილის მქონეა. ნაშრომში ამ სახელებთან დაკავშირებით მოცემულია მრავალი მაგალითი და საჭირო განხილვებიცაა წარმოდგენილი.

## Burcu Meliha Keser

### Names Used as Addressing in Georgian

This study was carried out to investigate how the names used in the Georgian language are used and where they are used in the sentence. In the present research, various theories connected with this issue are discussed. In any language there are words and verbal collocations with which a speaker addresses someone in the process of verbal communication in order to name (nominate) a person (or thing). In linguistics such words and word combinations are called *address*.

The term “address” is a basic notion in the address theory. It implies by which language means the speaker addresses the collocutor (collocutors).

In verbal communication the address, which is an integral part of the culture of speech, has a great influence on the life of the country, as well as on the people and ethnic groups. The forms of speech represent emotion, expression and communication in accordance with the rules of grammar.

Forms of address can be used in the Georgian language and in other languages to refer to an object or a person during verbal communication by means of words, poems, and idioms. In addition, different forms of address are used at the beginning, in the middle and at the end of the sentence to attract a collocutor’s attention. In Georgian addresses are described under the title of individual words and expressions and can be expressed in a specific way. In this respect, the choice of a word or word sequence is of great importance in expressing an address.

It is seen that non-human names are frequently used as the address in artistic works. In the Georgian language, it is also called the crying state. In Georgian, the noun has seven cases and one of them is vocative. Contrary to the other cases of the noun, the vocative is used to join neither words nor verb structures. So it does not have such a task. Therefore, it can be said that it is different from the other cases. In general, it is possible to express addresses by adding a particular vocative and words. Nouns are commonly used in everyday conversation as forms of speech. The names used in the Georgian language are different and varied. They are as follows: common nouns, proper nouns, abstract nouns, nouns expressing professions or gender and others. As a result of the literature review conducted in this study, just as in almost all languages, in Georgian names are most popular forms for addressing someone and they occupy an important place in the system of forms of address. Various examples of such names are given in the study and necessary evaluations are also presented.

## თეა ქამუშაძე

### საბჭოთა მიგრაციული პოლიტიკის კვალი თანამედროვე ნარატივებში (ხევსურეთის მაგალითი)

საბჭოთა სისტემის კვალი საქართველოს თანამედროვე რეალობის ნაწილად იქცა. მოხსენებაში საუბარი იქნება საბჭოთა მიგრაციული პოლიტიკის შედეგად დაცლილ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და პოსტსაბჭოთა მიგრაციულ ნარატივებზე. მოხსენება წარმოადგენს მცდელობას, ხევსურთა 1951-52 წლებში ჩამოსახლების საბჭოთა მეგანარატივის უკან დაინახოს კონკრეტული შედეგები, რომლებიც კერძო ოჯახებისა და თემის განსახვავებულ, ტრაგიკულ ისტორიებს მოგვითხრობს; ასევე, ახსნას რეალური მიზეზები, რომელიც ჩამოსახლების აუცილებლობით იყო დასაბუთებული და რასაც კონკრეტული თემის გაქრობა, განადგურება მოჰყვა შესაბამის გარემოში.

რთული გეოგრაფიული გარემო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საბჭოთა რეპრეზენტაციული პოლიტიკისა და შესაბამისი ნარატივის აგების საფუძველი გახდა წარსულში და დღესაც საგულისხმო ადგილს იკავებს ხევსურულ ჩამოსახლების ნარატივებში.

საქართველოს ჩრდო-აღმოსავლეთით მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, ხევსურეთი, დღეისათვის მთლიანად დაცლილია და ხევსურული თემი აღარ არსებობს. დღეს საქართველო-რუსეთის (ჩეჩნეთის) სასაზღვრო ხევსურულ სოფელ მუცოში მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს. საქართველოს მთიელთა ბარში მიგრაცია ბუნებრივ და რეგულირებულ პროცესს წარმოადგენდა ისტორიულად. ხშირი იყო უკუმიგრაციაც. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთასა და ბარს შორის არსებული მიგრაციული პროცესები ქვეყნის გადარჩენისა და თვითშენახვის საუკეთესო გზა იყო გამანადგურებელი შემოსევების პირობებში. ამ პროცესში საბჭოთა სისტემის ჩარევამ კი გამოუსწოებელი შედეგები მოიტანა – მთიანი რეგიონების სრული დაცლა, რომელიც გამოირჩეოდა საბრძოლო სულისკვეთებით და საქართველოს ეთნოგრაფიულ „სამოთხეს“ წარმოადგენდა.

ქართული მხატვრული ფილმი „ისინი ჩამოვდნენ მთიდან“ 1954 წლიდან გამოჩნდა კინოეკრანებზე. ტოტალიტარული სისტემის პროპაგანდისტული მანქანა ქმნიდა საკუთარი პოლიტიკის რეპრეზენტაციულ მოდელებს და საზოგადოებას სხვადასხვა ნარატივების სახით სთავაზობდა. ფილმის ფაბულა ეფუძნება მთავარი გმირის წყურვილს, ეზიაროს განათლებას, გაიგოს მეტი. ახალგაზრდა ჯან-ლონით სავსე მოქალაქე საკუთარი ნებით ტოვებს საცხოვრებელს და ახალი ცხოვრებისათვის „ქალაქში“ მიდის. რკინის დამუშავებისადმი ინტერესი ტრადიციის გახსენებას უკავშირდება, რომელიც „მოძმე“ რუსი ხალხის წყალობით გახდა შესაძლებელი. გმირისათვის მძიმე ინდუსტრიაში ჩაბმა ისტორიული მისიის გამართლებას და ცივილიზებულ მომავალს დაუკავშირდა.

ამგვარად, საბჭოთა ოფიციალურ ნარატივში ხევსურთა მასიური ჩამოსახლება აისახა, როგორც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ხევსურთა საერთო ურბანიზაცია-ინდუსტრიალიზაციის პროცესში ჩართვის აუცილებლობა.

სინამდვილეში, ხევსურთა მასიური ჩამოსახლება ბარში პოლიციის ძალით მოხდა. ცნობილი მოქანდაკე გოგი ოჩიაური ამ ამბავს ასე იხსენებს: „ხევსურებისათვის არჩევანი არ მიუციათ, მათ ერთ ღამეში უნდა მოეგროვებინათ პირადი ნივთები“. იგი იხსენებს ბიძას, რო-

მელმაც ერთი დღით გადადო ჩამოსახლების პროცესი და ამის მიზეზი მისი სიკვდილი იყო. მან ხევსურეთთან გამოთხოვებისას იმდენი იცეკვა, სანამ გული არ გაუსკდა. ხევსურთა ჩამოსახლების ტრაგიკული ნარატივები მხოლოდ ინტელიგენციის ანტისაბჭოთა განწყობებში შეიძლება ამოვიკითხოთ ფრაგმენტულად.

სამწუხაროდ, დღეისათვის ხევსურთა ჩამოსახლების მიზეზებზე საუბარისას, საბჭოთა რეპრეზენტაციის კვალი მაინც ყველაზე აშკარაა და ფარავს კერძო ტრაგიკულ ისტორიებს, რომელიც ხევსურთა ბარში დისპერსიულად ჩამოსახლებას მოჰყვა.

## Tea Kamushadze

### Reflection of the Soviet Migration Politics in Contemporary Narratives (case of Khevsureti)

The trace of the Soviet system has become part of the modern reality of Georgia. This paper will discuss the contradictory nature of the emptied mountains of Eastern Georgian because of the Soviet migration policy and post-Soviet narratives. A difficult geographical environment and the improvement of living conditions became the basis for building the Soviet representational narrative in the past and still occupy an important place in the memories of Khevsureti people who moved out from the mountains in the past.

The present research is an attempt to identify specific results behind the Soviet Mega narrative of Khevsurians in 1951-52, as well as tragic stories of certain families and communities. It will also try to explain the real reasons that made it a necessity for Khevsurian people to move to the lowlands and settle there, which resulted in the disappearance of Khevsureti community in an authentic environment.

The historical-ethnographic part of northeast Georgia – Khevsureti is now completely empty and the Khevsurian community is no longer present. Today only one family lives in Khevsureti village Mutso at the border of Georgia-Russia (Chechnya). The migration of Georgia's highland people to the valley was a historically natural and regulated process. The reverse migration was also frequent. It can be said that migratory processes between the mountains and valleys of Georgia were the best ways to survive and save the country in the conditions of destructing invasions. However, the intervention of the Soviet system in this process brought about irreparable consequences to the mountainous regions, especially Khevsureti, which was distinguished by the fighting spirit and was considered to be the ethnographical "paradise" of Georgia.

The Georgian feature film: "Isini Chamovidnen Mtidan" (roughly translated: They Came down from the Mountains) appeared in cinemas in 1954. The propaganda machine of the totalitarian system created the representational models of its own policies and offered them to the public as different narratives. The story of the film is based on the main character's thirst for getting a better education. A young, high-spirited man leaves his own home for a new life in the "city". The interest in iron processing is associated with the reminiscent of the tradition, which can be attributed to the Russian "brothers". For the hero, being involved in the heavy industry became associated with fulfilling a historical mission and obtaining a civilized future.

In reality, the massive migration of Khevsureti people was fulfilled by the police force. The famous sculptor, Khevsurian Gogi Ochauri recalls this story: "Nobody has given the choice to Khevsurians, they

were told to leave personal belongings in one night”; Ochiauri recalled his uncle who delayed the overall process for a day due to his death from the heart attack caused by his farewell dance to Khevsurians.

Sadly, nowadays the tragic narrations of Khevsurians’ migration can only be seen in the fragments of the anti-Soviet intellectual works, which are crucial for understanding the whole picture.

## ანა ქირია

### ერთისა და სიმრავლის პროკლესეული გააზრებისათვის (Theol. Plat. II 1-ის მიხედვით)

პროკლეს ფილოსოფია სისტემატიზაციის უმაღლეს ხარისხს ავლენს. გავრცელებული კონსენსუსის თანახმად, ათენის ნეოპლატონური სკოლის ხელმძღვანელი თავის წინამორბედებს სისტემატიკაზიის ძალით აღემატებოდა. პროკლემ, რომელიც მთლად ორიგინალური მოაზროვნე არ ყოფილა, ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ყველაზე დამუშავებული და სრულად განვითარებული სისტემა ჩამოაყალიბა. პროკლეს ფილოსოფიური სისტემის მწვერვალი არის თვითერთი, პირველი და აბსოლუტური ერთობა, რომელიც ყველაფრის საწყისი და წყაროა. თვითერთი არა მარტო მთელი რეალობის ერთობის ფორმირებაში ასრულებს ფუნდამენტურ როლს, არამედ ფილოსოფიური ცოდნის საბოლოო და უნიკალური საფუძველი, საზომი და ამხსნელი პრინციპიცაა.

მოცემული მოხსენება იკვლევს „პლატონური თეოლოგიის“ მეორე წიგნის პირველ თავს, რომელიც აჩვენებს: I. როგორ იაზრებს პროკლე ერთსა და სიმრავლეს როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთად, ერთმანეთთან გაერთიანებაში; II. რა არის ლოგიკური საფუძველი წმინდა ერთის სიმრავლის არსებობის მიზეზად აღიარებისა. Theol. Plat. II 1-ში ერთი და სიმრავლე სამ მდგომარეობაშია წარმოდგენილი: 1. ერთმანეთისგან აბსოლუტურად, რადიკალურად განყენებულად; 2. ერთმანეთთან გაერთიანებაში; 3. ერთმანეთისგან განყენებულად, როგორც ანტითეტური პრინციპები. ერთისა და სიმრავლის ანტითეტური პრინციპები (3) ყოველი ცალკეული საგნის არსებობას ქმნის. მათი ერთმანეთთან შერევის შედეგად, არსებობის ბუნება ყალიბდება. არსებობა ერთისა და სიმრავლის საწინააღმდეგოთა ნარევი ან სინთეზია (2). თუმცა, მრავალი, რამდენადაც ის მრავალია, და ერთი, რამდენადაც ის ერთია, ერთმანეთისგან გამოყოფილი არიან. ისინი არ შეიძლება თავისით შეიყარონ ერთად. ამგვარად, აუცილებელია, დაშვებულ იქნეს მათი შერევის მიზეზი, რომელიც სიმრავლეს ერთთან დააკავშირებს, ერთს კი – სიმრავლესთან. ერთისა და სიმრავლის გაერთიანების მიზეზი უნდა იყოს ყველაზე მთავარი და პირველი ერთი. ეს არის თვითერთი, წმინდა ერთობა, რომელიც წინ უსწრებს როგორც ერთს, რომელიც ამავდროულად მრავალია (2), ასევე, სიმრავლესთან ოპოზიციაში მდგომ ერთს (3). წმინდა, აბსოლუტური ერთი ყველაფრის პირველსაწყისია, მაშინ, როდესაც წმინდა სიმრავლე არაფერია, გარდა აბსურდისა და პროკლეს მიერ უარიყოფა (1).

## Ana Kiria

### Concerning Proclean Understanding of the One and the Many (According to Theol. Plat. II 1)

Proclus' philosophy reveals the highest degree of systematization. According to the widespread consensus, the head of the Neoplatonic school of Athens surpassed his predecessors in his great powers of systematization. While not an entirely original thinker, Proclus set forth one of the most elaborate and fully developed systems of Neoplatonism. The summit of Proclean philosophical system is the One itself, first and absolute unity which is the principle and source of everything else. The One itself not only plays a fundamental role in the constitution of the unity of all reality but also is the ultimate and unique foundation, measure and explanatory principle of philosophical knowledge.

The given paper examines the first chapter of the second book of "Platonic Theology". This chapter shows I. how Proclus understands the One and the Many both separately and conjointly, i.e. in communion with each other; II. what the logical reason for accepting a pure One as the cause of being to the Many is. In Theol. Plat. II 1 the One and the Many are represented in three conditions: 1. as absolutely, radically separate from each other; 2. in communion with each other; 3. separately as two antithetical principles. The antithetical principles of the One and Many (3) make up the existence of every single thing. As a result of their being mingled in each other, the nature of Being is established. Being is the mixture or synthesis of the two polar opposites of One and Many (2). However, the Many so far as Many, and the One so far as One are separate from each other. They cannot bring themselves together. Thus, it is necessary that there should be a cause of their mixing which conjoins multitude to the One, and the One to multitude. The cause of their union must be most principal and primary One. It is the One itself, pure Unity, prior to the One that is at the same time Many (2) as well as the One opposed to the Many (3). The pure, absolute One is the principle of all, while a pure plurality is nothing but absurdity and is rejected by Proclus (1).

## ქეთევან ქუთათელაძე

### რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

1941 წელს სახელოვანმა მეცნიერმა სერგი ჯიქიამ გამოსცა მნიშვნელოვანი თურქული წყარო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ფასდაუდებელ მასალას შეიცავს ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული სამხრეთ საქართველოს (სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტანის, პალაკაციო, დღ. ბორჯომის ხეობა სოფ. ქვიშხეთამდე) (მტკვრის ხეობა) ტაო (ჭოროხის ხეობა) გეოგრაფიული და ისტორიული პუნქტების სახელწოდებების შესახებ. გეოგრაფიულ სახელთა ამოკითხვასთან დაკავშირებით, მთარგმნელ-გამომცემელ ს. ჯიქიას მრავალი წერილობითი და ზეპირი ინფორმაციის მოძიება მოუხდა, რისთვისაც ეს შრომა ორმაგად დასაფასებელია. ამ წყაროს განსაკუთრებულობა სამხრეთ საქართველოს ტოპონიმების შესწავლის მხრივ მდგომარეობს იმაში, რომ ხელუხლებელი შემოგვრჩა სიტყვაკაზმული

ქართული სახელწოდებები გეოგრაფიული თუ ისტორიული პუნქტებისა. ჩვენი მიზანია, შედარებით ანალიზი ჩავატაროთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ არსებულ ტოპონიმებსა და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში დაცულ ტოპონიმებს შორის – რომელი გაქრა, რომელი შემორჩა, რომელს შეეცვალა სახელი და ა.შ. ამჯერად წარმოვადგენთ რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმებს ზემოაღნიშნული წყაროს ფარგლებში.

რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმებში ძირითადად გვხვდება ქრისტიან წმინდანთა სახელები. კერძოდ, „მიქელწმინდა, ელიანწმინდა, მარიამწმინდა, ივლიტა, კვირიკე/კვირიკეწმინდა/საკვირიკე, გიორგიწმინდა, ანდრიანწმინდა, სტეფანწმინდა, მამანწმინდა. ასევე, ისეთი სახელწოდებები, როგორცაა „თევდორეთუბანი, ელიასუბანი, გორგეთუბანი, კიმოტისმანი“ (კიმოთესუბანი/ტიმოთესუბანი), ზდევანწმინდა.

აღნიშნული წყარო შეიცავს საეკლესიო ნაგებობათა, ნივთთა, სამონასტრო კომპლექსთა და ღვთისმსახურთა სახელწოდებებს, როგორცაა: „ტაძარი, ტაძრისი, მონასტერი, ყველის მონასტერი, ვანის ქვაბი, უდაბნო, საზარე, ეკლესიისკარი, ნახუცარათუბანი“. მნიშვნელოვანია ისეთი სახელები, როგორცაა „კამარონი, ეშმაკთუბანი, ქაშვეთი, გომი, ძველგომი, მახარო, შვიდ ეკლესია, ორმოცი“ (ორმოცმონამეთა?), რომელთაგან ზოგიერთ მათგანში შეიძლება შემორჩენილი იყოს წინარექრისტიანული მენტალობის შემცველი შტრიხები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯვრის სემანტიკის ტოპონიმები, რომლებიც მრავლად არის შემორჩენილი ხსენებულ წყაროში, კერძოდ, როგორცაა: ქვაბიჯვარი, გორჯვარი, გორაჯვარი, კარჯვარი, წყუთაჯვარი, ხიდჯვარი. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციას, რომლის მიხედვით, „ჯვარი“ და „ხატი“ სალოცავ წმინდა ადგილს ნიშნავს და იგი ღვთაების საკრალური სივრცეა, არ არის გამორიცხული, რომ აქაც მსგავს შემთხვევასთან გვქონდეს საქმე.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ახალციხის რნ-ში აღმოჩნდა ტოპონიმი „ბეთლემი“, რომელიც, როგორც მაცხოვრის დაბადების ადგილის სახელწოდება, ასევე უტყუარი საბუთია ქრისტიანობის მტკიცე ფესვების არსებობისა საქართველოს ამ უძველეს რეგიონში.

## Ketevan Kutateladze

### Toponymy of Religious Sense According to the “Big Register of Gurjistan Vilayet”

In 1941 the famous scientist Sergi Jikia published a very important Turkish source “The Big Register of Gurjistan Vilayet”, which contains invaluable material about the names of geographical and historical settlements of Southern Georgia, which was under the Ottoman Empire (Samtskhe-Javakheti, Colakartani, Palakatsio, today's Borjomi ravine up to Kvishkheti village (Mtkvari (Kura) ravine), Tao (Chorokhi ravine). As with the reading of geographical names, the translator-publisher S. Jikia had to search a lot of written and verbal information, and because of it this work is doubly valuable. The exclusiveness of this source, while studying the toponymy of Southern Georgia, is that there are preserved wonderful Georgian names of geographical and historical settlements. Our aim is to carry out a comparative analysis of the toponymy existing in “The Big Register of Gurjistan Vilayet” and the toponymy in the text of “Kartlis Tskhovreba”, which ones disappeared, which are preserved, which names are changed and so on. This



time, we are offering the toponyms with religious meaning kept within the bounds of the source mentioned above.

In the toponyms having religious meaning we mainly come across the names of Christian saints, namely: “Mikeltsminda” (St. Michael), “Eliatsminda” (St. Elias), “Mariamtsminda” (St. Mary), “Ivlita” (St. Ivli), “Kvirike/Kviriketsminda/Sakvirike” (St. Kvirike), “Giorgitsminda” (St. George), “Andriatsminda” (St. Andrew), “Stepantsminda” (St. Stephen), “Mamatsminda” (St. Mamas); also such names as “Tevdoretubani” (Theodore’s district), “Eliasubani” (Eli’s district), “Gorgetubani” (George’s district), “Kimotismani – Kimotisubani/Timotisubani” (Thimothy’s district), “Zdevantsminda”.

The mentioned source contains the names of church buildings, things, monastery complexes and clergy, such as: “Tadzari/Tadzrisi” (Temple), “Monasteri” (Monastery), “Udabno” (Monastery), “Sazare” (Place for the Bell), “Ekleziskari” (Church Door), “Nakhutsartubani” (District of former Priests’). Important are such names as “Kamaroani”, “Eshmaktubani”, “Kashveti”, “Gomi”, “Dzvelgomi”, “Makharo”, “Shvideklesia”, “Ormotsi”, in some of which may still possess the features containing pre-Christian mentality.

The toponyms of cross segments, a large number of which can be found in the mentioned source, are worthy of special attention, particularly: “Qvabijvari” (Stone cross), “Gorjvari/Gorajvari” (Hill cross), “Khidjvari” (Bridge cross) and others. If we take into consideration the mountain traditions of East Georgia, according to which “Cross” and “Khati” mean saint places for prayer and is sacral space of a deity, it cannot be excluded that here we are dealing with a similar case. In “The Big Register of Gurjistan Vilayet” in Akhaltsikhe district is mentioned the toponym “Bethlem” which, as the name of our Saviour’s birthplace, is the undoubted evidence of the existence of firm roots of Christianity in this ancient region of Georgia.

## რამაზ ქურდაძე, მაია ლომია

### უარყოფის გამოხატვის სტილურ-სემანტიკური ვარიაციები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

მოხსენება მომზადებულია სამეცნიერო პროექტის – „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ (#FR17-388) – ფარგლებში. დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

ცნობილია, რომ უარყოფის გამოხატველი „არა/არ“ ნაწილაკების პოზიცია დასტურდება ზმნისა (I. NegV) და სახელის წინ (II. NegN/PTCP). ამ ორ მოდელს შორის პირველი ძირითადია. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ უარყოფა გადმოიცემა და წინადადების რომელიმე წევრის აქტუალიზება არ ხდება. ასეთ შემთხვევას უარყოფის გამოხატვის თვალსაზრით ნეიტრალურს ვუნოდებთ. სახელურ ლექსებში კი არა-არ ნაწილაკები არა მხოლოდ უარყოფას გამოხატვენ, არამედ წინადადების რომელიმე წევრის უარყოფას გახაზავენ. ფაქტობრივად, ამ წევრის უარყოფის აქტუალიზებას ახდენენ.

აღნიშნულის დამადასტურებელ მაგალითებს რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით წარმოვადგენთ.

პოემაში ზემონახსენები ორივე მოდელი გვხვდება:

(I. NegV)

(1) მოშაირე არა (Neg) ჰქვიან (V), ვერას იტყვის ვინცა გრძელად (1974:11, #17,4. პროლოგი).



## II. Neg N/PTCP

(2) მაგრამ მეტი უარეა **არა (Neg)-თქმა (N)** და ჭირთა მალვა (1974:132, #418,2).

სტილურ-სემანტიკური ვარიაციების შესაქმნელად ავტორი სხვადასხვა ხერხს მიმართავს; კერძოდ, ქმნის უარყოფითნაწილაკიან სახელურ ლექსემას არა ანტონიმური სახელის შექმნის წესით (Neg + N/PTCP), არამედ სიტყვათა პოზიციის შეცვლით:

(3) ეთქვა თუ: ჟამად **გვაჩნია (V)** ჩვენ თქვენი **არ (Neg)-ორგულობა (N)** (1974:139, #448, 3).

სწორედ ამ მაგალითში ხდება სიტყვა „ორგულობის“ აქტუალიზება უარყოფით კონტექსტში. ეს კარგად გამოჩნდება, თუ მოყვანილი მაგალითის გადაკეთებულ, არააქტუალიზებულ ანუ ნეიტრალურ ვარიანტს წარმოვადგენთ:

(4) ჩვენ გადაწყვეტილი **არ (Neg) გვაქვს (V)** თქვენი **ორგულობა (N)**

მოხსენებაში ამ კუთხით განხილულია „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ენობრივი მოდელები, როგორც პოემის მრავალფეროვანი კონტექსტის ერთ-ერთი თავისებური მხატვრული მახასიათებლები.

## Ramaz Kurdadze, Maia Lomia

### The Stylistic-Semantic Variants of Expressing Negation in Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin"

*The paper was prepared within the scientific project "The Category of Negation in the Kartvelian Languages" (#FR17\_388), implemented with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation.*

It is well known that the negative particles **ara-/ar-** "no/not" are placed before the verb (I. NegV) and the noun (II. NegN/PTCP). Out of these two patterns, the former is the most frequent. In this case, as a rule, only negation is expressed and no concrete member of the sentence is actualized. Such cases are termed as neutral from the viewpoint of expressing negation. However, in the nominal lexemes, particles **ara-/ar-** "no/not" express not only negation as such, but the negation of a certain part of the sentence. In fact, the particles actualize the negation of a concrete member of a sentence.

In the given paper, the mentioned fact is proved using the examples from Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin".

Both of the above-mentioned patterns are found in the poem:

(I. NegV)

(1) mošaire **ara** (Neg) **hkvian (V)**, veras it̃vis vinca grzelad (1974:11, #17, 4. Prologue)

"He, who is unable to speak eloquently, should not be called a poet".

II. Neg N/PTCP

(2) magram meṭad uarea **ara(Neg)-tkma (N)** da ṭirta malva (1974:132, #418, 2)

"It is even worse not to speak and conceal the sorrows".

The author addresses various means in order to create stylistic-semantic variants; namely, he does not form nominal lexemes with negative particles by means of creating an antonymous noun (Neg + N/PTCP). Instead, the author changes the position of words:

(3) etkva tu: žamad **gvačnia (V)** čven tkveni **ar (Neg)-orguloba (N)**(1974:139, #448,3)

"He said: we have decided not to betray you".

In this very example, the word "treacherous" is actualized in the negative context. This will become obvious if we present a revised, non-actualized, i.e. neutral variant of the given example:

(4) čven gadaṭveṭili **ar (Neg) gvakvs (V)** tkveni **orguloba (N)**

“He said: we do not intend to betray you”.

In this regard, the paper analyzes the language patterns found in “The Knight in the Panther’s Skin”. These patterns represent a peculiar artistic feature of the versatile context of the poem.

## ნინო შარაშენიძე

### მოდალობისა და უარყოფის კატეგორიათა გადაკვეთა ქართულში – ნაწილაკი ვერ

უარყოფისა და მოდალობის კატეგორიები უნივერსალურ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და ყველა ენას ახასიათებს. ქართულ ენაში უარყოფის სისტემა სამწევრია და, ნეიტრალური უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთან ერთად (**არ**), ენაში არის შესაძლებლობის უარყოფისა (**ვერ**) და თხოვნა-აკრძალვის გამომხატველი (**ნუ**) ფორმები, რომელთა გამოყენება კილოს მიხედვით ნაწილდება: **არ** სამივე კილოს ფორმასთან გამოიყენება, **ვერ** – თხოვითი და კავშირებითი კილოს ფორმებთან, ხოლო **ნუ** – ბრძანებითი კილოს ფორმებთან. ქართული ენის **ვერ** ნაწილაკი წარმოადგენს უარყოფისა და მოდალობის სემანტიკის ერთ ფორმაში ასახვის ნიმუშს. მოდალობის სემანტიკის გამომხატვა ძველსა და ახალ ქართულში განსხვავებული იყო: გრამატიკალიზაციის მოვლენის შედეგად ჩამოყალიბდა მოდალურ ფორმათა ახალი სისტემა. თუმცა **ვერ** ნაწილაკი უარყოფისა და დინამიკური მოდალობის გამომხატვის უძველესი ნიმუშია და იგი ენაში უცვლელად ასრულებს თავის ფუნქციას. **ვერ** ნაწილაკის გამოყენებით იწარმოება ქართულში უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომლებსაც ასევე აქვთ შესაძლებლობის უარყოფის მოდალური სემანტიკა. **ვერ** ნაწილაკის გამოყენების არეალი განსაზღვრულია. იგი არ გამოიყენება გრძობა-აღქმის, მყოფობა-მქონებლობის და სტატიკურ ზმნებთან. **ვერ** ნაწილაკი ყოველთვის წინ უძღვის ზმნას. ქართულს ახასიათებს ორმაგი მრავლობითის გამომხატვა. **ვერ** ნაწილაკით გამომხატულ მრავლობითობას აძლიერებს ზღვრული უარყოფის „ლა“ და დამატებითობის „ც“ ნაწილაკით გართულებული ფორმები. ორმაგი უარყოფა ქართულში მოიცავს როგორც სახელურ, ასევე ზმნურ უარყოფას, ხოლო შესაძლებლობის უარყოფის სემანტიკას აფართოებს **ვერ** ნაწილაკით წარმოებულ უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები. **ვერ-ნაწილაკიანი** კონტექსტების გაანალიზებისას გამოვლინდა ორმაგი მოდალობის შემცველი ფრაზები. ორმაგი მოდალობის გამომხატვისას პირველი მოდალური ფორმის გავრცელების არეალი (**scope**) უფრო ფართოა, ხოლო მომდევნო მოდალური ფორმისა – უფრო მცირე.

## Nino Sharashenidze

### The Interaction of Modality and Negation in the Georgian Language

Negation and modality are universal phenomena that are common to all languages. Georgian has a three-member system of negation: the particle *ar* for expressing neutral negation, the particle *ver* for

expressing possibility and the particle *nu* for expressing request/prohibition. *ar* is used with all forms of mood, *ver* – with the indicative and subjunctive mood, *nu* – with the imperative mood. The particle *ver* represents a form with the semantics of both negation and modality.

The expression of modality differs in Old and Modern Georgian languages: after grammaticalization a new modal system has been formed, though the particle *ver* is the oldest form of expressing negation and dynamic modality in Georgian. The particle has retained this function in the language. The particle *ver* forms negative pronouns and adverbs that also have the modal semantics of negation of possibility. The scope of use of the particle *ver* is limited. It is not used with the verbs of perception, existential and static verbs. The particle *ver* always precedes a verb. The Georgian language is characterized by the expression of double plural. The plural expressed by the particle *ver* is intensified with the complicated forms – particles “*ḡa*” (limited negation) and “*c*” (complementary function). Double negation in Georgian comprises both nominal and verbal negation. As for the semantics of negation of possibility, it is extended with the complicated forms of negative pronouns and adverbs derived from the particle *ver*. The Analysis of the contexts with the particle *ver* has revealed phrases with double modality, where the scope of the first modal is wider than the scope of the next modal.

## თვა შურღაია

### პერსონაჟი, ავტორი და ეგზისტენციალური არჩევანი - გოლი თარაყის ნაწარმოებების ერთი ინტერპრეტაცია

თანამედროვე ირანელი მწერლის, გოლი თარაყის შემოქმედების ძირითად თემებს (ემიგრაცია, ნოსტალგია, ბავშვობის მოგონებები და სხვ.) საფუძვლად ერთი პრობლემა - არჩევანი, არჩევანის თავისუფლება - უდევს. ეს საკითხი მის პროზაში სხვადასხვა ფორმით მუდმივად მეორდება. გ. თარაყის პერსონაჟები დგანან დილემის წინაშე - ორ სამყაროს, ორ კულტურას, შინაგან „მე“-სა და პერსონას შორის არჩევანის გაკეთება უხდებათ. მწერლის ადრეული ნაწარმოებების გმირების ხანმოკლე, ფუჭ პიროვნულ ამბოხს თანდათან ცვლის პერსონაჟთა უფრო გაბედული არჩევანი, რომელმაც რადიკალურად უნდა შეცვალოს მათი ცხოვრების წესი. გ. თარაყის შემოქმედების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა დილემას, საბოლოო ჯამში, მისი გმირების შინაგან „მე“-სა და პერსონას შორის არსებული კონფლიქტი და ერთ-ერთის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების გარდაუვალობა წარმოშობს.

მოხსენებაში განხილულია გოლი თარაყის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორი პერსონაჟთა ეგზისტენციალური არჩევანის პრობლემის გადაჭრის საინტერესო ხერხებს მიმართავს. მწერლის სხვადასხვა დროის თხზულებების ანალიზი შესაძლებელს ხდის ავტორისეული პოზიციის ევოლუციისთვის თვალის გადავინახებას. ბატონი ჰეიდარი, გ. თარაყის ადრეული პერსონაჟი („მეც ჩე გევარა ვარ“, 1969), შეეცდება, თავისი შინაგანი „მეს“ სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი და შეცვალოს ცხოვრების წესი. მისი ამბოხი მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდება და იგი მარცხდება. ამირალი („სადმე სხვაგან“, 2000), რომელსაც შინაგანი „მე“ აუჯანყდება, იძულებულია, შეცვალოს ცხოვრების წესი, სხვა გზა აირჩიოს. ნილაბი (პერსონა) ქრება და გაორებულ არსებობას წერტილი ესმება, თუმცა მკითხველისთვის (და, როგორც ჩანს, ავტორისთვისაც) უცნობი რჩება, რა ელის ამირალის ინდივიდუალის შემდეგ.

მწერალი ბოლო დროის ნაწარმოებებში ტრადიციული დილემის გადასაჭრელად ტყუპის არქეტის იშველიებს და ერთი მთლიანობის რეალიზაციის ორ შესაძლო ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

გოლი თარაგი, მისივე აღიარებით, ორ სამყაროში ცხოვრობს და გაორებული არსებობამ მის ლიტერატურულ წარმოსახვასაც დალი დაამჩნია. მწერლის ბოლო რომანი „დაბრუნება“ ადასტურებს, რომ ორ სამყაროს, ორგვარ არსებობას შორის არჩევანი მისთვის და მისი პერსონაჟებისთვის კვლავაც მწვავედ დგას.

## Tea Shurgaia

### Protagonist, Author and Existential Choice – an Interpretation of Goli Taraghi’s Works

The main topics (emigration, nostalgia, childhood memories, etc.) of fiction of the modern Iranian writer Goli Taraghi are based on one problem – choice, freedom of choice. The question repeatedly arises in her short stories and novels. Goli Taraghi’s characters face the dilemma of choosing between two worlds, two cultures, inner self and persona. Short-run, fruitless individual rebellion of the protagonists of her early writings gradually alters to the protagonists’ more courageous choice which must completely change their lifestyle. The analysis of Taraghi’s fiction shows that all dilemmas are caused by the conflict existing between protagonist’s inner self and persona, by the inevitability to make a choice in favour of one of the two.

The paper considers the works of Taraghi where the author tries to solve the problems of protagonists’ existential choice in an original manner. The evolution of the author’s viewpoint and approach to the issue can be traced in her works of different periods: Mr. Heydari (“I am Che Guevara too”, 1969) has an attempt to change his life and to make a choice in favour of his inner self. But his rebellion turned out to be very short, he failed. Amirali (“In Another Place”, 2000), whose repressed individuality revolts, has to change his lifestyle and to emerge from his mask (persona). The mask disappears and puts an end to the double existence of the protagonist, though it remains unknown for the reader (and for the author too) what the future holds for Amirali after individuation. To solve the traditional dilemma, in her recent writings Goli Taraghi refers to the archetype of twins and offers readers two possible versions for the realization of the single whole. According to Taraghi, she “lives between two worlds and this dual existence has marked her literary imagination”. Taraghi’s last novel (“Return”) proves that the problem of choice is still an acute issue for the author and the protagonists of her fiction.

## ნინო ჩიქოვანი

### დავინყების სტრატეგიები ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესში თანამედროვე საქართველოში

ნაშრომში განხილულია წარსულისაგან დისტანცირებისა და დავინყების სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენებოდა ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესში საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ამ პერიოდში მიმდინარე გარდამ-

ტეხი ცვლილებები და დამოუკიდებელი მომავლის პერსპექტივა „ახალ წარსულს“ მოითხოვდა. მისი კონსტრუირების პირველ ეტაპზე, რომელიც 1980-იანი წლების დასასრულს დაიწყო და დაახლოებით ათ წელს გაგრძელდა, წარსულის ხელახალი გააზრებისა და საბჭოთა გამოცდილების დაძლევის პროცესში, ძირითადად, გამოიყენებოდა აქტიური დავიწყების ფორმა, ხშირად – წარსულთან ანგარიშსწორების ფორმით. მომდევნო საფეხურზე ქვეყნის წინაშე მდგარმა მძიმე პრობლემებმა (სამოქალაქო ომი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, ეკონომიკური კოლაფსი და სხვ.) უკანა პლანზე გადასწია ახალი მეხსიერების ფორმირების ამოცანა. შემდეგ კი, 2000-იანი წლების დასაწყისიდან, მეხსიერების პოლიტიკაში აქცენტმა პასიურ დავიწყებასა და ახალი მეხსიერების ადგილების შექმნაზე გადაინაცვლა.

## Nino Chikovani

### Strategies of Forgetting in the Process of Formation of the New Memory in Modern Georgia

The paper deals with the strategies of distancing from the past and those of forgetting which were widely used in Georgia in the last years of the USSR and the first years of independence. Dramatic changes in the life of the country and the perspective of the independent future required the “new past”. On the first stage of its construction, which started from the end of the 1980s and lasted approximately a decade, active forgetting quite often expressed in the form of revenge on the past was the main strategy of dealing with the Soviet past. On the next stage, the grave challenges faced by the country (civil war, ethno-political conflicts, economic collapse, etc.) moved the goal of the formation of the “new past” to the backstage. From the beginning of the 2000s, the above-mentioned form was not abandoned. However, the accent in the politics of memory was shifted to the passive forgetting and the construction of new realms of memory

## ნინო წერეთელი

### რიჩარდ შელდონი-მთარგმნელი

ამერიკელი მეცნიერი და მთარგმნელი, პროფესორი რიჩარდ შელდონი (1932-2014) დარმუტის კოლეჯის სლავური დეპარტამენტის უცვლელი ხელძღვანელი იყო. მის თარგმნილ მემკვიდრეობაში ყველაზე დიდი ადგილი ვიქტორ შკლოვსკის ეთმობა. მან თარგმნა: „სენტიმენტალური მოგზაურობა“ (1970) Zoo, ანუ წერილები არა სიყვარულზე (1971), „მესამე ფაბრიკა“, „ცხენის სვლა“ (2005). მოხსენებაში განხილულია ვიქტორ შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობის“ ინგლისური თარგმანის ისტორია და საზგასმულია, რომ ემიგრაციაში დაწერილი აღნიშნული წიგნი პირველად საქართველოში ითარგმნა. მოხსენებაში ასევე განხილულია რიჩარდ შელდონის წერილი, რომელიც გამოგზავნილია საქართველოში და სწორედ ვიქტორ შკლოვსკის აღნიშნული წიგნის თარგმანს ეხება.

## Nino Tsereteli

### Richard Sheldon - Translator

Richard Sheldon, Professor of Dartmouth College, translated Viktor Shklovsky's books | notably "A Sentimental Journey" (1970), "Zoo, or Letters Not about Love" (1971), "Third Factory" (1977), and "Knight's Move" (2005). "A Sentimental Journey", which Viktor Shklovsky published in 1923 while living as an exile in Berlin, was translated and published in Georgia in 1926. In the abstract is discussed the history of the English translation of "A Sentimental Journey".

## თინათინ წიკლაური

### „შაჰნამეს“ ლიტერატურული ადაპტაციები XX-XXI საუკუნეებში

თანამედროვე მსოფლიოში და, მათ შორის ირანში, კლასიკური ლიტერატურული ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით, სულ უფრო აქტუალური ხდება მათი ლიტერატურული გადამუშავება და ადაპტაცია. ეს პროცესი გულისხმობს ნაწარმოების ხელახლა გადანერას, თანამედროვე მკითხველისთვის გასაგებ ენაზე მიწოდებას. ლიტერატურულ ადაპტაციას ირანში XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ევროპული კულტურის შემოღების პარალელურად, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ძველი, კლასიკური პერიოდის ადგილობრივი ძეგლებისა და ზეპირსიტყვიერების კვლევას. ძველი ლიტერატურის აღორძინების საშუალებით, ირანული საზოგადოება ეროვნული იდენტობის ფორმირებას ცდილობდა. განსაკუთრებული ყურადღება, ამ მხრივ, კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებების საბავშვო ადაპტაციებს ენიჭებოდა.

ირანში კლასიკური პერიოდის ადაპტირებული ლიტერატურის ძეგლებიდან განსაკუთრებით პოპულარულია „შაჰნამეს“, „ქილილა და დამანას“, „ლეილისა და მაჯნუნის“, „იუსეფისა და ზოლეიხას“ გადამუშავებული ვერსიები.

მოხსენებაში განხილულია ფირდოუსის „შაჰნამეს“ ადაპტაციები, რომლებიც თანამედროვე ირანელ ავტორებს ეკუთვნით. ამასთან, დაზუსტებულია ადაპტაციის აღმნიშვნელი ტერმინები სპარსულში: ირანში სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრებულია ორი ტერმინი: *bāz-nevisi* („გადანერა“/rewriting) და *bāz-āfarini* („ხელახლა შექმნა“/recreation).

„შაჰნამეს“ ადაპტაციების აქტიური გადამუშავება და მათი ადაპტაციების სახით გამოცემა ირანში XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დაიწყო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საგმირო ეპიზოდების გადამუშავებას.

ბავშვებისთვის განკუთვნილი ადაპტაციები გამოირჩევა ილუსტრაციების სიუხვით და თხრობის სისადავით. თუკი ადაპტაციის სამიზნე აუდიტორია ბავშვებია, ტექსტის დანიშნულებაა, ზღაპრად გარდაქმნილი ამბის საშუალებით, ბავშვებში საგმირო სულის გაღვიძება და მცირე ასაკიდან მათი ზიარება ფირდოუსის ეპოსთან. ამდენად, ძირითადი აქცენტი გადატანილია მითოლოგიურ და საგმირო ეპიზოდებზე. თუმცა არც რომანული ეპიზოდები რჩებათ ყურადღების მიღმა – საგმირო-საფალავნო სულისკვეთებით გამსჭვალული გმირები რომანტიკულ მიჯნურებადაც გვევლინებიან.



მოზრდილებისთვის განკუთვნილი ადაპტაციების მიზანია, დედანთან მიახლოების გზით, მკითხველში „შაჰნამეს“ მიმართ ინტერესის გაღვივება.

„შაჰნამეს“ ლიტერატურული ადაპტაციები მრავალგვარია. მათი ხარისხი დამოკიდებულია ავტორის სამწერლობო ნიჭზე, მიზანზე, სამიზნე ჯგუფზე. ამდენად, ერთი და იგივე ეპიზოდი, თუმცა ერთ ფაბულას, მაგრამ თხრობის განსხვავებულ სტილს, ენობრივ კონსტრუქციებს შეიცავს.

„შაჰნამეს“ ერთ-ერთ გამორჩეულ ადაპტაციად უნდა მივიჩნიოთ 2013 წელს ბავშვებისა და მოზარდების განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული „შაჰნამეს“ ადაპტირებული დასთანების ასი ტომი, რომელიც სხვადასხვა ასაკის მკითხველზეა გათვლილი.

## Tinatin Tsiklauri

### Literary Adaptations of “Shahnameh” in XX-XXI Centuries

In the modern world, and among them in Iran, with the aim to popularize the works of classical literature monuments, their literary modification and adaptation is becoming more and more actual. This process implies rewriting the work and offering it to the reader in a clear, comprehensible language. Literary adaptation was established in Iran in XIX century. In parallel with the penetration of the European culture, great importance was given to the research of the local monuments and folk literature of the old, classical period. By restoring old literature the Iranian society was trying to shape national identity. In this respect, special attention was paid to adapting classic writers' works for children.

The paper deals with the adaptations of “Shahnameh” by Ferdowsi which belong to modern Iranian authors. In addition, the terms expressing adaptation in Persian are specified: two terms are established in scientific circles in Iran: *bāz-nevisi* (“rewriting”) and *bāz-āfarini* (“re-creation”).

Active modification of the adaptations of “Shahnameh” and their publication in the form of adaptations began in Iran from the 20s-30s of the 20th century. Particular attention was paid to the processing of heroic episodes. Adaptations for children are distinguished by the abundance of illustrations and simplicity of the narrative. If the target auditorium of the adaptation are children, the purpose of the text is to awaken a heroic soul in kids and acquaint them with Ferdowsi's epos from an early age, by means of the story transformed into a fairy tale. The aim of adaptations for adults is awakening their interests towards “Shahnameh” by approximating the narrative to the original text.

There are many versions of literary adaptations of “Shahnameh”. Their quality depends on the author's literary talent, aim, target group. So, although the same episode contains one storyline, it has a different style of narration and different language constructions. One of the most distinguished adaptations of “Shahnameh” should be considered the version published by the Children and Adolescent Development Center in 2013, one hundred volumes of adapted small lyrics, which is intended for readers of different ages.

## მამუკა წურნუშია

### ომი და ეკლესია შუა საუკუნეების საქართველოში

ბიზანტიის ეკლესიასთან ახლო ურთიერთობის მიუხედავად, რაც საერთო მართლმადიდებლურ მრწამსსა და ბერძნულიდან გადმოღებულ საეკლესიო წეს-კანონებში გამოიხატებო-



და, ქართული ეკლესიის დამოკიდებულება ომის მიმართ განსხვავდება ბიზანტიისაგან და საერთოს ავლენს დასავლეთ ევროპასთან. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ ეპისკოპოსებს, როგორც მეფის ვასალებს, ლაშქრის გამოყვანა ევალებოდათ. ის სხვა გარემოებასაც ასახელებს: საქართველოს დასუსტებამ და მუსლიმთა მოძალებამ აიძულა სამღვდელთა, იარაღი აედო ხელში რჯულის დასაცავად და პირადი მაგალითით გაემხნეებინა ერი. <br /> ქართული ეკლესია დიდი ქონებისა და ყმა-მამულის პატრონი იყო. ასეთი სიმდიდრის მფლობელ ინსტიტუტს ფეოდალური სისტემა სამხედრო ორგანიზაციის გარეთ ვერ დატოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესია მრავალი შეღავათითა და საგადასახადო, ზოგჯერ კი სასამართლო შეუვალობითაც სარგებლობდა, მას არ ჰქონდა ლაშქარ-ნადირობის შეუვალობა.

ქართული სასულიერო პირების ზედა ემელონი, ისევე როგორც ევროპაში, საზოგადოების არისტოკრატიული ფენიდან წარმოდგებოდა და სამხედრო საქმეს ახლოს იცნობდა. მათთვის უცხო არც საომარი კამპანიების წარმართვა იყო და არც უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

ქართული კანონმდებლობა აღიარებდა იმ აკრძალვებს, რომლებიც ქრისტიანული აღმოსავლეთის კანონებშია მოცემული. ქართულად თარგმნილი მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებები და ბერძნული სჯულის კანონი მოქმედ კანონმდებლობას წარმოადგენდა საქართველოშიც. მიუხედავად ამისა, არსებულმა რეალობამ სამართლის ამ ნორმების შერბილება გამოიწვია.

ქართული სამართლის წიგნებში მეტ-ნაკლებად ასახულია ის რეალობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფეოდალურ ქვეყანაში სასულიერო პირთა მიერ იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. ქრისტიანულ კანონიკასთან კონფლიქტი სამხედრო საქმეების სასარგებლოდ გადაწყდა და ეს კანონმდებლობაშიც კი აისახა. <br /> საუკუნეების განმავლობაში ქართული ეკლესია ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ნაწილს წარმოადგენდა და ვასალურ მოვალეობას ასრულებდა მონარქის წინაშე, ქართველი სასულიერო პირები კი ჯვრითა და მახვილით ემსახურებოდნენ ქვეყანას.

## Mamuka Tsurtsunia

### War and Church in Medieval Georgia

Despite a close relationship with the Byzantine Church, reflected in shared Orthodox beliefs and canon laws translated from Greek, the attitude of the Georgian Church to the warfare differs from that of Byzantium and is closer to the Western practise.

Vakhushti Batonishvili pointed out that Bishops, being the King's vassals, were responsible for providing the military units. Vakhushti added another factor to the above-said: the weakening of Georgia in the period and Muslim coercion forced the clergy to take up arms in order to defend the Christian faith and encourage the parish with the personal example.

The Georgian Church was the owner of great property, lands and estates. Obviously, the institution of such wealth could not have been left beyond the system of the military organization. Despite the fact that the Georgian Church enjoyed many advantages and was exempt from taxes and also, was immune to the court trial in certain cases, it had to take part in military campaigns.

The upper circles of Georgian Church dignitaries, likewise in Europe, developed from the aristocratic layer of society and had a close relationship with the military activities. They were accustomed to both conducting military campaigns and taking part in the combat.

The Georgian legislation recognized the prohibitions practised by the legal systems of the Christian East. Despite this, the existing reality led to the relaxation of these norms.

Medieval Georgian law books reflect the reality of the feudal country concerning the use of weapons by the clergy. The conflict with the Christian canons was decided in favor of military necessity, and it was reflected in the legislation in a certain form.

For centuries the Georgian Church was part of the feudal military system, performing vassal obligations for the monarchy whilst Georgian clergy served the country with the cross and the sword.

## ალექსანდრე ჭულუხაძე

### პროფ. ალექსანდრე გვახარია - აღმოსავლურ ნასესხობათა მკვლევარი

პროფ. ალექსანდრე გვახარიას მრავალმხრივ სამეცნიერო მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ენასა და ლიტერატურაში დამკვიდრებულ აღმოსავლურ ნასესხობათა, კერძოდ, სპარსული და არაბული ლექსიკური ელემენტების ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ კვლევებს. პროფ. ალექსანდრე გვახარიამ საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ლიტერატურის

ორიგინალური თუ ნათარგმნი მრავალი ძეგლის ლექსიკა, გამოავლინა აღმოსავლური ნასესხობანი, დაადგინა ეტიმოლოგია და ზოგიერთ შემთხვევებში მათი ბუნდოვანი სემანტიკური მნიშვნელობები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ალექსანდრე გვახარიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლურ ნასესხობათა ეტიმოლოგიისა და სემანტიკის მრავალწლიანი კვლევა, რისი შედეგებიც სხვადასხვა მონოგრაფიასა და მრავალრიცხოვან სტატიებშია გაფანტული. მან დაადგინა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ბუნდოვანი სიტყვის აღმოსავლური წარმომავლობა, ეტიმოლოგია და მნიშვნელობები, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რუსთაველის უკვდავი პოემის შესწავლისა და სწორი ინტერპრეტაციის საქმეში.

## Alexandre Chulukhadze

### Prof. Alexandre Gvakharia - Researcher of Oriental Loanwords

Etymological and semantic studies of oriental loanwords, in particular Persian and Arabic lexical elements in the Georgian language and literature, occupy the most important place in Prof. Alexandre Gvakharia's multilateral scientific heritage. Prof. Alexandre Gvakharia thoroughly studied the vocabulary of many original or translated monuments of Georgian literature, as well as their oriental loanwords, etymology and in some cases explained their vague semantic values.

Special mention must be made of Prof. Alexandre Gvakharia's many years' research of etymology and semantics of the oriental loanwords in the epic of "The Knight in the Panther's Skin" by Shota Rustaveli, which are scattered in his various monographs and numerous articles. He established the oriental origin, etymology and semantics of some vague words of "The Knight in the Panther's Skin", thus making an invaluable contribution to the study and correct interpretation of the immortal epic of Rustaveli.

## ანა ხვედელიანი

### განათლების პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის ფორმირება პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები განათლების სისტემაში. მთავრობამ განათლების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა გაეროვნების პოლიტიკა, რაც გამოიხატა ქვეყნის ადმინისტრაციული და კულტურული დაწესებულებების გაქართულებაში, ეროვნული მიმართულებების

დანერგვაში ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სასწავლო დაწესებულებების გაეროვნების პოლიტიკა წარმოადგენდა ქართული ენის განვითარების ახალ ფართო სახელმწიფო პროგრამას. სავალდებულო გახდა ქართული ენის სწავლება მათთვის, ვინც ამ ენას არ ფლობდა. ასევე, სავალდებულოდ გამოცხადდა საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლა. სწავლების ნაციონალიზაციამ და ქართული ენის პოლიტიკის შემუშავებამ დღის წესრიგში დააყენა ეროვნული უმცირესობების საკითხიც საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებში. საკანონმდებლო დონეზე შემუშავდა მთელი რიგი დებულებები, რომელიც გამოიჩინა ეროვნული უმცირესობებისადმი დემოკრატიული მიდგომებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან გამონეგვას წარმოადგენს განათლების მდგომარეობის საკითხის დასმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე დაკვირვებით, შევეცდებით, ზოგადად განვსაზღვროთ ქართული პოლიტიკური და ნაციონალური პროექტის სტრუქტურები, რაც გამოიხატა განათლების სფეროში გატარებული რეფორმებით. ირკვევა, რომ: 1. ქართული სახელმწიფო ერთადერთი მისაღები პოლიტიკური ფორმაა ქართველი, როგორც ერი-სახელმწიფოს განვითარებისათვის. 2. დემოკრატიზმის პრინციპებზე გადასვლით საქართველო თავისი არსით ევროპის ნაწილია და ეს განმსაზღვრელია მისი ნაციონალური იდენტობისა. 3. დასავლეთი ქართული დემოკრატიული სახელმწიფო განვითარების მოდელია. 4. საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა, რომელიც თავის ტერიტორიაზე აღიარებს კულტურულად გამორჩეულ ეთნიკურ უმცირესობებს, თუმცა მათგან ქართული ეროვნული პროექტისადმი ლოიალობას მოითხოვს.

მოხსენების მიზანია, გავანალიზოთ ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების და განვითარების დინამიკა განათლების პოლიტიკის მიხედვით კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში – 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

Ana Khvedeliani

## Education Policy and the Formation of Georgian National Identity in the First Democratic Republic (1918-1921)

After the declaration of Independence in 1918, the Georgian Democratic government conducted significant educational reforms. The government, together with the Ministry of Education, developed a policy of nationalization, which was demonstrated in Georgianizing the administrative and cultural institutions of the country, implementing national directions in different fields of political, economic and cultural life of the country. The nationalization policy of educational institutions was a new, broad state program for the development of the Georgian language. The teaching of Georgian to those who did not know the language became mandatory. Also, studying the History and Geography of Georgia became compulsory.

The nationalization of teaching and development of the policy of the Georgian Language put the issue of national minorities on the agenda in educational and cultural institutions. A number of regulations were elaborated. They were distinguished by democratic approaches towards national minorities. A significant challenge for the educational policy of the Democratic Republic of Georgia is raising the issue of the existing situation in the sphere of education in the regions of Abkhazia and South Ossetia.

The policy of the First Democratic Republic determined the major structures of the Georgian political and national project in general. The most important part of this project was educational policy and, if we analyze it in this context, we will see that: 1. The State of Georgia is only acceptable political form for the development of Georgia as a Nation-State. 2. Due to adopting democratic principles Georgia, in its essence, is part of Europe and this also determines its national identity. 3. The West is the model of development of the democratic state of Georgia. 4. Georgia is a tolerant country which recognizes culturally distinct ethnic minorities in its territory, but requires their loyalty to the Georgian National Project.

The paper aims to analyze the dynamics of formation and development of the Georgian National Identity through educational policy in a particular historical context – in the First Democratic Republic of Georgia (1918-1921).

### ქეთევან ხუციშვილი

## ეთნიკურ ერთობათა ტერმინოლოგიის საკითხისთვის

ტერმინოლოგიის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სამეცნიერო სივრცისათვის. ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური კვლევების განვითარების, თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების კონცეპტუალიზაციის კვალდაკვალ ხდებოდა ტერმინოლოგიური აპარატის ჩამოყალიბება. დისციპლინის ფარგლებში, მისი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, განსაკუთრებული დატვირთვა, ცხადია, ეთნიკური ერთობების მახასიათებლების გამოყოფის საფუძველზე, შეაბამისი ტერმინების შემუშავებას მიენიჭა. თუმცა, ეთნიკურ ერთობათა მრავალფეროვნების და ენობრივ-სემანტიკური სხვაობების გარდა, გაზიარებული მნიშვნელობების დამკვიდრებას სხვადასხვა ენობრივ, რეგიონალურ-ტერიტორიულ და ტრადიცი-

ულ სივრცეებში არსებული მეთოდოლოგიურ-თეორიული მიდგომების განსხვავებაც განაპირობებდა. ქართული ეთნოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა მიერ, გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით, დადგინდა შესაბამისი ტერმინები და შემუშავდა დეფინიციები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სივრცეში ეთნიკურ ერთობათა ფორმების განსაზღვრაში მეცნიერებს თავისუფლება არ ჰქონიათ და ეს საკითხი იდეოლოგიური მიდგომით, კონკრეტული თეორიული (ევოლუციონისტური) პარადიგმის ფარგლებში განიხილებოდა. ამის გამო, საბჭოთა სამეცნიერო ტერმინოლოგია განსხვავდებოდა დასავლური ტერმინოლოგიისაგან. საკითხის კიდევ ერთი ასპექტი ისიცაა, რომ, სხვადასხვა პროცესების გავლენით, საზოგადოებების კონსტრუირება თუ იდენტიფიკაცია ჩამოყალიბება განსხვავებულ ფორმებს იძენს და დროთა ვითარებაში ახალი ტერმინოლოგიის შემუშავების საჭიროება დგება მეცნიერ-მკვლევართა წინაშე. მოხსენებაში განვიხილავ შემდეგი ტერმინების დეფინიციებს: ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, ეთნოგრაფიული ჯგუფი და ინდიგენური ჯგუფი. ეს არის ტერმინთა ჯგუფი, რომელიც ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური კვლევებისთვის საყრდენია. მათი განსაზღვრებები კონკრეტული მარკერების გამოყოფის საფუძველზე ხდება. მარკერთა განსაზღვრა თეორიულ-პარადიგმატულ ხედვებზეა დამოკიდებული და, ამდენად, სადავოცაა. თანამედროვე მსოფლიოში ეს ტერმინები მხოლოდ სამეცნიერო დისკურსის ნაწილი აღარ არის. ეს არის ტერმინთა ჯგუფი, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული სტრატეგიებისა და შეთანხმებების ჩამოყალიბებისას. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართებულად გააზრებული დეფინიციებით ოპერირებას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე საერთაშორისო კომუნიკაციას ეხება. ეს არის პრობლემა, რომლის გაუცნობიერებლობამაც შესაძლებელია პოზიტიურის ნაცვლად ნეგატიური გავლენა იქონიოს კონკრეტული ქვეყნების ეთნო-კულტურული და სოციალური საკითხების გადაჭრაზე და ახალი პრობლემების გაჩენა გამოიწვიოს.

## Ketevan Khutsishvili

### On the Problem of Ethnic Terminology

The issue of terminology is one of the most important problems for scientific space. The development of ethnological/anthropological studies, conceptualisation of the theoretical-methodological approaches was followed by the establishment of a terminology apparatus. Within the scope of discipline, due to the object of research, special loading, obviously based on the allocation of ethnicity characteristics, was given to the elaboration of the terms. However, in addition to the diversity of ethnic units and linguistic-semantic differences, the difference between the methodological-theoretical approaches existing in diverse linguistic, regional-territorial and traditional spaces was also the reason why the elaboration of the common terminology appeared to be impossible. The representatives of the Georgian ethnological school, under the guidance of Giorgi Chitaia, established the relevant Georgian terms and their definitions.

However, it should be noted that in the Soviet space, scientists did not have freedom to determine the forms of ethnic units and the issue was directed by the ideological approach within the framework of a particular theoretical (evolutionary) paradigm. For this reason, Soviet scientific terminology differed from Western terminology. Another aspect of the issue is that under the influence of different processes,

the construction of societies or the formation of identity acquires different forms in contemporary world and the need to develop a new terminology in the course of time is on the agenda of scientists.

In the presented paper the following concepts will be discussed: ethnos, ethnic group, ethnographic group and indigenous group. This is a group of terms that are basically the main concepts for ethnological/anthropological research. Their definitions are based on the identification of specific markers. The markers are identified according to the theoretical-paradigmatic approaches, and thus are questioned. In the modern world these terms are no longer part of scientific discourse only. This is a group of terms used in political, socio-economic or cultural strategies and agreements. Therefore, it is important to operate with properly identified definitions, especially when it comes to international communication. This is a problem which must be considered, otherwise it may have a negative impact on the ethno-cultural and social issues of particular countries and may cause the emergence of new problems.

## ელენე ჯაველიძე

### ორჰან ფამუქის პოლიტიკურ-პოსტმოდერნისტული რომანის ზოგიერთი ნიშან-თვისება

ორჰან ფამუქმა რომანი „თოვლი“ შეაფასა, როგორც მისი ერთადერთი პოლიტიკური რომანი. მწერალი რომანში აღწერს ისლამის აღორძინებას თურქულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. „თოვლში“ თანამედროვე თურქეთში არსებული ისლამის მრავალპლანური დისკურსია წარმოდგენილი. ამ კრიტიკული საკითხის საფუძველში ქალის თავსაბურავი და თვითმკვლელობა ძევს. მოდერნიზაციის თეორეტიკოსების მიერ ისლამური და დასავლური ცხოვრების სტილის ერთმანეთთან შეპირისპირებისთვის უმთავრესად გამოყენებული ძირძველი წყვილები: „ტრადიცია და თანამედროვეობა“, „განუვითარებლობა და პროგრესი“, მწერლის ხედვით, პოლიტიკური ისლამის თანამედროვე მოვლენის განმარტებისთვის სრულიად არასაკმარისია. რომანში წარმოდგენილია სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე უამრავი პროტაგონისტი. მთავარი ინტრიგა, რა თქმა უნდა, ლოკალური გადატრიალებაა, რომელიც სეკულარიზტი მსახიობის მიერ არის განხორციელებული. აქ აგრეთვე წარმოდგენილია მოკრძალებული პოეტი კას ტრაგიკული სიყვარულის ისტორია. რომანში ნათლად არის გამოკვეთილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიქოტომია, ტექსტი შეიცავს მრავალ სპეკულაციურ მსჯელობას იმაზე, რომ თურქეთს განსაკუთრებული გზა აქვს. რომანში ეს „გზა“ გამოკვეთილია, ეს არის ისლამისტების გამარჯვება არჩევნებში, სწორედ ამის პასუხია „თეატრალური“ გადატრიალება, რომელიც ქვეყანაში მომხდარი სამხედრო გადატრიალებების პაროდიას წარმოადგენს. გოგონათა თვითმკვლელობებიც პროვინციული ქალაქის ატმოსფეროს უკიდურესად ამძიმებს. რომანის არსი ფართოდ სცდება ლოკალურ კონტექსტს, დახატული სურათი და ატმოსფერო ონტოლოგიურ ღირებულებას იძენს.

„თოვლში“ თეოლოგიის ძირითად საკითხები, ისეთი, როგორიცაა ღმერთის არსებობა, ასევე ათეიზმის შედეგები, წარმოუდგენელი პირდაპირობით განიხილება. მწერალი რელიგიური საკითხების სერიოზულ ფორმულირებას ანგრევს, იყენებს განსხვავებულ სტრატეგიებს, ისეთს, როგორიცაა ფსიქოლოგიური რეალიზმი, ინტერტექსტუალობა, პაროდია, ირონია. რე-



ლატივიზმი, რომელიც პოსტმოდერნიზმის ფუნდამენტური მახასიათებელია, ნათლად ჩანს ორჰან ფამუქის რომანში „თოვლი“.

რომანის თხრობა ფოკუსირებულია პესონაჟთა მრალხმიან სამყაროზე. მოკამათე და დიალოგში შესული მსოფლმხედველობები დიამეტრულად საპირისპიროა, სწორედ ისინი აყალიბებენ თხრობის რთულ ქსოვილს. ორეულის, დუბლის მოტივი რომანის კიდევ ერთი გამჭოლი მოტივია. ნაწარმოების მეტატექსტური ფენა რომანში სხვადასხვა ისტორიისა და მოვლენისგან შედგება. ორჰან ფამუქის „თოვლი“ პოსტმოდერნისტული სტილის ძირითადი პრინციპები შესაძლოა იყოს: ინტერტექსტუალობა, დიალოგიზმი, პრინციპული ფრაგმენტარიზმი, ჩანაცვლება, ჩვეული ჟანრების შეჯვარება (ჰიბრიდიზაცია), დისკრეტულობა, პლურალიზმი, თამაში, პაროდია. ტექსტის მრავალდონიანი ორგანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერტექსტუალობასთან, უფრო სწორად, მის ისეთ გამოხატულებებთან, როგორებიცაა: ციტირება და თვითციტირება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „თოვლი“ ორჰან ფამუქის ყველაზე ინტერტექსტუალური ნაწარმოებია.

## Elene Javelidze

### Some Features of the Political Postmodern Novel by Orhan Pamuk

Orhan Pamuk characterized the novel “Snow” as his only political novel. In his book the writer describes the revival of Islam in Turkish politics. “Snow” explores the multifaceted discourse on Islam in the present-day Turkish society. At the core of this contested issue stands a woman’s headscarf and suicide. The old binaries of ‘tradition’ and ‘modernity,’ ‘backwardness’ and ‘progress’ applied to Islamic versus Western modes of living and employed primarily by theorists of modernization, according to the writer, prove insufficient to explain the phenomenon of Political Islam.

In “Snow” a whole kaleidoscope of characters of various political orientations is presented. The main intrigue of the novel is, of course, the local coup d’état carried out by the actor secularist. The tragic love story of the shy poet Ka is also presented here. The dichotomy of East and West is present in the novel; the text is richly filled with a speculative talk about the special path of Turkey. In the novel, such a “path” is indicated; it is the victory of the Islamists in the elections. The answer to this phenomenon is a “theatrical” coup, which is a parody of the military coups that have taken place in the country. Of course, the suicide of girls clearly injects the atmosphere of a provincial town. In a broad context, the essence of the novel goes beyond the local context; the picture acquires ontological significance.

In “Snow” the main issues of theology, such as the existence of God and the results of atheism, are considered to be incredibly straightforward. The writer breaks down a serious formulation of religious issues using different strategies, such as psychological realism, intertextuality, parody, irony. Relativism, which is a fundamental feature of postmodernism, is clearly seen in the novel “Snow” by Orhan Pamuk. The way of narration in the novel is focused on the many-voiced world of characters. The points of view of the arguing one, and of the one who enters a dialogue are diametrically opposed; they are the ones who form a complex fabric of narration. The motive of the double, duplication is another through motive of the novel. The meta-text layer of the work arises from various stories and phenomena occurring in the novel. In the work of Orhan Pamuk, one can single out the basic principles of the postmodern style: intertextuality, dialogism, fundamental fragmentation, mixing, crossing traditional genres (hybridization), discreteness, pluralism, game, parody. The multi-level organization of the text is closely related to



intertextuality, or rather, to such expressions as quoting and self-citing. "Snow" is the most intertextual novel by Orhan Pamuk.

## დემურ ჯალაღონია

### პოლიტიკური აზროვნების წინარემოდერნულ გზაზე დაბრუნება (ჟან ჟაკ რუსო)

რაზროვნების ისტორია იცნობს ადამიანებს, რომლებიც გამოთქვამენ ერთი შეხედვით მოულოდნელ უცნაურ, პარადოქსულ აზრებს და თითქოს უხვევენ გაკვალული გზიდან. მერე აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათ შეუმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ადრე შემჩნეული არ იყო და ჩვენს აზროვნებას აიძულებენ, უფრო ღრმად, საფუძვლიანად და მრავალმხრივად იკვლიოს თავისი პრობლემები. XVIII საუკუნეში ასეთი გახლდათ ჟან ჟაკ რუსო (თ. ბუაჩიძე).

რუსოსთი იწყება მოდერნის მეორე ტალღა. თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოიქმნა დიდი და რთული კონტრამოდრობები, რომელიც მოდერნის სამყაროდან პოლიტიკური აზროვნების წინარემოდერნულ გზაზე დაბრუნებას გულისხმობდა.

რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ ეფუძნება ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების იდეას, ის იცავს განმანათლებლობის აზრს – ბუნებით არც ერთ ადამიანს არა აქვს მინიჭებული ძალაუფლების გავრცელება თავისივე მსგავსზე... იგი ავითარებს იმ მოსაზრებებს, რომ ადამიანები ნებაყოფლობით არიან გაერთიანებული სამოქალაქო საზოგადოებაში და შექმნილი აქვთ მმართველობა, რომელიც ხალხის სუვერენულ უფლებებზე იყო დამყარებული. რუსოს მიხედვით, „ნებისმიერი კანონიერი ძალაუფლება ადამიანთა შორის შეთანხმებებს (Les contrats) ეფუძნება“. საზოგადოების სხვადასხვა წევრი ერთიანდება საერთო ინტერესების საფუძველზე, რომელთა მიზანსაც საერთო სიკეთე წარმოადგენს. საერთო სიკეთე მასთან ორ ძირითად ფენომენს ეფუძნება – თავისუფლებას და თანასწორობას. „თავისუფლებას, რადგან ყოველგვარი დამოკიდებულება კერძო პირზე ამცირებს სახელმწიფოს ძალას და თანასწორობას იმიტომ, რომ თავისუფლება ვერ იარსებებს მის გარეშე“.

სამოქალაქო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თმობს თავის ზოგიერთ უპირატესობას, რაც მას ბუნებით აქვს მიღებული. სამაგიეროდ, უფრო მეტს იღებს. რასაც ადამიანი საზოგადოებრივი ხელშეკრულებით კარგავს, „არის მისი ბუნებრივი თავისუფლება და განუსაზღვრელი უფლება ყოველივეზე, რაც მას იზიდავს და რასაც შეიძლება დაეუფლოს; სარგებელი ის გახლავთ, რომ ადამიანი იღებს სამოქალაქო თავისუფლებას და საკუთრების უფლებას ყოველივეზე, რაც მას აბადია“.

რსაზოგადოებრივი ხელშეკრულება საფრანგეთის რევოლუციის იაკობინელთა ბელადებმა რევოლუციის კოდექსად აქციეს. მას დაეფუძნა ადამიანის და სამოქალაქო უფლებათა დეკლარაცია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ გამოაცხადა.

## Demur Jalaghonia

### Return to the Pre-Modern Path of Political Thinking (Jean-Jacques Rousseau)

The history of thinking is familiar with the people who, at first glance, express unexpected, paradoxical thoughts, and seem to turn away from the paved road. Later, it turns out that they have

noticed something that has not previously been seen and our thinking is compelled to study its problem more deeply, throughouly and multilaterally. In XVIII century, such a person was Jean-Jacques Rousseau (T. Buachidze).

The second wave of modernity begins with Russo. In almost every country it created great and difficult counter-movements, which implies the return of political thinking from the modern world to the pre-modern path. “Public Contract” of Russo is based on the idea of natural freedom of Human. It protects the idea of Enlightenment – no one is granted the right to have any power on his/her similar... It develops the ideas that people are voluntarily united in the civil society and have established the governance that is based on the sovereign rights of people.

According to Russo, “Any legitimate authority is based on human agreement (Les contrats)”. Different members of the society are united on the basis of common interests aimed at the common goodness. Common goodness is based on two basic phenomena such as freedom and equality. “Freedom, since any dependence on private individuals reduces the power and equality of the state, and freedom cannot exist without it”.

A person in a civil position gives up some of the advantages that he has received by nature; in exchange it gets more. What a person loses with a public contract “is its natural freedom and an unlimited right of all that he attracts and what he can own; the benefit is that a person receives civil liberties and the right to ownership of everything that he has.”

The Jacobin Leaders of the French Revolution turned Public Agreement into the Code of Revolution. The Declaration of Human and Civil Rights, which was declared by the French Revolution, was based on it.

## მარკა ჯიქია

### მუხამბაზი ქართულ პოეზიაში

აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ქართულ პოეზიაში შემოჭრილ აღმოსავლურ სალექსო ფორმებს შორის ერთ-ერთი მუხამბაზია (←არაბ. მუჰამმას „ხუთნაწილიანი, ხუთის შემცველი“, /ჰამს/ „ხუთი“).

ქართულ პოეტიკურ სივრცეში დამკვიდრებულ ამ აღმოსავლური სალექსო ფორმის ლექსებს მტკიცედ განსაზღვრული სტრუქტურა აქვთ. კანონიკური მუხამბაზი აგებულია ხუთ-პნკარიანი სტროფებით (ბენდებით, ხანებით), რომელთა რაოდენობა უპირატესად მერყეობს ოთხიდან შვიდამდე. პირველი სტროფის ხუთივე სტრიქონი (მისრა) ერთი რითმით ბოლოვდება, მომდევნო ბენდების ოთხი მისრა სხვა რითმითაა განწყობილი, ოღონდ მეხუთე მისრაში ძირითადი რითმა მეორდება, რაც კომპოზიციურად კრავს ლექსს:

a a a a a,

b b b b a,

c c c c a,

d d d d a.

ქართულ პოეზიაში სპარსული ეპოსის გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო. მაგალითად, ბესიკი, უდავოდ, საზრდოობდა სპარსული ლირიკული პოეზიის მოტივებითა და სახეობრივი სისტემით. მისი ზოგი მუხამბაზი, როგორცაა, მაგალითად, „ტანო ტატანო“, „ცრემლთა ისარნი“,

„მე შენი მგონე“ და სხვ. მაღალი პოეტური ოსტატობითაა შესრულებული. ყოველი ტაეპი შინაგან რითმებს შეიცავს. მუსიკალობის, ალიტერაციებისა და, საერთოდ, პოეტური შემოქმედების თვალსაზრისით, მუხამბაზის ფორმით დაწერილი ეს ლირიკული შედევრები შორს იტოვებენ სპარსულ მუხამბაზებს. თუმცა ამას ბესიკისათვის არ შეუშლია ხელი, ეროვნულ პოეზიაში დაემკვიდრებინა ორიგინალური ლირიკა. ლექსის ქართულად თხზვისას ამ ფორმას ხშირად მიმართავდა საიათნოვა. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია გასათვალისწინებელი: ტერმინი მუხამბაზი ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებისთანავე გულისხმობდა როგორც კონკრეტულ სალექსო ფორმას, ასევე აღმოსავლურ, თავისებურ, სტილიზებულ კილოს. ბესიკისა და საიათნოვას შემდეგდროინდელ მწერლებს სულ სხვაგვარად გაუგიათ მუხამბაზის ბუნება. მათთან მუხამბაზად მიჩნეულ უფრო სხვა სახისა თუ ფორმის ლექსთან გვაქვს საქმე და არა ნამდვილ მუხამბაზთან. მუხამბაზი არ არის ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“; მუხამბაზად არ ჩაითვლება გრიგოლ ორბელიანისა და აკაკი წერეთლის ის ლექსებიც კი, რომლებიც ამ სათაურითაა ცნობილი.

ქართველ პოეტებსა და ქართული პოეზიის მკვლევართ მუხამბაზის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად რითმათა განლაგების ერთგვარობა ჰქონდათ მიჩნეული და სწორედ ამიტომ ამ ტიპის ყველა ლექსი მუხამბაზად ჩაითვლიათ იმის მიუხედავად, თუ რამდენტაეპიანი იყო სტროფი. სინამდვილეში კი, ამ ტიპის ლექსების ფორმათა სახელწოდებას სტროფში შემავალ ტაეპთა რაოდენობა განსაზღვრავს.

## Marika Jikia

### Mukhambazi in Georgian Poetry

One of the Oriental verse forms, which intruded into the Georgian poetry of the Renaissance and transition periods, is Mukhambazi (Arab. muhammas ‘five-part, containing five, /hams/ ‘five’).

These poems of Oriental verse forms, which took roots in the Georgian poetic world, have a strictly determined structure. Canonical Mukhambazi is built with five-line strophes (bends, khans), the number of which mostly varies from four to seven. All the five lines of the first strophe (misra) finish with the same rhyme; four misras of the following bends are adorned with another rhyme, but in the fifth misra the main rhyme is repeated, which ties the verse as a composition:

a a a a a,  
b b b b a,  
c c c c a,  
d d d d a.

In Georgian poetry the influence of Persian epos was quite powerful. For example, Besiki was undoubtedly drawing inspiration from the themes and image system of the Persian lyrical poetry. Some of his Mukhambazis, such as “Tano Tatano” (“Beauty’s Stature”), “TsremIta Isarni” (“The Arrows of Tears”), “Me Shen Megone” (“I Thought it was You”), etc., are made with high poetic skillfulness. Every line contains internal rhymes. From the point of view of musicality, alliterations and, in general, poetic creativity, these lyrical masterpieces, written in the form of Mukhambazi, are far better than the Persian Mukhambazis. However, this did not prevent Besiki from introducing the original lyric form in his national poetry.

While creating poems in Georgian Sayatnova often used this form. One important fact should be taken into consideration: the term “Mukhambazi” from its very entering into Georgian reality, implied a specific verse form, as well as Oriental, particular, stylized parlance. The poets, following Besiki and Sayatnova, understood Mukhambazi in a completely different manner. The poems, written by them and considered as Mukhambazi, have other form and nature, but not those of real Mukhambazi. The famous verse of Alexandre Chavchavadze “Mukhambazi Lataiuri” is not Mukhambazi; neither the poems by Grigol Orbeliani and Akaki Tsereteli, known under the title Mukhambazi, can be deemed as Mukhambazi.

Georgian poets and researchers of Georgian poetry considered the uniformity of disposition of rhymes as the main characteristic sign of Mukhambazi and exactly because of this, all the poems of this type were considered as Mukhambazi in spite of the number of lines in the strophe.

In reality, the number of lines in the strophe determines the name of the forms of the poems of this type.

## ლელა ჯოყილაძე

### არაბი მიგრანტები საქართველოში: პრობლემები, რეალიები, პერსპექტივები

მსოფლიო პოლიტიკურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნების კონფლიქტებმა, გამოიწვია თავშესაფრის მაძიებელთა შემოდინება საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის მიზნით. მათ უმრავლესობას პირველ წლებში წარმოადგენდნენ სირიისა და ერაყის მოქალაქეები. მათი დიდი ნაწილი ჩვენს ქვეყანაში დაუფიქრებლად აღმოჩნდა საქართველოს შესახებ ხარვეზიანი ინფორმაციის გამო (იგულისხმება საქართველოს ევროკავშირის წევრობა). ასეთ არაბებში ინტეგრაციის პრობლემები განსაკუთრებით აისახა ბავშვებსა და ქალებზე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელნი მამაკაცებთან შედარებით მეტად ისწრაფვიან ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრირებისკენ; ამავდროულად, მამაკაცებისთვის საქართველო წარმოადგენს ტრანზიტულ რეგიონს მესამე ქვეყანაში გადასასვლელად, რის გამოც მათი პრიორიტეტების ნუსხაში ქართველებთან ასიმილირება არ შედის.

მოხსენება შეეხება ბავშვების, მოზარდებისა და ქალების ინტერესს ქართული ენის შესწავლისა და ქართულ საზოგადოებაში სრულფასოვნად განვერიანების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ არსებობს მცირერიცხოვანი ისეთი არაბული ოჯახებიც, სადაც მამაკაცები უკრძალავენ ოჯახის წევრებს არაბებთან ურთიერთობას, რითაც ისინი ცდილობენ ევროპასთან ასიმილირებასა და არაბი თანამოძმეებისგან მომდინარე საფრთხისგან თავდაცვას. საქართველო მათ მიერ ევროპული ქვეყნად აღიქმება და ისინი ქართველებთან დაახლოებას თავიანთი შვილების ხარჯზე ცდილობენ. ასეთი ბავშვები განათლებას იღებენ ქართულ სკოლებში და ქართულ-არაბულ ბილინგვურ ფენას ქმნიან. არაბთა ეს ნაწილი საქართველოში მცხოვრები დანარჩენი არაბებისგან გამოირჩევა ჩაცმისა და ქცევის არაარაბული, ევროპულთან/ქართულთან მიახლოებული სტილით.

მოვლენების მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის არაცალსხოვანია. რთული სათქმელია ისიც, თუ ქცევის რომელი სტილია მეტად ხელსაყრელი არაბული ოჯახებისთვის,

იმის გათვალისწინებით, რომ ისინი საბოლოოდ, შესაძლოა, ოდესმე რომელიმე მესამე ქვეყანაში მოხვდნენ.

**Lela Jokiladze**

### **Arab Migrants in Georgia: Problems, Realia, Perspectives**

World political events, especially conflicts in the Middle East and African countries have caused the influx of asylum seekers to demand refugee status in Georgia. In the first years most of them were citizens of Syria and Iraq. The vast majority of them arrived in our country unknowingly, due to the flawed information about Georgia (meaning EU membership in Georgia). The problems of integration of such Arabs are particularly reflected on children and women, however, it should be noted that women are more likely to seek to integrate with the Georgian population. At the same time, for men, Georgia is a transit region to cross the third country, that's why their list of priorities does not include assimilation with Georgians.

The report is about the interest of children, teenagers and women to study the Georgian language and to become full members of the Georgian society. In this regard, it should be noted that there is a small number of Arabic families, where family members are forbidden by Arab men to communicate with other Arabs. Thus, they are trying to assimilate with Europe and defend themselves from threats coming from other Arabs. Georgia is perceived as a European country and they are trying to get closer to Georgians at the expense of their children. Such children are educated in Georgian schools and create a Georgian-Arabic bilingual layer. These kinds of Arabs are distinguished from the rest of Arabs by their Non-Arabic style of dress and behavior, by the style close to European and Georgian.

The expected results of these events are unpredictable for Georgia. It is hard to say which style of behavior is convenient for Arab families, taking into consideration that they might eventually get into any third country.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

დალი გერმანიშვილი

ნანა კაჭაბავა

ლელა ნიკლაური

Prepared for publication by:

Dali Germanishvili

Nana Katchabava

Lela Tsiklauri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

---

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tshavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: 995(32) 225 04 84, 6284/6279  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)





უნივერსიტეტის  
გამომცემლობა